

კარლო ბუაჩიძე

მცენარეთა ღაცვის
ხალხური საშუალებები

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი 2001

დაიბეჭდა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა
და უნეტარესის **ილია II** ლოცვა-კურთხევით

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის აგრო-
ნომიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით

რედაქტორები: ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი
თადეოზი (იორამაშვილი)

გ. გეგენავა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქ-
ტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერე-
ბათა აკადემიის აკადემიკოსი

გ. კოპლატაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდი-
დატი, დოცენტი

რ. ბურჭულაძე

რეცენზენტები: ნ. ცინცაძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შ. ხიდაშელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
კანდიდატი, პროფესორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მხატვარი: ტ. გარიშვილი

უას 632.93

ვუძღვნი პროფესორ ს. ქარუმიძის ხსოვნას

წიგნში მოკეცულია მოკლე ცნობები მცენარეული მხამებისა და მხამიანი მცენარეების გამოყენების შესახებ; განხილულია მცენარეთა დაცვაში გამოყენებული ხალხური მცენარეული საშუალებები, ბრძოლის ხალხური მექანიკური, ფიზიკური ღონისძიებები, ლოცვები, ხალხური წესწესებები და სხვა საშუალებები, რომელთა უმრავლესობაც დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

წიგნში აგრეთვე განხილულია ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში (ხალხურ შელოცვებში, ანდასებში, გამოცანებში, შრომისადმი მიძღვნილ თე სხვა სპეციფიკურ ლექსებში და ქართულ ხალხურ ზღაპრებში), ქართულ იკონოგრაფიაში ამა თუ იმ ფორმით ნახმარი მცენარეთა მავნე ორგანიზმები, დაცვის ხალხური საშუალებები.

წიგნი დასმარებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის სტუდენტებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ფერმკერული, გლეხური მეურნეობის მუშაკებსა და საერთოდ, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

შესავალი

მცენარეთა მავნე ორგანიზმებს-მავნებლებს, მცენარეთა ავადმყოფობებს, სარეველა მცენარეებს ადამიანი ძველთაგანვე აქცევდა ყურადღებას. მაგრამ ასე გამოყვეთილი ტერმინოლოგიით არ ხდებოდა მათი აღნიშვნა. უფრო ხშირად, ყველა ამ ორგანიზმს ერთ ტერმინში – „მავნებელში“ აერთიანებდნენ (ამ ორგანიზმების მცენარეზე მოქმედება ხომ მათ მავნეობაში გამოისატება) ან კიდევ, ცალკეულ მავნე ორგანიზმს (ჭია-ღუა, მატლი, ბალახბეულახი ან ავადმყოფობის პირდაპირ სახელწოდებას) ასახელებდნენ. ამასთან ადამიანისათვის ცნობილი იყო მავნეობის ის სახე, რასაც ისინი კულტივირებულ მცენარეებს აყენებდნენ. ამის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებულ ჩანაწერებში ვხვდებით. ასე რომ, მცენარეთა დაცვა მიწათმოქმედებისაგან განუყოფელია და ჩართული იმ საქმიანობათა ჯაჭვში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოვლა-მოყვანას ემსახურება.

ადამიანმა მცენარეთა მავნე ორგანიზმებს ნიადაგში პირველი კვადის გავლების, მასში თესლის ჩათესვის ან მცენარის დარგვისთანავე მიაქცია ყურადღება და აღბათ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს დაიწყო ძიება, რომელიც, რა თქმა უნდა, თავდაპირველად პრიმიტიული იყო. ამას ადასტურებს ხაღისში ჯერ კიდევ შემორჩენილი წეს-ჩვეულებები და ბრძოლის საშუალებები. ბევრი მათგანი ძველ ხალხურ გამონათქვამებში, ლექსსა თუ ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრშია შემონახული, რასაც მოძიება-გამოვლინება და თანამედროვე ბრძოლის საშუალებებისადმი მისადაგებისა და გამოყენებისათვის შესაფერისი გაანალიზება სჭირდება.

ვითვალისწინებთ რა ზემოთ აღნიშნულს, მისნად დავისახეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურული წყაროების დამუშავება და მათში იმ ელემენტების ძიება, რომლებიც მცენარეთა დაცვასთანაა დაკავშირებული (ამასთან შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში გამოგვეკვინა ჯერ კიდევ შემორჩენილი ბრძოლის ხალხური საშუალებები). ამ მხრივ ყურადღება მივაქციეთ ლოცვებს, ხალხური სიტყვიერების ისეთ სახეებს, როგორცაა შელოცვები, ანდასები, გამოცანები, წესჩვეულებები, სხვა-

დასხვა ეანრის ხალხური ლექსები, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმითაა ასახული მცენარეთა მავნე ორგანიზმები და მათ წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის ღონისძიებები და საშუალებები.

ყურადღება მივაქციეთ ჩვენში და სხვა რეგიონებში გავრცელებულ შხამიან მცენარეებს როგორც მცენარეთა დაცვის ხალხურ საშუალებებს. მხედველობის გარეშე არ დაგვტოვებია მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მექანიკური და ფიზიკური ღონისძიებები, ისეთი საშუალებებიც კი როგორცაა კირი, სუფრის მარილი, ნაცარი, ნაჟელი, ნავთი და სხვა; ერთი სიტყვით, რის მოძიებაც კი შეეძლებოდა.

ნაშრომის ფორმირებისას ვიხელმძღვანელებთ სხვადასხვა წყაროთი, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერებშია შემონახული. დახმარებისა და კონსულტაციებისათვის მადლობას მოვახსენებ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის თანამშრომლებს, არქივის ხელმძღვანელს ელგუჯა დაღუნაშვილს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს, ქეთი ასათიანს, საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს თამარ გერმანიშვილს, ნინო ტაბატაძეს, თინა ეანდარელს.

ნაშრომში გამოვიყენე ხალხში გავრცელებული ცნობები მცენარეთა დაცვაში ხალხური საშუალებების გამოყენების შესახებ, ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ საქართველოს სახელმწიფო აგრორული უნივერსიტეტის პროფესორს ი. საათაშვილს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს მ. ბერუაშვილს, სტუდენტებს: თ. ტაბატაძეს, მ. მერაბიშვილს, მ. გიორგაშვილს, ხ. გელაშვილს, ლ. კვინიხიძეს. მ. საბანაძეს, გ. კეტელაძეს, გ. ბარბაქაძეს, გ. ბურდელს, მ. ფაჯიშვილს, რ. ქვათაძეს, ო. ამბროლაძეს, გ. ლორჯოშვილს, რომელთა მიერ მოწოდებული საინტერესო მასალები სათანადოდ იქნა ასახული აღნიშნულ ნაშრომში.

უფიქრობ, ჩვენს მიერ წარმოადგენილი ნაშრომი მცირე წვლილს შეიტანს საქართველოში მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებების

ბების შესწავლასა და პროექტულ გამოყენების საქმეში.

ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომში ბევრმა საკითხმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ პოვა ასახვა, თანაც რამდენადაც იგი ასეთი სახის ნაშრომის გამოცემის პირველი ცდაა, არც სხვა ნაყოფანებებისაგან იქნება დახლვეული. საქმიან შენიშვნებს ავტორი მაღლობით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდეგი გამოცემისათვის.

თავი I. მცენარეთა გავრცელების წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიებები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პირობების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით მიწათმოქმედნი დასაბამიდანვე სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებას მიმართავდნენ. გლეხი ხვნის, თესვის თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას პირჯვარს გადაიწერდა და მესაბამის ღოცვას, ღმერთისადმი ვედრებას წარმოუქვამდა, რაც ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებისა თუ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით დასტურდება (ახალოგიურ ფაქტებს სოფელში მეც შეგხვედრივარ, თუმცა მაშინ გლეხი ამას მორიდებით, მაღრულად, სხვების შეუქმნევლად, შიშით ასრულებდა).

ღოცვა ღვთისადმი თხოვნით, მადლობით და დიდებით მიმართავდა. ღოცვაში ვთხოვთ ღმერთს, რაც გვეჭირვება, მადლობას ვწირავთ მოწყალეებისათვის და ვადიდებთ მის უხენაქობას. ღოცვით მივმართავთ აგრეთვე ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, წმიდა ანგელოსებს და წმინდანებს, რომელთაც ღვთის წინაშე შეუძლიათ შეკამდგომლობა ჩვენთვის, ცოდვილთათვის. ხატების წინაშე ღოცვისას ხეს და საღებავს წამადს კი არ ვევედრებით. არამედ იმათ, ვინც ხატებზეა გამოსახული - წმინდანებს. არსებობს ღოცვანი, რომელიც უნდა ადავლინოს მხოლოდ ღვთის მსახურმა და ღოცვანი, რომლის ადავლენა ძალუქს საერო პიროვნებასაც; მკითხველიც ალბათ ამის მიხედვით განასხვავებს ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილ ღოცვებს.

ღოცვანი თავისი დანიშნულების მიხედვით მრავალფეროვანია, ჩვენი ყოფის თითქმის ყველა წვრილმანს ეხება, ამ მხრივ საინტერესოა ღოცვანი ბავშვების, ოჯახური ბედნიერების, ქორწინების, საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ავადმყოფობების, ომის, თავდასხმის, სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების და სხვ. თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის მისთვის დამახასიათებელი ღოცვა გამოყენებული. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მოვიძიეთ ღოცვანი მიწის (ნიადაგის) ნაყოფიერების, თესვის წინ და მკის, თესლის, ყანის-ჯეჯილის, თიბვის დრის, კალოზე, ბისტნეულის დარგვის, კიტრის მოსავლის, ვაზის, ხესილის, სელის მფარველობის

და სხვა. ამ ლოცვანში მათი სპეციფიურობიდან გამომდინარე, ღმერთს შესთხოვენ, რათა ყანა-ჯეჯილი დაცულ იქნას მავნებ-
ლებიდან, ბუჩებისაგან, ჟანგასაგან, ვენახი კი „სილული და უხი-
ლავი მტრებისაგან“ (აქ ყოველი მავნებელ-ავადმყოფებია ნაგუ-
ლისსმევი - კ.ბ.). ცალკე გამოყოფით ლოცვანი, რომლებიც მავნე
ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვისათვის აღევლინება.

სშირად მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლა საერთო-
სახალხო მნიშვნელობას იძენდა, მოსახლეობა მსხვერპლად სწი-
რავდა შესაწირს და ამით ცდილობდნენ გამოეყიდათ ღვთის
წინაშე ჩადენილი ცოდვები და თავიდან აეცილებინათ მავნებლე-
ბის შემოსევის მოსალოდნელი საშიშროება. საერო სასიოგადიუბ-
რიობასთან ერთად ეკლესიის მსახურნიც თავიანთი ლოცვებით
მონაწილეობდნენ ამ ღონისძიებაში, ისედაც პარაკლისებს და
სხვ. კალიების შემოსევის თავიდან აცილების მიზნით 1847 წელს,
თბილისში, სიონის ტაძარში, საქართველოს ექსარხოსმა ლოცვა
აღაუვლინა; ლოცვები თითქმის ყველა ეკლესიაში აღევლინა (ად-
ვილი შესაძლებელია ამ დროს გამოყენებული იყო წმიდა მოწამე
ტრიფონის ლოცვები).

რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში სამუშაოს დაწყებისას და
შესრულებისას ლოცვას, ჩვენი აზრით, დადგა დრო, რომ მან
თავისი ადგილი დაიბრუნოს და ყოველი სამუშაოს შესრულები-
სას შესაბამისი ლოცვა აღევლინოს, ალბათ ამ წესის უზუღე-
ბელყოფა არის მიზეზი თავსდატესილი სტიქიური უბედურებები-
სა. ამიტომ, კვლავ ვიმეორებ, საჭირო არის შესასრულებელი
სამუშაოებისას ლოცვა ჩაერთოს საერთო ღონისძიებათა სისტე-
მაში, ამის გამო გადავწყვიტეთ მცენარეთა დაცვის მიზნით გათვა-
ლისწინებული ზოგიერთი ლოცვა შეგვეტანა წინამდებარე ნაშ-
რომში.

1.1 ღვთისმშობლის ხატი «გამომხსნელი»

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატებს ხშირად მიმართავენ სხვადასხვა განსაცდელისაგან თავის დახსნის მიზნით, ღვთისმშობელიც თხოვნა-ვედრებას გულმოაწყალებდ ასრულებს. ადამიანები ხშირად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროსაც ევედრებიან - „პურეულთა უხვად მომნიჭებელს“ - პურეულთა სიუხვისათვის, „ტოლგისას“ - წვიმის მოყვანისათვის და სხვ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედად შერაცხულ ხატებს შორის არის ხატი ღვთისმშობლისა „გამომხსნელი“. რომელსაც ადამიანების განსაცდელისაგან დახსნისა და მათგან მწერებისაგან მტენარეების დაკვისათვის ევედრებიან.

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი „გამომხსნელი“ ათონზე სკეპტონაზონ მარტიანისეს ჰქონდა. 1841 წლის დასაწყისში მამა მარტიანისემ სპარტის ეპარქიაში ყოფნისას შეიტყო, რომ მინდვრებსა და ტყეს კალია შემოესია და ნათესებს ანადგურებდა; ხალხი ცდილობდა მწერების შემოსევა რამენაირად აერიდებინა, მაგრამ ყოველგვარი გარჯა ამო იყო. კალია კიდევ უფრო გამრავლდა, როცა მინდვრებში პარაკლისის გალობით ლიტანიის შესრულება დაიწყეს, ამან კალია თითქოს გაამწარა და ადამიანებს პირდაპირ თვალუბზე აფრინდებოდა. შეწუხებული ხალხი სახლებში იმალებოდა. როცა ამის შესახებ მამა იუსტინიანემ შეიტყო, მეტად დაამწუხრა ხალხის უბედურებამ და ყველას მოუწოდა, შემწყობისათვის ცისა და მიწის დედოფლისათვის მიემართათ, არწმუნებდა, რამ ის აუცილებლად მოხედავდა მათ მორჩილებასა და გაძლიერებულ ღოცვას. მას 5000-ზე მეტი ადამიანი გაჰყვა, ღვთისმშობლის ხატი მინდორში გამოიტანეს და ბერებთან ერთად ღოცვა დაიწყეს. დედა-ღვთისამ შეისმინა ხალხის ვედრება და გასაოცარი სასწაული აჩვენა: კალია უცებ აიშალა და ისეთი სისწრაფით გაფრინდა, რომ მისმა სისძირემ მზის შუკი დააბნელა.

მოულოდნელად შოშიის მსგავსი ჩიტები გამოჩნდნენ და კალის განდევნა მათ დაასრულეს.

„გამომხსნელის“ ხატი მრავალ საოცარ სასწაულს აღასრულებდა.

გარდაცვლილი არქიმანდრიტის შაკარის ანდერძის მიხედვით, რომელიც ათონზე წმიდა პანტელეიმონის რუსული მონასტრის მამა და წინამძღვარი იყო, ხატი „გამომხსნელი“ 1889 წლის 20 ივნისს გადაეცა ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერს საქართველოში კუროთხევისა და ძმური სიყვარულის ნიშნად.

ათონიდან ჩამობრძანებული ღვთისმშობლის ხატის „გამომხსნელის“ დღესასწაული დადგენილია 17 ოქტომბერს.

იკონი 11

სხევაშიც კეპელი ძაითი. ნათელმოსილი ხატი შენი გამომხსნელად სახელადებული გამოევიბრწყინე ჩვენ სოდგათა წყვდიადში ჩათლულთა და გასწვენ ტლიობა: გინაროდენ, სიყმილსაგან ჩვენო გამომხსნელო: გინაროდენ, მანებელ არსთა (შწერთა) მტენარეულ სამყაროსაგან განმღვენსლო. გინაროდენ, ნათესებისა და ტყეების, და ყოველთა აღმოტენებულთა დაღუპებისა და განადგურებისაგან მსხნელო: გინაროდენ, დამწუნებულ მიწაიმოქმედთა ნუგეშისცემო და მათი შრომის კურთხევაო. გინაროდენ, მწუნარებისა, უბაღობათა, და დაღუპისაგან ჩვენ, შექირებულთა გამომხსნელო.

ლომვა

მოა, დედაო ღვთისაო, შეონი და მუარეველო ჩვენო, ოღესა გვექროთ, იყავნ გამომხსნელ ჩვენ: რამეთუ ყოველი სასოება შენზედა დამიც და ყოვლითა გვლითა და ყოვლითა სულითა მოციხმობთ შენ: მოწყალე და შეონ გვექმენ, შეგვიწყალე და დავისხენ ჩვენ, მოგვაძყარ ყურნი შენნი და შეიწირე მწუნარე და სრემლიანი ლოტკანნი ჩვენნი და ვითარცა გნებავს, მოგვანიჭე მშვიდობა და სინარეული ჩვენ, მოყვარეულთა დაუსაბამიძისა ძისა შენისა და ღმრთისა ჩვენისა, ამინ.



1.2. წილს მოწამე ტრიფონი

1.2.1. ცნობები წილს მოწამე ტრიფონის მოღვაწეობის შესახებ

წმიდა მოწამე ტრიფონი (+250) დაიბადა მცირე აზიის ერთ-ერთ ოლქში, ფრიგიამში, ქალაქ აპამეის მახლობლად მდებარე სოფელ კამფსადოში. სიღარიბის გამო მას (მისი შრომები ღარიბი გლეხები იყენენ) სასკოლო განათლება არ მიუღია, პატარაობიდანვე მშობლებს ესმარებოდა და ბავშვობის წლებს საშფეურში ატარებდა.

სიჭაბუკის წლებშივე უფალმა თავის რჩეულს ეშმაკთა განსხმისა და სხვადასხვა სნეულების კურნების მადლი უბოძა. ერთხელ მან მძინვარე შიმშილისაგან იხსნა თავისი თანასოფლელები: წმიდა ტრიფონმა თავისი ღოცვით განდევნა მავნე მწერები და დაღუპვისაგან გადაარჩინა პურის ყანები. განსაკუთრებით კი იგი იმით განიდიდა, რომ ეშმაკი თვით რომის იმპერატორ გორდიანეს (238-244) ასულისგან განდევნა. იგი ყველა შეტირებულს შეეწყო და გასამრჯელოდ მხოლოდ ერთს ითხოვდა - რწმენას იესო ქრისტეს მიმართ, ვისი მადლითა და წყალობითაც კურნავდა მათ.

როცა საიმპერატორო ტახტზე ქრისტიანთა სასტიკი მღვეწელი დეკიოსი ავიდა (249-251), წმიდა ტრიფონი ფრიგიის ეპარხოსთან, აკვილინესთან შეასმინეს - მას ბრალად სდებდნენ იმას, რომ უშიშრად ქადაგებდა ქრისტეს რწმენას და მრავალს მოაქცევდა წმიდა ნათლისღებად. იგი შეიპყრეს და დასაკითხად მიჰვარეს აკვილინეს, რომლის წინაშეც მან მხნედ აღიარა თავისი სარწმუნოება. ამისათვის წმიდანის სასტიკად ტანჯეს: მას ჯოხებითაც გვემდნენ, სხეულს რყინის მახვილი კავეებით უგლეჯდნენ, წელულებსაც უწვავდნენ და ქალაქშიც დაატარებდნენ ძირზე ლურსმნებამოჭედილი ჩექმებით. წმიდა ტრიფონი მხნედ იტანდა ყველა სატანჯველს და ერთი კვნესაც არ აღმოხდენია. ბოლოს მახვილით თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სიკვდილით დასჯის წინ წმიდა მოწამემ ილოცა და მადლობა შესწირა ღმერთს იმისათვის, რომ სულის სიმტკიცე მიანიჭა ტანჯვა-წამების დროს; წმიდანმა განსაკუთრებული მადლი გამოითხოვა უფლისაგან იმათ-

ვის. ვინც მომავალში მის სახელს შექმნედ მოუხმობდა, და ვიდრე მტარვალის მახვილის აღმართავდა მოსაგლავად, წმიდა მოწამე ტრიფონმა თავისი სული ღმერთს მიაბარა. ეს მოხდა ქალაქ ნიკეაში, 250 წელს. წმიდანის სხეული ქრისტიანებმა სუდარაში გაახვიეს და უნდოდათ ქალაქ ნიკეაშივე დაეკრძალათ, მაგრამ წმიდა ტრიფონი ჩვენებით გამოეცხადა მათ და უბრძანა, რომ სამშობლოში გადაესვენებინათ და სოფელ კამესადლოში მიებარებინათ მიწისათვის, რაც მორწმუნეებმა აღასრულეს კიდევც.

შემდეგში მოწამე ტრიფონის წმიდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს, მოგვიანებით კი რომში. წმიდა ტრიფონის ხსოვნას მთელი მართლმადიდებელი ეკლესია ძველთაგანვე სცემს პატივს, განსაკუთრებით კი მას რუსეთში უთაყვანებია.

არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ივანე მრისხანეს მეფობის პერიოდში ერთ-ერთი ნადირობისას გაფრინდა მეფის საყვარელი სონღული, განრისხებულმა მეფემ ბასიერ ტრიფონ პატრიყეევს უბრძანა მოეძებნა გაფრინილი სონღული, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯით დაემუქრა. ბასიერმა ტრიფონმა მოიარა შემოგარენი, მაგრამ უშედეგოდ. შესამე დღეს სონღულის ძეხნით დაღლილი ტრიფონი შესურდა მოსკოვის მახლობლად (ამჟამად Марушия роща), დაღლილი დაწვა დასაძინებლად და თან თავის მფარველს წმიდა მოწამე ტრიფონს შემწეობა სთხოვა. ძილში მან ნახა თეთრ ცხენსე მჯდომი ახალგაზრდა, რომელსაც მკლავზე მეფის სონღული ეჯდა. ახალგაზრდამ უთხრა: „წაიყვანე დაკარგული ფრინველი, მეფესთან გაემართე და ნუღარაფერსე დაღონდები“. გამოღვიძებულმა ბასიერმა მართლაც დაინახა სონღული, მან მამინევე წაიყვანა იგი მეფესთან და წმიდა მოწამე ტრიფონის მიერ გაწეულ სასწაულებრივი დახმარების შესახებ მოუთხრო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბასიერმა ტრიფონ პატრიყეევმა ამ ადგილსე სამლოცველო ააშენა, ცოტა მოგვიანებით კი, წმიდა მოწამე ტრიფონის სახელობის ეკლესია ააგო.

წმიდა მოწამე ტრიფონის ხსენების დღედ მინიხულია 14 თებერვალი (1 თებერვალი ძველი სტილით). მან ადავლინა ღირცვა მავნებლებისაგან მცენარეების დასაცავად და მცენარეები (მოსავალი) განადგურებისაგან გადაარჩინა. ვუთქრობთ, არ იქნება ურიგო თუ წმიდა მოწამე ტრიფონის ხსენების დღე 14 თებერვალი „მცენართა დაცვის“ დღედ გამოცხადდება.

1.2.2. ლოცვა წმიდისა და ღიღებულისა, გოზაგისა ტრიფონისი მისი ყოველსავე თვის ყანისა, პენახისა, ბოსტნის თუ ჭია პნაბლუს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ სხვა მრავალ ხელნაწერთან ერთად გავეცანით XVII-XVIII საუკუნეების ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერ-ლოცვას, რომელიც წმიდა მოწამე ტრიფონის მიერ აღვლენილი ყოფილა III საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ხელნაწერი დავით გარეჯიდან ჩამოიტანა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიძემ. ასევე საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის თანამშრომლის ქ-ნი თამარ გერმანიძეილის ხელშეწყობით გავეცანით წმიდა მოწამე ტრიფონის მიერ აღვლენილ ლოცვას, რომელიც „ღიღი კურთხევანშია“ დაბეჭდილი ტექსტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ სხვაობა მეტად მცირეა. სრულყოფილად ლოცვა ღიღი კურთხევანშია წარმოდგენილი, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ამ ლოცვის ტექსტი „კურთხევანიდან“ მოგვყავს. (ლოცვა უნდა აღაკლინოს ღეთის მსახურმა).

ლოცვაში წმიდა ტრიფონი აღწერს ღმრთისაგან სასჯელად მოვლენილი მავნებლების მიერ ვენახის, ყანის, ბოსტნისადმი და საერთოდ ნაყოფიერი და უნაყოფო მცენარეებისადმი მიყენებულ ზიანს და ასახელებს იმ მავნებლებს (მუხუნძველი-ფოთლის მჭამელი; მკალი, მკალია-კალია; ბუზა-ბუზი; სყანთარი-მძრომელი; ქუქარმძრომელი-მხოხავი ქვეწარმავალი (აღბათ ნაგულისხმევია ნიადაგში მცხოვრები მავნებლები კ.ბ.); ძირისმჭამელი გესლი (აღბათ მახრა კ.ბ.), რომლებმაც გააფუჭეს, გახრწნეს, გაანადგურეს მცენარეულობა.

წესი რომელი აღესრულების ყანასა, ვენახსა და ბოსტანსა უნდა: ეკეთუ ავნებდეს ფრინველნი, ოთხფეხნი, ანუ ქვემძრომნი, ანუ სხვა რაიმე მავნე, ესრეთ იქმნების რამეთუ ოდეს ლიტურგია სრულჲყოს მღვდელმან. აღანთონ კანდელნი წმიდისა ტრიფონისა ანუ წმიდისა ევსტათისა, ანუ წმიდისა იულიანესი ღიღანისა. გინა სამთავე ერთად. მოიღოს ზეთი მღვდელმან კანდელთა მათგან და წყალი წმიდისა განცხადებისა და ასხუროს ჯვრის სახით. ყანა იყოს, ვენახი ანუ ბოსტანი და ვსთქვათ ლოცვა ესე:

‘უყვალო ღმერთო ჩვენო, რომელმან დასაბამად ‘შექმენ ‘შენ ცანი და ქვეყანა, და ცაი ‘შეამკევ ღიღთა მნათობთა მიერ, რომე-ლიცა სჩანს ქვეყანასა ზედა, და განკვირვებულ არიან მისთვის, ‘შენ ხოლოსა დაძმადებელისა მეუფისა და ‘შემოქმედისა მიმართ. ხოლო ქვეყანა ‘შეამკევ, მღელღითა, თივითა, და ფერად-ფერადითა თესლებითურთ, თესვად თვითოეულისა და ყოვლისა ყვავილი-სა მ’შვენიერისა და სუნელეზისა კურთხევითა აწ უკუე ესეცა ‘შენვე აკურთხე მეუფეო და მოხედე წმიდით სამკვიდრებელით ‘შენით ნაყოფთა ამათ ზედა და აკურთხენ ესენი და დაიცვენ ესენი ყოვლისა გესლიანისა მჭამელისაგან და გამსრწნელისა, და ყოვლისაგან მავნებელისა მოქმედისა ბოროტისა, კაცთა ბოროტ-თაგან, და მიეც ამას ნაყოფი კეთილი ყანასა თვისსა, აღსრულე-ბუკლი კურთხევითა ‘შენ მიერთა. და ყოველთა მხეცთა, და ფრინ-ველთა, და ყოვლისა რისხვისა და სენისაგან მავნებელისა ამას ზედა მომავალისაგან განაშორე, და წარჰსდევნენ ყოველნი ესე მავნებელნი. რამეთუ წმიდა არს და დიდებულ, ყოვლად პატიო-სანი, და დიდად ‘შვენიერი სახელი ‘შენი, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ. ვიყავ რა კამფსადოს დაბასა და ვიღვწიდი ღერღეტთა და ვაძო-ებდი, რისხვა გარდამოსდა ღვთისაგან ყოვლისა მპყრობელისა, არა ხოლო თუ მას ოდენ ადგილსა, არამედ გარემოისთაცა სო-ფელთა. ესე იგი არს, რისხვა ყოველსა ვენახსა, ყანასა, და ადგილსა და ბოსტანსა, და მეყვსეულად ფურცლისა და ნაყოფი-სა განხრწნა, და დაჭნობა და უჩინოყოფა მოიწია, ვითარ უკუე ვხედავდი მე გლახაკი ტრიფონ, ეგრე განხრწნასა ნაყოფთასა, და ამის მიზეზისაგან, განლევასა კაცთასა, სრულიადსა წარწყმედასა ნაყოფთასა, ვენახთაგან და ბოსტანთა, ყანათა და მხალთა ქვეყა-ნისათა, და ყოველთაგან ხეთა მოსასვრელსა ამას ეგევითარსა მიცემულად ვაძოებდი რა ღერღეტთა, ღმობიერ ვიქმენ და ტკივ-ნეულ, და ვილოცე ლოცვაი უფლისა მიმართ ღვთისა ჩვენისა, უჩინო ყოფად სრულიად, ყოველთა მხეცთა მავნებელთა და განმხრწნელთა, ბოსტანთა, და ყანათა, და ვენახთა, და ყოველთა ხეთა, და ყოველთა მხალთა, და უფროისდა მკვიდრთა მის დაბი-სათა, და ადგილთა მათ მახლობელისა მას ტბისათა, და წოდე-ბად და ვედრებად ჩემდა მოსრულთა. და ესრეთა მოვიდრიკენ მუხლნი ჩემნი ლოცვად, და ხელნი ჩემნი ღვთისა მიმართ წყა-

ლობის მოყვარისა განვიპყრენ, რომელი იგი მარადის ისმენს
ლოცვასა მოსაუთა მისთასა. და მან თავადმან მოავლინა განმზა-
დებულთ სამკვიდრებელთ თვისით ანგელოსი წარწემდად ყოვ-
ლისავე მბრძოლისა, და ყოველსავე ბოროტის მყოფელისა მხე-
ცისა და ქვეწარმავლისა მავნებელისა ვენახთა, ყანათა, და ბოს-
ტანთა მონისა ღვთისა (სახელი) ხოლო: მხეცთა მათ სახელები
ჭეშმარიტებით უწყი ვინაცა ვსთქუა მუხუნძელი, მატლი, მტილ-
კანტი, სკანთარი, ბუზი, ვითარ უცხო მკალი, ეპიმალი, კლილარი
ფესგრძელი, ჭინჭველი, ღორდათვი, რიგიტი, ფვილიტი, ფსალტი,
კაქსოკოლო, ძირისმტამელი, გესლი, ლოფათქინა, იპა, კალკრო,
პარსკური, მუჟარი, დათვი და სხვა ყოველივე რაოდენიცა არს,
გინა ქვეწარმავალი, გინა ფრინველი, განმრყენელი და მავნებე-
ლი, და მაჭნობელი ნაყოფისა, ყურძნისა და სხვათა მათ მცენა-
რეთა და მხალთასა. და არა ხოლო ესე არამედ მეცა თავადმან
ფიცით შეკვრენ იგინი, რათა არღარა შეუძლონ მისვლად ად-
ვილთა განუხალენ იგინი, ხოლო ფიცი იგი ესე არს: გაფუცებ შენ
წმიდათა მიმართ მრავალ თვალთა ქერუბინთა და ექვს-ექვს-
ფრთეთა სერაფიმთა, რომელნი ჰფრინვენ გარემოს საყდართა
ღვთისათა, და ხმობენ, წმიდა-არს, წმიდა-არს, წმიდა-არს უფა-
ლი საბაოთ, საუსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა,
ამინ. გაფუცებ შენ წმიდათა მიმართ ანგელოსთა და მთავარ-
ანგელოსთა, და ყოველთა ძალთა ბევრთა ბევრყულთასა, და
ათასთა ათასთასა, რომელნიცა შიშითა მრავლითა მსდგანან წი-
ნაშე დიდებისა უფლისასა. ნუ ავნებ ვენახსა, ნუცა ბოსტანსა,
ნუცა სხვათა ხეთა, გინა მხალთა მონისა ამის ღვთისა (სახელი)
არამედ წარვედით უდაბნოთა, მთათა და უნაყოფოთა ხეთა, რო-
მელთაგან მოცმადლა თქუენ ღმერთმან დლითიდღედი საზრდელი.
გაფუცებ შენ პატიოსანსა ხორცსა და სისხლსა ქრისტეს ჭეშმა-
რიტისა ღვთისასა, და მაცხოვრისა ჩვენისასა, რომლისა მიერ
მოგუეცა ჩუენ ცხოვრებაი და გამოხსნაი, და სახელისა მისისათ-
ვის გვეგულეების სიკვდილი, ნუ ავნებთ, ნუცა ყანასა, ნუცა ვენახ-
სა, ნუცა ბოსტანსა, ნუცა ყოველსავე ხესა ნაყოფიერსა და უნა-
ყოფოსა, ნუცა თესლად-თესლადსა მხალსა ფურცელთაგან ვიდ-
რე ძირამდე, რომელი გარე შემოზღუდა ადგილი ესე მონამან
ამან ღვთისამან, უკეთუ კულავ ურჩ მექმნეთ მე, და ფიცი, რო-
მელ გაფუცე გარდახდეთ, არა მე ურჩ-მექმნებით მდაბალსა ამას

და გლახაკსა ტრიფონს, არამედ ღმერთსა აბრაამისა, ისააკისა, და იაკობისა, მოძავალსა განსჯად ცხოველთა და მკვდართა. რომლისათვის პირველ გარქუ, წარვედით თქუენ ველურთათა მათათა და უნაყოფოთა ხეთა და ყოველსავე უნაყოფოთა ნივთსა. ხოლო უკეთუ არა მერსდეთ, მე, ვევედრო კაცთ-მოყვარესა ღმერთსა, რათა მოავლინოს ანგელოსი იგი, რომელი არს მხეცთა ზედა, და რკინითა და ბრღენითა შეტრყნეს თქუენ და მოგსრნეს თქუენ ფუცებისა და ლოცვისა ჩვენისა შეურაცხებისა წილ გლახაკისა და მდაბლისა მონისა ღვთისა ტრიფონისა, და სირთა ფრინველთა ლოცვითა ჩემითა მოძავალთა შეგჭამნეს თქუენ.

მერმე გაფუცებთ თქუენ წმიდასა და დიდებულსა სახელსა, რომელი გამოიწერა კლდესა ზედა, და ვერ იტვირთა, არამედ განიბო ვითარცა ცვილი წინაშე პირსა ცეცხლისასა. ეგრეთცა თქუენ ყოველნი დაჰსდნით, მხეცნი მავნებელნი ჩვენი, ნივთთა მათგან, რომელნი პირველ გარქუ, და აღლაგთა უვალთა, ურწყულთა, უნაყოფოთა განვედით, ადგილთაგან და საზღუართა მონათა ღვთისათა, რომელნი მსადიან მე შემწედ მათდა, და ხელის აღმპყრობელად, და მსსხელად საცხოვრებელად. რათა ამასცა ზედა იდიდოს სახელი, მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ. ლოცვა და ვედრება წმიდისა ტრიფონისა სრული-იქმნა ძალითა ღმერთისათა: რაპეთუ მისა შუენის დიდება და სიმტკიცე საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.

მეუფეო უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან განაცხებისა შენისა განგებულებითა აკურთხე ბეთლემი და გეთსამანია, და პირველად სახლი იაკობისი, რომლისა კურთხევითა სახელ-ვედუა, ისრაილ, და სახლიცა დავითისა აკურთხე. აკურთხე დანერგულნიცა ესე, და ჰყავ ესე კურთხეულ ნაყოფისა გამოძღებულად მეოხებითა ყოველად-უხრწნელისა დედოფლისა, ჩუენისა ღვთის-მშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისათა. ძლიერებითა პატრიოსნისა, და ცხოველს-ყოველისა ჯვარისათა, წმიდისა და დიდებულისა წინასწარ-მეტყველისა, წინა-მორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესითა, წმიდათა და დიდებულთა მოციქულთა, წმიდათა და ღუაწლისა-მძლეთა მოწამეთა; წმიდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა ტრიფონისა, ევსტათისა, და ივლიტასითა და ყოველთა წმიდათა შენთათა, რამეთუ შენ ხარ, რომელი აკურთხევ და განასწმედ ყოველთა, და შენდა დიდებასა აღუვლენთ,

თანადღაუესაბამოდ მამით, და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველს-მყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



1.2.3. ლოცვა

ბაღაბოს, მინდვრავისა და ბოსტნავის განვებლებიანსა დაცვისათვის

ტროპარი: მოწამეჲს შენმან, უფლო. ცრიფონ. მოივო ღეაწლსა შინა თვისსა გვირგვინი უზრწნელებისა შენ მიერ ღმრთისა ჩვენისა, რამეთუ აქენდა მას შენ მიერი ძალი, და მძლავრი დაამსუა და შემუსრა კერძთა იგი უძლოერი ძალი მისითა მეთხებითა. ქრისტე ღმერთო, აცხოენენ სულნი ჩვენნი.

კონდაყი: სამებისა მიმართითა სიმტკიცისა სიმძაველენი ღმერთნი დახსენ და ქექყანასა ზელა ქრისტეს მიერ პატიოსან იქვენ, ყოვლადქებულო, და ხძლო მძლავრისა მას, და ქრისტე მაცხოვრისაგან გვირგვინოსან იქვენ, და წამებისა შენისა მიერ განშვენდ. და მოგკა უცილისა მიერ საღმრთო ნიჭი კურნებათა ვითარცა პატიოსანსა მოწამესა.

თავი II. შხამიანი მცენარეები მცენარეთა ღაცვის ხალხური საშუალებები

2.1. მოკლე ცნობები მცენარეული შხამებისა და შხამიანი მცენარეების გამოყენების შესახებ

მცენარეული სამყაროს საერთო რიცხოებრივობის დაახლოებით 2%-მდე (10000 სახეობა) შხამიანია. მათ შორის უმრავლესობა ფარულთესლიანებია; ბაიასებრთა, ძაღლყურძენასებრთა, რძიანისებრთა და თუთისებრთა ოჯახში შემავალი სახეობების დიდი ნაწილი შხამებს შეიცავს, რთულყვავილოვანთა და კაცტუსისებრთა შორის კი ასეთი სახის მცენარეები მცირე რაოდენობითაა. ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იმავე სახეობისათვის განსხვავებული შხამიანობაა დამახასიათებელი. მაგალითად ტილჭირი. ყაყაჩო, ხანტკოლა, მატკვარცანა ზოგიერთ ადგილებში შხამიანია, ზოგან კი ასეთ თვისებებს არ ამჟღავნებენ (რაც კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული), არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ეკვატორული სარტყელის მცენარეები სხვა პირობებში ტოქსიკურობას არ ამჟღავნებენ.

ჩვენი ქვეყნის ფლორის გარკვეულ ნაწილს შხამიანი მცენარეები შეადგენენ, რომლებიც იწვევენ ადამიანებისა და ცხოველების მოწამლვას. შხამიან მცენარეები უგემური, მომწარო გემოს, არასასიამოვნო სუნის მქონე მცენარეებია, რომლებიც საკვებად არ გამოიყენება. ზოგიერთი შხამიანი მცენარის გემო ოხრახუშის, ნიახურის, თაღგამურას, ბოლოყის, კამას, ქინძის და ბევრი სხვა მცენარის მსგავსია, ამიტომ თვით ბუნება აფრთხილებს ადამიანს - არ მიეკარო, არ აიღო, არ შეჭამო. მომშხამავი ნივთიერებები ბევრ ყოველდღიურად საკვებ მცენარეებშიც გვხვდება. უსიამოვნებები შეიძლება სპეციალურ ნაკვეთებზე კულტივირებულ სამყურნალო მცენარეებთან (ბელადონა, აბუსალათინის თესლი, ხეჭრელის ნაყოფი და სხვ.) ურთიერთობის დროსაც შეგვხვდეს.

შხამიან მცენარეებში არსებულ ტოქსიკურ ნივთიერებებს მიეკუთვნებიან ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, მწარე, არასასიამოვნო სუნის ნივთიერებები, ტოქსინები, ფისები და სხვ. სმირ შემთხვევაში ამ და სხვა ნივთიერებების მანე რეგანიზმზე

მოქმედების მექანიზმის გამოვლინება (სამკურნალო თვისებები, მაგნე მწერებსე მოქმედება, გარემოში არასასიამოვნო სუნის გამოყოფა და სხვ.) განსაზღვრავს მცენარეების სახელწოდებას, ხალხურ სინონიმებს. ასე, მაგალითად: ანაგვირილას ქიზიყში რწყილის დედას ეძახიან; წითელ გვირილას - ქართლ-კახეთში - რწყილი კალიას, ქვემო ქართლში რწყილის წამალს, თუშეთში სარწყილას; შმაგას - ფშავში გიჟანას, ერწოში საგიჟებლას, კახეთში, ფშავში - ცოფის ბალახს; ასისთავას - კახეთში - დედა-მიწის ნაღველას, გურიაში ხინახინას, ქინაქინას, აჭარაში ხინას, თავცეცხლას; ასფურცელას - მოხევეები - ხინაის; ლენციოფას - მოხევეები ბარის ჩხამაის, სამეგრელოში - წირკიმ წამალს; ლემას - სამეგრელოში ჩხოუში ჭორიში წამალს, ყვაპუშო წამალს, ლეჩხუმში - ხოკის ბალახს, ღორი ხოკს; უჯანგარს კახეთში მყრალა, მყრალა ბალახს, ლეჩხუმში - შავცოცხას (უჯანგარს ჩვენში ხშირად ცოცხალ ცოცხად რწყილების წინააღმდეგ იყენებდნენ) ეძახიან, რაც შეეხება შხამას სახელწოდება საკვებით ასახავს მის თვისებებს - შხამიანობას.

ორგანიზმზე შხამიანი მცენარეების ტოქსიკური მოქმედების სიმპტომების მსგავს ნიშნებს ხშირად ამჩნევენ ცალკეული პიროვნებებში და ამის შესაფერის გამონათქვამებსაც ხმარობენ, მაგალითად შხამათი მოწამლვის შემთხვევაში აღინიშნება აღგზნება, მოუსვენრობა, უწესრიგო, გაუფრთხილებელი მოძრაობა და სხვა. ანალოგიური ნიშან-თვისებების მქონე ადამიანის შესაფასებლად ზემო იმერეთში (ხარაგაული, ფარცხნალი) ხშირად გამოიგონია „რავა აპუტრაცი ამოსმულივით გარბის“... „აპუტრაცი ხომ არ ამოუსვია? ან კიდევ „აპუტრაცი ხომ არ უჭამია?“

სხვათაშორის, ასეთი გამონათქვამიც ხშირად მსმენია - „საქონელს სასკორაზე რომ აპუტრაცი წაუსვა, შეიძლება ვეღარ დააკვო და კლდეზეც გადაიჩხოსო“; ამიტომ მოუსვენარ და აღგზნებულ საქონელზეც იტყოდნენ ხოლმე „აპუტრაცი ხომ არ აქვს ამოსმულიო“. აღგზნებულ და არანორმალურად მოსაუბრეს საუბრისას ეტყოდნენ - „ლენციოფა ხომ არ გიჭამია?“

ასეთი გამონათქვამები მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანებისთვის კარგად იყო ცნობილი შხამიანი მცენარეები და მათი თვისებები.

საინტერესოა როდის გააანალიზა ადამიანმა შხამიანი მცენა-

რეების თვისებები და როდის დაიწყო თავის სასარგებლოდ მისი გამოყენება? უნდა ვივარაუდოთ, რომ მან უხსოვარი დროიდან მიაქცია ყურადღება 'შხამიან მცენარეებს. კერძოდ, როდესაც 'შე-ისწავლა მათი კვებითი ღირსებები. ადამიანის მიერ საჭირო იყო მცენარის მრავალრიცხოვანი ყვავილების, ნაყოფების, ღეროების, ფოთლების და ფესვების 'შესწავლა-შემოწმება, სანამ გაიასრებდა მათ სასარგებლო და მავნე თვისებებს. გარეულ, 'შემდეგ კი მო-შინაურებულ ცხოველებზე დაკვირვებამ ადამიანი დაარწმუნა იმაში, რომ საკვებ მცენარეებშიც არიან 'შხამიანები. 'შემდეგში 'შეამჩნი-ეს მათი სამკურნალო თვისებებიც, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმე-ბის წინააღმდეგ 'შხამების გამოყენებას გაცილებით უფრო ადრე მიექცა ყურადღება. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ჰიმალაის მთებში დასახლებული უძველესი ტომები სპილოებსა და დათვებზე ნადირობისას იყენებდნენ ტილჭირისაგან მიღებუ-ლი 'შხამით მოწამლულ ისრებს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება მტერთან საბრძოლველად მოშხამული ისრების გამოყენება, რის შესახებაც ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა. ისრების მოსაშხა-მად ხშირად სტოფანტინის, სტრიქნინის, აკონიტინის, კურარესა და სხვა 'შხამების 'შემცველ მცენარეებს იყენებდნენ.

'შხამების თვისებები და ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი სიბნელით, საიდუმლოებით და უცოდინარობით იყო მოცული, ამის გამო მას უკავშირებდნენ მავნე სულებსა და 'შავ შაგიას. ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში მრავლად მოიპოვება მასა-ლები 'შხამების დამზადების და ბოროტი განზრახვით გამოყენე-ბის შესახებ. მითოლოგიური მონაცემებით 'შხამის მოქმედება და-კავშირებულია არა მის თვისებებზე და 'შემცველობაზე, არამედ ჯადოსნურ ბოროტ მოქმედებასთან. ცნობილია, რომ კოდსეთის საშეფოში აიეტის შეფობის დროს ზღაპრული ბალი არსებობდა, სადაც მრავლად იყო სხვადასხვა 'შხამიანი და სამკურნალო მცე-ნარეები; ბალი დაცული იყო მაღალი ღობითა და ძაღლებით. ანალოგიური ბალები ჰქონდათ იბერიასა და თესალიაში, თავისი საქმიანობით და ცოდნით გამოირჩეოდნენ აქ მომუშავე ფარმაკი-დები - ჯადოქრები, რომლებიც კარგად ფლობდნენ 'შხამებისა და წამლების სამკურნალო მოქმედების საიდუმლოებას. 'შემთხვევითი არ არის, რომ მეცნიერებამ წამლების მოქმედების შესახებ, სა-ხელწოდება ფარმაკოლოგია მიიღო, ფარმაკიდები მცენარეებისა-

გან შხამებს აწარმოებდნენ. მათ შორის აღსანიშნავია მანდაგორა, ლენციოზა, ლემა და სხვ.

მითის ერთი ეპიზოდი დაკავშირებულია კოლხეთის მეფის ასულის მედეას სახელთან, კერძოდ იასონის ღალატის გამო მედეამ გადაწყვიტა შურისძიება მეტოქე კრეუსას მიმართ; მედეამ კრეუსას მიართვა შხამით გაუღნთილი უმშვენიერესი მოსასხამი და გვირგვინი. მათი სიღამაზით მოსიბლულმა კრეუსამ მოსასხამი მამინვე მოისხა და გვირგვინიც დაიდგა, მაგრამ მალე საშინელი ტკივილებით გარდაიცვალა.

შხამების შესახებ უფრო სარწმუნო მონაცემები ახალი წელთაღრიცხვის წინა პერიოდს მიეკუთვნება. ჩვენამდე მოღწეული მასალები მიუთითებს, რომ დასაწყისში შხამები უპირატესად ბოროტი განსრახვით იყო გამოიყენებული, ცნობილია ოპიუმით და ღურძანით მოწამლვის შემთხვევები. აღნიშნულის შესახებ მასალებს ძველ ინდურსა და ბერძნულ წყაროებში ვხვდებით. ახალ ერაშდე დაახლოებით 300 წლით დათარიღებული თეოფრასტეს ნაწერებში მოთხრობილია მცენარეში არსებულ შხამებზე სამკურნალო საშუალებებსა და წამლებზე.

ცნობილი მედიკოსის გალენის შრომებში, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში მოღვაწეობდა, განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს მოწამლვის აღწერას.

ქსენოფონტეს მონაცემებით ახლო აღმოსავლეთში შხამები უსსოვარი დროიდან იყო ცნობილი. პანიბალის სიკვდილის მიხედვით შხამის მიღებას თვლიან: ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით პანიბალმა ბეჭედში შენახული შხამით მოიწამლა თავი. ძველად შხამები უპირატესად მიზნობრივად აღამიანების მოსაწამლავად იყო გამოიყენებული. მეფეები სშირად მათ მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად იყენებდნენ. მაგალითად, რომის მრისხანე მბრძნებელმა ნერონმა ტახტის კანონიერი პრეტენდენტის ბრიტანიკის წინააღმდეგ შხამი გამოიყენა, რომელსაც საყვებთან ერთად აძლევდა, მაგრამ მიცემული ღოზა საკმარისი არ აღმოჩნდა, ბრიტანიკი სიკვდილის ნაცვლად დასუსტდა. ნერონმა ბრძანა დაემზადებინათ უფრო ძლიერი შხამი, რომელიც პირველად თხასა და გოჭზე გამოსცადეს, რომლებიც შხამის მიღებისთანავე დაიღუპნენ. ამის შემდეგ ნერონმა ბრძანა საწამლავი სადილთან ერთად მიეტანათ მასთან ერთად მონადიმე ბრიტანიკისათვის, რო-

მელიც პირველივე ლუკმის მიღებისთანავე დაიღუპა.

ცნობილია ისიც, რომ პონტოს მეფე მითრიდატე სისტემატურად იღებდა სხვადასხვა 'შხამის მცირე დოზებს, რის 'შედგებადაც 'შხამების დიდი დოზების მიმართ თავისებური იმუნიტეტი გამოუმუქავდა. 'შემდგომში 'შხამების მიმართ 'შეგუების უნარს მითრიდატიზში უწოდეს.

ძველი რომის მოაზროვნენი: ტაციტუსი, პლინიუსი და სხვები გვაწვდიან ცნობებს იმის 'შესახებ, რომ რომში დამნაშავეების დასასჯელად 'შხამებს იყენებდნენ, ამ მხრივ ფართოდ იყო გამოყენებული ციკუტა, კონიო; ციკუტამ, რომელსაც აპულეუსმა „დამღუპველი“ ბალახი უწოდა, მრავალი ათენელი და რომაელი მოღვაწე 'შეიწირა, რომელთა საქმიანობაც მთავრობისათვის მიუღებელი იყო.

'შხამებს აქტიურად იყენებდა იმპერატორი ლივიუსი, რომელმაც კარის ექსპის დახმარებით მოწამლა ტიბერიუსის 'შვილი დრუზუსი. არსებობს ეჭვი იმის 'შესახებ, რომ იმპერატორი მარკუს ავრელიუსიც 'შხამის მსხვერპლი გახდა. 'შხამების გამოყენებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ერთ-ერთი ფართო მასშტაბის ტრაგედია განხორციელდა სპარსეთში სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში არტაქსერესე III სამეფო ტახტის დაკავების მიზნით მოწამლა ორი ღვიძლი ძმა და კიდევ ოთხმოცი ახლო ნათესავი, რომლებიც, მისი აზრით, გამეფებაში ხელს 'შეშლიდნენ. მალე ანალოგიური სიკვდილით დაიღუპა მისი საკუთარი 'შვილი არსესიც. ასე რომ, სამეფო ოჯახი მთლიანად განადგურდა.

იმათ გარდა, რომელნიც წმინდა პოლიტიკურ მიზნებს ეწირებოდნენ 'შხამებით იღუპებოდნენ აგრეთვე 'შემთხვევითი პირებიც 'შხამიანი ნაყოფებით, ფესვებით და მცენარის სხვა ნაწილებით გაუფრთხილებელი კვების 'შედგად. დასაშვებია, რომ იყო ძლიერი ტოქსიკური წამლებით მოწამლვის 'შემთხვევებიც, თუმცა ამას 'შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და ეს ფაქტები ისტორიკოსებისა და მწერლების დაინტერესებას არ იწვევდა.

გამოჩენილი მოღვაწეების 'შხამით მოწამლვის 'შესახებ მასალებს ვხვდებით პომპროსის, დიოსკორიდის, დემოსთენეს, არისტოტელეს, თეოფრასტეს, პორაციუსის, კვინტილიანეს, აპულეუ-

სის, პლატონის, პლინიუსისა და სხვათა შრომებში. აქედან შეიძლება გამოვყოთ გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს სიკვდილის შემთხვევა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს მისი მოწაფე პლატონი. ეს შემთხვევა ცნობილია „სოკრატეს თასის“ სახელწოდებით, შესაძინი მცენარე კონიო და მასში შემავალი ალკალოიდი კონიონი ისტორიაში შევიდა შხამი, რომლისგანაც დაიღუპა სოკრატე, პლატონი ასე აღწერს დაღუპვის პროცესს: „როდესაც დაპატიმრებულმა სოკრატემ დაინახა საპყრობილის მსახური ჰიოთხა: აბა, ძვირფასო მეგობარო, რა უნდა ვუყო ამ თასს? მან უპასუხა: შენ ის უნდა გამოცადო, წინ და უკან იარო, სანამ ბარძაყები არ დაგიძიმდება, შემდეგ ზურგზე უნდა დაწვე, მაშინ შხამი დაიწყებს თავის მოქმედებას... სოკრატემ ძალიან მხნედ, ზიზღის გარეშე დაცალა თასი... იგი დადიოდა წინ და უკან, როდესაც შეამჩნია, რომ ბარძაყები დაეძიმდა, ზურგზე დაწვა ისე, როგორც ურჩია საპყრობილის მსახურმა“ და სოკრატე დაელოდა სიკვდილს, ეს იყო ტანჯვით სიკვდილი. რაშიც დაახლოებით გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ დარწმუნდნენ, როდესაც ვენის სამედიცინო ინსტიტუტის სამმა სტუდენტმა თავის თავზე გამოსცადა მომშხამავი ნივთიერების კონიონის მოქმედების შედეგი. მათ დაახლოებით 0,003-დან 0,008 გრამამდე შხამი მიიღეს და აღწერეს მოწამლვის მიმდინარეობის სურათი უფრო ზუსტად და სარწმუნოდ, ვიდრე ეს მოცემულია პლატონთან, თუმცა მან დაწვრილებით დაახასიათა სიკვდილის მიმდინარეობა. სტუდენტებზე მოწამლვის ისეთი სიმპტომები გამოვლინდა, როგორცაა ძილისადმი მიდრეკილება, დორბლიანობა, საერთო დეპრესია, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რბილი ფაფუკი კანი (ისეთი შეგრძნება თიოქოს ორგანიზმში ჭიანჭველები დადიან), ისინი თავს ვერ იჭერდნენ, მოძრაობდნენ ხელების დახმარებით, ბარბაცით, გაუბედავად სიარულისას ფეხები უკანკალებდით და სხვა... ამ ექსპერიმენტით ნათელი გახდა, თუ როგორი ტანჯვით დაიღუპა სოკრატე, მან ხომ თასი ბოლომდე დაცალა.

სმირად არა მხოლოდ ერთი, არამედ ასეულობით ადამიანი იღუპებოდა შხამების მოქმედებით, ეს უფრო მეტად ეხება ჯაროკებს, რომლებიც იღუპებოდნენ მომშხამული ისრებითა და მოწამლული სასმელის ან საკვების გამოყენებისას. იყო ისეთი შემთხ-

ვევებიც, როდესაც გაჭირვებაში მყოფი ადამიანები ტანჯვა-წამების თავიდან აცილების მიზნით იღებდნენ საწამლავს, ასეთ შემთხვევაში ხშირად ციკუტას ხმარობდნენ.

შემდგომში. განსაკუთრებით კი შუა საუკუნეებში გაჩაღებული პოლიტიკური ბრძოლებისა და პირადი კონფლიქტების დროს მეტად გახშირდა მოწინააღმდეგის თავიდან მოცილება შხამის საშუალებით. არცთუ ისე მცირეა მეფეების, პრინციების, გავლენიანი თავადების, ეპისკოპოსების, მათი ოჯახის წევრების სია, რომელთა დაღუპვაც მცენარეული შხამებით იყო გამოწვეული. ამ დროს მოწყობილი შეთქმულებების, სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევებისა და ამ მიზნით შხამების გამოყენების აღწერა მოცემულია არამარტო ისტორიულ რომანებში და მატიანეებში, არამედ ძველ ტოქსიკოლოგიური კვლევის მასალებშიც. თუ გადავხედავთ აღნიშნულ მასალებს, დავინახავთ, რომ სხვა მომწამვლელ ქიმიურ საშუალებებთან ერთად არც თუ იშვიათადაა გამოყენებული შხამიანი მცენარეები, რამაც შესაბამისი ასახვა პპოვა მხატვრულ ლიტერატურაში. იმ ეპოქაში, როდესაც რუსეთში მკურნალობის სფეროში გაბატონებული იყო ექიმბაშობა, მკურნალობის მიზნით ფართოდ ხმარობდნენ სხვადასხვა შხამიან მცენარეებს, მათ ფხვნილებს, ნაყენებს, გამონაწვლილებს. ამ პერიოდისათვის ფართოდ იყო ცნობილი მკურნალი ბომელი, რომლის მომსახურებასაც ხშირად იყენებდა ივანე მრისხანე (ივანე მრისხანეს შვიდი ცოლის დაღუპვის მიზეზი მოწამლეა) სწორედ ამ შავბნელი საქმეების ავტორის სახეა მოცემული ნ.ა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში „მეფის საცოლელ“. ამავე პერიოდში ბორის გოლუნოვმა ცრუ დიმიტრის წინააღმდეგ ბრძოლისას შხამები გამოიყენა.

პოეტები თუ პროზაიკოსები თავიანთ ნაწერებში ხშირად შხამიანი მცენარეების აღწერას მიმართავენ. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ა. პუშკინის შესანიშნავი ლექსი „ანჩარი“, რომელშიც პოეტი დაწერილობით აღგვიწერს შხამიან მცენარეს, რომელიც მომაკვდინებლად მოქმედებს ადამიანზე, თუმცა ამ პერიოდისათვის ცნობილი არ იყო ანჩარში შემავალი შხამი. პუშკინი კარგად ახასიათებს ამ მცენარეს და მის მავნე მოქმედებას:

”შწირ უდაბნოში, სად ხე არ ხარობს,

სად ქვიშა დნება მზის მცხუნვარებით,

მხოლოდ ანჩარი დგას ვით სამყაროს
 გუშაგი მკაცრი და უკარები.
 იგი რისხვის ქამს მწყურვალ სტეპების
 ბუნებამ 'შობა გაბოროტებით
 და მორწყო გესლის, შხამის 'მხეფებით
 მისი ფესვები, ტანი, ტოტები.
 მისი ქერქიდან მოუინავს შხამი,
 დღისით გამდნარი მხურვალე მზისგან;
 იგი ცივდება და 'მემდეგ დამით
 იქცევა სქელ და კრიალა ფისად.
 მხეცი, ფრინველი არ ეკარება
 ამ ხეს საშინელს - სიკვდილის მოხვედლს
 და, როს გრიგალი დაეჭყება,
 შხამს გააყოლებს მომაკვდინებელს.
 და თუ ოდესმე ფოთლებს მძინარეს,
 ნამს გადმოაფრქვევს ღრუბელი ცისა,
 შხამი 'შტოთაგან ჩამომდინარე,
 გავარვარებულს დაესხმის ქვიშას.
 ერთხელ კაცმა კაცს მრისხანე თვალით
 სიკვდილის ხესთან წასვლა ანიშნა,
 მონამ მოლახა ვრცელი ტრამალი,
 და დილით მეფეს წარუდგა წინა;
 წარუდგა მეფეს და იმ ხის ფოთლით
 მომაკვდინები მიართვა ფისი.
 დაფარულიყო სიმწრის ცივ ოფლით
 ფერმერთალი შუბლი და ღაწვი მისი.
 მუხლს მოეკვეთა, ვით ხე მოჭრილი
 დაეცა მონა სულ განაბული,
 და განუტევა ძლევეამოსილი
 სარდლის წინაშე სული ტანჯული.
 ხოლო მე'უფემ ანჩარის გესლი
 'შეასვა თავის ისრებს დაგკშილს
 და გატყორცნილი სიკვდილის თესლი
 მიმოაბნია მტრის ბანაკში".

ანჩარი სწორედ ის 'შხამიანი მკენარეა, რომლითაც ინდოეთ-
 ში და მაღაის კუნძულზე მცხოვრები ადგილობრივი მკვიდრნი

ისრებს სწამლავდნენ, იყენებდნენ ნადირობისას და მტერთან ბრძოლისას; ა.პუშკინის ეპოქაში არ იცოდნენ ანხარში შემაჯავლი ტოქსიკური ნივთიერების შემადგენლობა. ამჟამად ტოქსიკოლოგებისათვის ცნობილია, რომ ანხარი შეიცავს სტეროიდული ბუნების ნივთიერებას, ანტიარისს, რომლის 90 გრამი საკმარისია 100 სიკვდილის მატარებელი ისრისათვის, ერთი ასეთი ისარი სრულიად საკმარისია მაიმუნისათვის, რომელიც ისრის მოხვედრისას ორ-სამ წუთში იღუპება.

ძველთაგანვე ატროპინი, რომელსაც უდიდესი გამოყენება აქვს მედიცინაში ცნობილი იყო, როგორც შხამი, რომელსაც შეიცავს ბელადონა. ღენცოფა, მანდრაგორი. ისტორია არაერთ საიდუმლოს ინახავს დანაშაულებრივი მიზნით ატროპინის გამოყენების შესახებ, რაც შესაბამისად, მხატვრულ ლიტერატურაშიც არის ასახული. კერძოდ, უ. შექსპირი, თავის ტრაგედიაში „ჰამლეტი“, აღწერს რა ჰამლეტის მამის სიკვდილს (რომლის მიზეზი ღენცოფაა) ანრდილის პირით ამბობს:

“შოკლედ გიამბობ: ერთხელ, როცა სადილის შემდეგ

ჩემ ბაღში ვიწექ და მეძინა ჩვეულებრივად,

ჩუმად მოვიდა ბიძაშენი, ფესმოპარებით,

ღენცოფას წვენით სავსე მინა ეჭირა ხელში

და ის წყეული საწამლაფი ყურს ჩამაწვეთა;

ეს ის წვენია, რაც სწრაფად ვერცხლისწყალივით

ტანში იბნევა და ადგებებს კაცის წმინდა სისხლს,

როგორც რომ რძესა შეავე წვენი; ჩემსედაც იგი

ძალი იზინა და სნეულის ლაზარეს მსგავსად

მსწრაფლად გადამეკრა წმინდა კანხედ საზისლი ქერტლი”.

უ. შექსპირი თითქმის შესაშურ პროფესიურ დონეზე აღწერს ღენცოფაში შემავალი შხამის - ატროპინის მოქმედებას და მას აღადრებს ისეთ ძლიერ შხამს როგორც ვერცხლისწყალია, აქვე მოშხამვის დამახასიათებელ სიმპტომებსაც იძლევა.

როდესაც ვეცნობით შხამებით მოწამლვის საიდუმლოებებს და დრამატიზმით აღსავსე სიკვდილს გამოწვეულს დარიშხანით, ოპიუმით, აკონიტით, ატროპინით და სხვა შხამებით, ისმის კითხვა რატომ ჰქონდათ მათ გამოყენების ფართო არეალი და რატომ იყენებდნენ ასე ხშირად ანგარების მიზნით?

ამ კითხვაზე საინტერესოდ იძლევა პასუხს კვინტილიანე, რო-

მელიც ყველა სხვა იარაღთან შედარებით უპირატესობას შხამებს ანიჭებს: როგორც უხმაუროს, უსისხლოს, მალულს, უჩუმარს. აი, ასეთი არგუმენტები მოაქვს შხამების სასარგებლოდ და ასკვნის: “შხამი ძნელად გამოიკნობა, ვიდრე მტერი”.

თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცენარეული შხამებს სამკურნალო მიზნით გამოყენებას. მცენარეულ შხამებს სოფლის მეურნეობაშიც ხმარობენ მცენარეებისა და ცხოველების მავნე ორგანიზმებისაგან დასაცავად.

საინტერესოა ისიც, რომ შხამიან მცენარეებს, რომელთაც აქვთ მოშხამვის თვისებები, ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები საკვებად მაინც იყენებენ, თუმცა ადამიანებისათვის მათი გამოყენება საკვები მიზნით ყოველად დაუშვებელია. აი, ამის შესახებ რას წერს ცნობილი ზოოლოგი და პოეტი პროფესორი ნ.ა. ხოლოდოვსკი:

“ბუნება მდიდარია საიდუმლოებებით,
ბრძენს ვერ ძალეძს მისი ახსნა,
რაც მოშხამავია სურათებსათვის,
ის საკვებია ბუგრებისათვის”.

მცენარეებში მავნე ორგანიზმების მიერ მიყენებულ ზიანს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს კაცობრიობა უძველესი დროიდან აქცევდა ყურადღებას. დღეს მათ შესახებ ცნობებს ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგებიდან იღებენ.

პირველ ცნობებს კულტურული მცენარეების მოვლა-მოყვანის შესახებ ვსვდებით მესოპოტამიაში ჯერ კიდევ ახალ ერაშდე მეოთხე ათასწლეულში. ამავე პერიოდის წერილობით ძეგლებში მოიხსენიება მარცვლეული კულტურების ავადმყოფობებიც. შემდგომში მიწათმოქმედების მაღალი კულტურა მიღწეული იქნა ეგვიპტეში ახალ ერაშდე 3000-1000 წელს. ეგვიპტის არქეოლოგიურ ძეგლებში ასახულია კალიების, მღორღნელებისა და ავადმყოფობებისაგან გამოწვეული ზარალი. ბიბლიაში აღწერილია იმ გასაჭირის შესახებ, რომელიც კაცობრიობას კალიების შემოსევამ მიაყენა. არსებობს მასალები მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესახებაც. კერძოდ, ახალ ერაშდე 400 წელს დემოკრიტე მყოითიებს კლდისდუშას გამოწვევით (წვენით) მარცვლეუანების თესლის შეწაპლვის შესახებ, ახალ ერაშდე 410 წელს პალადიუსი მარწყვის რწყილის წინ-

ააღმდეგ ლენცოფას გამოანაწურის, მინდვრის თავეების წინააღმდეგ კი წყავის გამოყენებას გვირჩევს.

პირველი ცნობები მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეული წარმოშობის შხამების გამოყენების შესახებ მიეკუთვნება ახალ ერამდე მეოთხე საუკუნეს, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის არმიამ პარაზიტების წინააღმდეგ დაღმაცეური გვირილის ფხენილი გამოიყენეს. დაღმაცეური გვირილის გამოყენებას შემდგომშიც არ მოკლებია ყურადღება, კერძოდ 1818 წელს კავკასიაში სასომხეთის ერთ-ერთ მასრაში სუმბატთან დაიწყო გვირილას შეგროვება, მისგან ფხენილის დამზადება - ექსპორტირება. 1840 წელს ანა როზაუერმა შენიშნა გვირილას ინსექტიციდური თვისებები. კერძოდ, გვირილას გამხმარი ყვავილების ირგვლივ ნახა დაღუპული ბუხები, ამის შემდეგ მან დაიწყო მცენარის შეგროვება, ფხენილის დამზადება და რეალისაცია, როგორც მავნე მწერების გამანადგურებელი საშუალებებისა.

როგორც აღვნიშნეთ, მცენარეთა მავნებლებს უძველესი დროიდან აქცივდნენ ყურადღებას, კერძოდ, ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის, ინდოეთის, ჩინეთის სწავლულთა უძველეს წიგნებში გვხვდება ცნობები სოციერთი მავნებლების აკადემიკოფობებისა და მათ წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ცნობები ცხოველებსა და მწერებზე მოცემულია ძველი ბერძენი მეცნიერის არისტოტელეს მიერ 10 წიგნად გამოცემულ „ცხოველების ისტორიაში“ (ახალი წელთაღრიცხვამდე 384/5 322 წწ.).

დაახლოებით 2000 წლის წინ ცნობილი რომაელი მოღვაწეები: კატონი, ვარონი, კოლუმელა, ვერგილიუსი, განსაკუთრებით კი ცნობილი ისტორიკოსი და ენციკლოპედისტი პლინიუს უფროსი (ახალ წელთაღრიცხვის 23-79წწ.) თავიანთ წიგნებში სოფლის მეურნეობაში მცენარეთა მავნებლებისა და აკადემიკოფობების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის შესახებ მიუთითებენ და იძლევიან რეკომენდაციებს იმ დროისათვის ხელმისაწვდომი ბრძოლის საშუალებების გამოყენების თაობაზე.

პლინიუს უფროსი თავის 'შრომებში' მიუთითებს მცენარეთა აკადემიკოფობების მავნეობის შესახებ და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. აი, ერთ-ერთი მათგანი: მავნებლებისაგან

ვაზის დასაცავად ურჩევს 6,5 ლიტრ ზეთისხილის გამონაწურის, ნარჩენ-ნაღეკის თაფლისმაგვარ მასამდე დაღუღებას, მესამედი ნაწილი ფისის, მეოთხედი ნაწილი გოგირდის დამატებას, ხელახალ დაღუღებას ღია ცის ქვეშ (დახურულ შენობაში მოსალოდნელია ააღება), მიღებული მასით ვაზის შტამბისა და განშტოებუბის შეღებვას, რაც ამ უკანასკნელს მავნებლებისაგან იცავს. აგრეთვე იძლევა რჩევას დამზადებელი მასის სამი ღლის განმავლობაში ვენახში ახრილობების შესახებ ისე, რომ კვამლი ნაკვეთში ქარის მიპართულებით გავრცელდეს.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის რჩევებს იძლევიან ალბერტ დიდი (ტრაქტატში - მცენარეების შესახებ 1256წ.) და პეტრე კრესტენციუსი. მავნე ცხოველების სისტემაში მოყვანის ცდას ვსვდებით ნიურბერგში 1709 წელს გამოცემულ მცენარეთა დაცვის ანონიმურ ცნობარში.

ბუნებრივია, მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ჩვენ-მაც იყენებდნენ მცენარეთა დაცვის ხალხურ საშუალებებს, მათ შორის მხამიანი მცენარეების ნახარშებს, ნაყენებს, ფხვნილებს, აეროზოლებს, მომხამულ-მისატყუებელ მასალებს, ისეთ მცენარეებს, რომლებიც მავნებლებს აფრიხობენ, მაგრამ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში შედარებით მწირი მასალები მოვიპოვეთ, თუმცა ამჟამადაც მოიპოვება ინფორმაცია ინდივიდუალურ მეურნეობებში მათი გამოყენების შესახებ, კერძოდ, ლობიოს მემარცვლის წინააღმდეგ იყენებენ კაკლის ფოთოლს, სვიის ყვავილებს, გარეულ კანაფს, მყრალა ბაღახს, ნიორის ნაყოფის, ძორღნელების წინააღმდეგ სოროუნში და შენობებში ბალის პიტნის კონებს ათავსებენ, კალორადოს ხოჭოს კაკლის ფოთლის ნახარშით ებრძვიან; ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ კი სხვა საშუალებებთან ერთად კაკლის, დაფნის, თამბაქოს ფოთლების ნაყენის ნახარშის ნარევს იყენებენ. თხუნელების დასაფრთხობად მცენარეების რიგთშორისებში თესავენ კამას, ხახვის ბუზის წინააღმდეგ ქინძს, მახრების წინააღმდეგ კარტოფილისა და პომიდორის დასარგავ ორმოებში ნაცართან ერთად ათავსებენ დაფნის ფოთლებს და სხვ. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ მცენარეთა დაცვაში მხამიანი მცენარეების გამოყენების შესახებ. თუმცა აღნიშნული საკითხები შესაბამის თავებში უფრო

დაწერილებით იქნება განხილული.

მიწათმოქმედების განვითარების ისტორიის მანძილზე ადამიანი ცვლის ლანდშაფტს და მცენარეების მოვლა-მოყვანის წესებს. ეს წესები თავისებურად მოქმედებს მავნე ორგანიზმებზე, კერძოდ, ერთი სახეობის განვითარება იწვევს, მეორისათვის კი ხელსაყრელი პირობები იქმნება, ზოგიერთი მავნებლები (კალიები, მდელოს ფარვანა, მავნე კუსებურა ბაღლინჯო, თავისებური მღრღნელები და სხვ.), ავადმყოფობები (კარტოფილის ფიტოფტორიზი, მარცვლეულის და სხვა კულტურების კომპლექსი ავადმყოფობები) და სარეველა მცენარეები მასობრივად მრავლდებიან და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას.

სოფლის მეურნეობისადმი მავნე ორგანიზმების მიერ მიყენებული ზარალი, მაშინ უფრო დიდი იყო, როდესაც მცენარეთა დაცვის სამსახური ძალიან დაბალ დონეზე იდგა. არცთუ ისეთი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა პესტიციდების, სპეციალური დანიშნულების მანქანა-იარაღების და აპარატურის ასორტიმენტი. მცენარეთა დაცვა განიცდიდა კვალიფიციური კადრების, ამ დარგში მომუშავე მეცნიერ-მუშაკების ნაკლებობას. მცენარეთა დაცვის საშუალებები და სპეციალური აპარატურა სასღებარგარეთიდან შემოჰქონდათ. შემდგომში ქიმიური მეცნიერებისა და მანქანათმშენებლობის განვითარებამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ქსელის გაფართოებამ ხელი შეუწყო მცენარეთა დაცვის სამსახურის სრულყოფას, რამაც შესაბამისად იმოქმედა მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ რაციონალური ბრძოლის ღონისძიებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე. ბუნებრივია, შემცირდა მავნე ორგანიზმებისაგან მიყენებული ზარალი, გაუმჯობესდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი. უკანასკნელ პერიოდში კი რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა, მკვეთრად შემცირდა მცენარეთა დაცვის საშუალებებით და სპეციალური დანიშნულების აპარატურით მომარაგების სისტემა. დღეს ქვეყანაში ხშირად შემოდის უხარისხსო, ვადაგასული, არამიზნობრივი დანიშნულების მცენარეთა დაცვის საშუალებები, რის შედეგადაც ზიანდება სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მასობრივად მრავლდება მავნე ორგანიზმები, იზრდება მცენარეების დაზიანების ხარისხი, მცირდება წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. მისი ხარისხობრივი მანქნებლები.

მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება რთულდება იმის გამოც, რომ გაიზარდა მცენარეთა დაცვის საშუალებების სარეალიზაციო ღირებულება, წვრილგლეხური ინდივიდუალური მეურნეობები ვერ ახერხებენ მცენარეთა დაცვის საშუალებების შექმნას, ბრძოლის ღონისძიებების დროულ და უსაფრთხოდ გამოყენებას.

მცენარეთა დაცვაში არსებული ხარვეზების გამოსწორება შეიძლება თანამედროვე ღონისძიებებთან ერთად მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებების, მათ შორის შხამიანი მცენარეების სამუშაო პრეპარატული ფორმების - ნახარშების, ნაყენების, ფხვნილების, მოშხამულ-მოხატვეული მასალების, აეროზოლების, მავნებლების მიმხიდველი და დამაფროხობელი მცენარეების გამოყენებით.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებების შესწავლას. მათ შორის მცენარეული შხამების, უფრო სწორად, შხამიანი მცენარეების გამოყენებას. ამ მიზნით ვაგრძელებდით ხალხში გავრცელებულ ცნობებს, ხელმისაწვდომ ლიტერატურულ წყაროებს და მათი ანალიზისა და საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე წარმოვადგენთ მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ შხამიანი მცენარეების გამოყენების ტექნოლოგიას. ვფიქრობთ, აღნიშნული ხელს შეუწყობს მცენარეთა დაცვაში არსებული დეფიციტის შევსებას, ძველი ხალხური ეფექტური საშუალებების გამოვლინება-გამოყენებას.




2.2. მცენარეთა ღაცვაში გამოყენებული ხალხური მცენარეული საშუალებები

2.2.1. ბ.


2.2.1.1. აბზინდა. ხალხური სინონიმები: თუმეთში - კატატყუ-
და; ხევსურეთში აბზინტა; ზემორაჭაში სიმტკლის ბაღახი;
სამეგრელოში აბზინდე; სევში ყარტიმერაღაი; სულხან-საბა
ორბელიანის მიხედვით აბზინდი.

ნახარშის დასამზადებლად დამტკნარ 1 კგ მიწისზედა ნაწი-
ლებს 10-15 წუთის განმავლობაში ადულებენ მცირე რაოდენობის
(დაახლოებით 2 ლიტრი) წყალში, შემდეგ აცივებენ, გამოწურა-
ვენ და უმატებენ 10 ლიტრ წყალს, ეფექტიანობის გაზრდის მიზ-
ნით მას უმატებენ ქათმის განავალს (1 კგ ქათმის მშრალ სეინტლოს
მცირე რაოდენობას წყალში აყოვნებენ 1-2 დღის განმავლობაში),
შემდეგ ნარევს გაწურავენ, უმატებენ წყალს იმ რაოდენობით,
რომ შეივსოს 10 ლიტრამდე, იყენებენ ფოთოლმღრღნელი მავ-
ნებლების მატლების წინააღმდეგ (შვიდი დღის ინტერვალით).




ვაშლის ნაყოფჭამიას მატლების წინააღმდეგ ნახარშის დასამ-
ზადებლად აბზინდას ნედლ მიწისზედა ნაწილებს ჭრიან წვრი-
ლად, ყრიან ვედროში (ნახევრამდე), რომელსაც შეავსებენ ცივი
წყლით 10 ლიტრამდე, აყოვნებენ 24 საათს, შემდეგ 30 წუთის
განმავლობაში ადულებენ (მშრალ აბზინდას იღებენ 700-800 გ)
აცივებენ, გამოწურავენ კარგად, გაფილტრავენ და განასავებენ
წყალთან შეფარდებით 1:1; იყენებენ ნაყოფჭამიას წინააღმდეგ.

ვაშლის ძირში დათესილი აბზინდა ნაწილობრივ ამცირებს
ნაყოფჭამიას მავნეობას.



0,5 კგ წვრილად დაქუცმაცებულ აბზინდას ასხამენ 10 ლიტრ
წყალს, უმატებენ 1 ჭიქა ხის ნახშირს, 1 სუფურის კოვზ თხევად
საპონს, აყოვნებენ 3-5 საათს, კარგად გამოწურავენ და ასხურე-
ბენ კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ.



ფრინველებისაგან თესლის დასაცავად იყენებენ აბზინდას ნა-
ყენს, რომლის დასამზადებლადაც 900 გ მიწისზედა ნაწილებს

უმატებენ 1 ლიტრ მდუღარე წყალს, აყოვნებენ 20-30 წუთს, შემდეგ გამოწურავენ, ასეთი წესით დამზადებულ ნაყენში 1-2 საათის განმავლობაში ათავსებენ თესვს, კარგად ურევინ, გადამწურავენ, გაშრობის შემდეგ თესავენ.



1 კგ მშრალ ნედლეულს ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, ადუღებენ, გამოწურავენ, იყენებენ ფოთოლმღრღნელი მატყლების, ბუგრების წინააღმდეგ.




2.2.1.2. აბუსალათინი. ხალხური სინონიმები: ქართლში - ზეთის ღობიო; ქიზიქში - ტკიპა-ღობიო; იმერეთში გენატერნაგი; გურიიში ჯუღაბი; აჭარაში - აბუსხველათი.

ამჟღავნებს ნექტიციდურ თვისებებს. მის ფესვებზე სუსტად ვითარდება გალის ქეთებელი ნექტიადები. ხშირად შეიმჩნევა განუვითარებელი გალები, მკვდარი მატყლები, მიმღებთან მცენარეებზე კი ასეთ შემთხვევებს ადგილი არ აქვს. შერეულ ნათესებში მონოკულტურასთან შედარებით მნიშვნელოვნად მკირდება გალიანი ნექტიადების რიცხოვნობა.



2.2.1.3. ავშანი. ხალხური სინონიმები უცნობია.

ავშანისა და ფიჭვის წიწვების ფიტონციდური ნაყენის დასამზადებლად ახალ მოთიბულ ან მშრალ ავშანს ან კიდევ ახალ მოჭრილ ფიჭვის ტოტებს ათავსებენ კასრში, უმატებენ ადუღებულ წყალს 1:1 შეფარდებით. კასრს ახურავენ სახურავს ან სატომრე ქსოვილს. ნაყენს აზავებენ წყალში და მეორე დღეს იყენებენ მოცხარისა და ხურტკმელის ალურას წინააღმდეგ. პირველი წამლობა ტარდება ყვავილობის წინ, შემდეგ ორი კვირის ინტერვალით.




ვაშლის ნაყოფჭამიას წინააღმდეგ შესურება ტარდება ყვავილობის დამთავრებისთანავე, პირველსავე თბილ საღამოს (ტემპერატურა შისი ჩასვლის შემდეგ უნდა იყოს $C 15^{\circ}$). შემდეგი წამლობები ტარდება ერთი თვის მანძილზე ერთკვირიანი ინტერვალით.



2.2.1.4. ამორფა. ხალხური სინონიმები უცნობია.

ჭოტაყისაგან ამზადებენ ნაყენს, რისთვისაც ნედლეულს ორი დღის განმავლობაში ათავსებენ 24 გრადუსიან სპირტში, შემდეგ ნაყენიდან გამოდევნიან სპირტს. უმატებენ წყალს 1:10 შეფარდებით ნედლეულის წონითი ერთეულის გათვალისწინებით. გამოიყენება სხვადასხვა მავნე მწერების წინააღმდეგ.



ინსექტიციდური თვისებებით ხასიათდება ფხვნილიც, რომელიც სველდება ჭოტაყისაგან მიღებული ექსტრაქტით, დაპაყროთხოხელი თვისებებით ხასიათდება ფხვნილი და ექსტრაქტი.



2.2.1.5. ანწლი. ხალხური სინონიმები: გურიაში, იმერეთში - ანწლიკა; სამეგრელოში - ინჭირია, ინჭილა; სვანეთში - განჭვ.

ნაყენის დასამზადებლად 10 ლიტრ წყალზე იღებენ 25 გ მშრალ ან 50 გ ნედლ დაქუცმაცებულ ფოთლებს, აყოვნებენ 24-48 საათის განმავლობაში, შემდეგ წურავენ, ფილტრავენ და ინახავენ მჭიდროდ თავდასურულ ჭურჭელში. ნაყენი ეფექტურია ბუერების წინააღმდეგ. მისი სუნი აფრთხობს თავვისებრ მღრღნელებს, ამიტომ მას ათავსებენ საწყობებში, მარცვალსაცავეებში, ბელლებში, სოროებში და სხვ. მცენარე უნდა შეგროვდეს ყვავილობასა და მსხმოიარობის (ნაყოფების განვითარების) პერიოდში.



2.2.2. ბ.

2.2.2.1. ბალის სატაცური. ხალხური სინონიმები უცნობია.

გამოყენება შეიძლება ნემატოდების წინააღმდეგ საბრძოლველად. სატაცურის ფესვების გამონაყოფი შეიცავს ნემტიციდურ ნივთიერებას, რომელიც ამცირებს ნიადაგში მობინადრე მცენარის პარაზიტი ნემტოდების რიცხოვრივობას.



2.2.2.2. ბურბუმელა, ბაბუაწვერა. ხალხური სინონიმები: ქიზიყში - ყურბანა; თუშეთში - მღვდლის წვერა, საღვიძლა, ღვიძლა; ჯავახეთში - კაბაყუბა, ქაქაბუა; ხევში - ვარდკაჭაჭა, სადღობელია; ერწოში ზონლაყა, ზაქხაზია; იმერეთში ბაბუაწვერა;

ლენსუმში ქარაფშუტა; გურიაში ფუ, ფუბაბუა, ფუსფუსა, ყურისსავსებელა; სამეგრელოში - პაპაში ღვინი; სვანეთში - ქორგილი; ჭანეთში - ხოჯი მონაი, ხოჯი კოყაი.

1 კგ დაქუცმაცებულ მცენარეს ათავსებენ ვედროში. უმატებენ 1 ლიტრ თბილ წყალს, აყოვნებენ 2 საათს, შემდეგ ვედროს შეავსებენ წყლით, უმატებენ 50 გ საპონს, კარგად აურევენ და ასხურებენ მცენარეებზე, ბუერების, თრიფსების, ღიღველას და ტკიპების წინააღმდეგ.



ნაყენის დასამზადებლად იღებენ 200-300 გ გამომშრალ ან 400 გ დაქუცმაცებულ ნედლ ფესვებს, რომელსაც 1-2 საათის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ თბილ (40°) წყალში. გამოწურავენ და იყენებენ ბუერების, თრიფსების, ღიღველასა და ტკიპების წინააღმდეგ. პირველი შესხურება ტარდება კვირტების გაშლისას, მეორე ყვავილობის დამთავრებისთანავე, მესამე კი საჭიროების მისუდვით 10-15 დღის შემდეგ, ნაყენი გამოყენებული უნდა იქნეს დაშლადებისთანავე. ფესვებს აგროვებენ შემოდგომით ჭკნობის პერიოდში.



2.2.2.3. ბრტყელეკალა. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად ნედლეულს (ფოთლები, ღეროები, ყვავილები) ათავსებენ წყალში (1:10) აყოვნებენ რამდენიმე დღეს. შემდეგ გამოწურავენ, იყენებენ ბუერების წინააღმდეგ.



2.2.3. ბ

2.2.3.1. გეორგინა. ხალხური სინონიმები: ქიზიყში კარტოფილის ყვავილი, კარტოფილა.

ნაყენის დასამზადებლად 200-300 გ ნედლეულის ათავსებენ ერთ ვედრო წყალში 3-4 საათის განმავლობაში, შემდეგ გამოწურავენ და იყენებენ მავნე მწერების წინააღმდეგ.



2.2.3.2. გვირილა. მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ გამოყენებულია წითელი გვირილა, დაღმაცხური გვირილა


და სამკურნალო გვირილა.



წითელი გვირილა. ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთში რწყილიყალია; ქვემო ქართლში რწყილის წამალი; თუშეთში სარწყილია; ფშაქში - სომხის ბულულა; წითელი ბულულა; ხეესურეთში - ბუბულა, ბულულა; რაჭაში, ზემო იმერეთში - კაკუტი; ზემო რაჭაში - წითელი კაკული; ჯავახეთში - წითელი ჩინაგი.

დალმაციური გვირილა. ხალხური სინონიმები უცნობია.


შესაფრქვევად ნედლეულს (წითელი გვირილას ყვავილი, დალმაციური გვირილას ყვავილედ) ფქვავენ ძალიან წმინდად, რომელსაც უმატებენ მცირე რაოდენობის წყალს, ურევენ კარგად (ერთგვარი მასის მიღებამდე), შემდეგ უმატებენ წყლის დანარჩენ რაოდენობას, ავსებენ 10 ლიტრამდე. წმინდა ფხვნილის მისაღებად იგი უნდა გაიცრას საცერში, რომელსაც 1 სმ-ზე 3600 ნაწერეტი აქვს, ერთგვაროვანი ნაზავის მისაღებად სუსპენზია უნდა დამზადდეს მუდმივი მორევით.



ემულგირებადი სუსპენზიის დასამზადებლად იღებენ 200 გ ფხვნილს, 200 გ მინერალურ ზეთს (ტრანსფორმატორის), 40 გ საპონს, მცირე რაოდენობის წყალს, კარგად აურევენ ერთმანეთში და თანდათანობით უმატებენ დარჩენილი რაოდენობის წყალს დაწესებულ ნორმამდე.



ნაყენის დასამზადებლად 200 გ დაქუცმაცებულ ნედლეულს 10-12 საათის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში. ნაყენს გამოწურავენ, დარჩენილ ნედლეულს კვლავ უმატებენ 5 ლიტრ წყალს (აყოვნებენ 12 საათის განმავლობაში) შემდეგ გამოწურავენ, ორივე ნაყენს აერთებენ და შესასხურებლად იყენებენ.



გვირილას ყვავილედეები გამოიყენება სათბურების შესაბოლებლად, ამ შემთხვევაში 1 მ³-ზე იხარჯება 5-6 გ ნედლეული, რომელსაც ათავსებენ ტაფაზე, წვავენ გაზის ან ელექტროლუმეზე. წვის გასაუმჯობესებლად ნედლეულს უმატებენ ამონიუმის გვარჯილას ნედლეულის წონის 15-20%-ის რაოდენობით. გვირილა ეფექტურია მავნე მწერებისა და ტკიპების წინააღმდეგ.

2.2.3.3. გვირილა სამკურნალო, სამკურნალო მატრიკარია, ბაზუნა. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად გამწვრალ ნედლეულს (ფოთლები, ყვავილენი, კალათები) წვრილად ქრიან, 1 კგ მწვრალ ნედლეულს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 12 საათის განმავლობაში, შემდეგ ფილტრავენ, ნაყენს აზავებენ სამმაგ წყალში, ყოველ 10 ლიტრზე უმატებენ 40 გ საპონს. იყენებენ მწეწნი მავსებლების წინააღმდეგ.




2.2.3.4. გლედიჩია. ხალხური სინონიმები: კახეთში - ხეეკალა, ხელურსმანა, ლურსმანა. ჭოტი ხე; ქისიქში - დიდეკალა; იმერეთში ქაჯიკალა, ღობის ეკალი, რუსული ეკალი, ქაცვი ეკალი, დიდი ეკალი, საწოვარა; სამეგრელოში რუსული აკაცია.

გლედიჩია კულტივირებულია როგორც ცოცხალი ღობე, ზოგან გაველოურდა. იგი ნარგაობას (იფანს-კოპიტი და სხვ.) იცავს მაკურნასაგან, რაც მეტია ნარგაობაში გლედიჩია, მით შემცირებულია მავსებლით დაზიანების ხარისხი.




2.2.3.5. გულყვითელა. ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთში ნარგისი, კვირისტავა, ტასო ყვავილი, ხლაყნია.

ნათესებში გულყვითელას შეთესვა ამცირებს ფუნარიონით მცენარეების დაავადებას; ანშობს მცირეობის, ბაქტერიების განვითარებას. ნაყენით ამუშავებენ ასტრის თესლს, ამისათვის 1 კოვზ გულყვითელას თესლს უმატებენ 100 მლ წყალს, აყოვნებენ სამი დღის განმავლობაში, შემდეგ გამონაწურში 30 წუთის განმავლობაში ათავსებენ ასტრის თესლებს, აშრობენ და თესავენ.



კარტოფილის რიგთშორისებში დათესილი გულყვითელა აფროსობს კოლორადოს ხოჭოს, მავთულა ჭიებს; მისი გამონაწური აფროსობს კოლოებს, ბუხებს, კრაზანებს.



გულყვითელას იყენებენ ნემტოდების წინააღმდეგ, კერძოდ ნიდერლანდების ერთ-ერთ ქალაქში ძლიერ დაზიანებული ვარდის რიგთშორისებში გულყვითელას დარგვის შემდეგ საგრძნობ-

ლად შემცირდა დასიანება, რაც მიღწეული იქნა მცენარის მიერ გამოყოფილი ფიტონციდების მოქმედებით.

ნემტოდების წინააღმდეგ იყენებენ გულყვითელას თესლის ნაყენსაც, 200 გ თესლს უმატებენ 1 ვედრო წყალს, გამოწურავენ და ასხურებენ დასენიანებულ მცენარეებზე.



2.2.4. დ

2.2.4.1. დაფნა. ხალხური სინონიმები: სამეგრელოში - დაფი; ჭანეთში - დემქნი; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით - დაფნი, რაფინდი.


ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ გამოყენებული მცენარეების (კაკლის ფითოლი+თამბაქო) და სხვა საშუალებების (ძმარი) ნარევი დაფნაც ერთ-ერთი კომპონენტია.



2.2.4.2. დეზურა მალალი. ხალხური სინონიმები უცნობია.

შესაფრქვევად იყენებენ მშრალი ნედლეულის წმინდა ფხვნილს; შესასხურებლად (ნაყენს) 10 ლიტრ წყალში ორი დღის განმავლობაში ათავსებენ მსხვილად დაქუცმაცებულ 400 გ თესლს ან 1 კგ გამომშრალ მწვანე მასას ან 100 გ ფესვებს. ასეთივე შეფარდებით შეიძლება დამზადდეს ნახარშიც. ხარშვა მიმდინარეობს 1-2 საათს, შემდეგ აყოვნებენ 10-12 საათის განმავლობაში, ნახარში და ნაყენი კარგად უნდა გამოიწუროს და გაიფილტროს. ნაყენი მზადდება გამოყენების წინ, ნახარში შეიძლება დამზადდეს გამოყენებამდე, რომელიც ჰერმეტიკულად თავდახურულ ჭურჭელში ბნელ შენობაში შენახვისას ტოქსიკურობას ინარჩუნებს დაახლოებით ერთის თვის განმავლობაში.

დეზურას ნაყენს, ნახარშს და ფხვნილს იყენებენ რგოლური პარკვევიას, კუნელის თეთრულას, ოქროკუდას, ჩრჩილის, კომბოსტოს და ბოლოკის თეთრულას, კომბოსტოს ხვატრის, ხერხიების, ფოთოლმღრღნელი ხოჭოების მატლების, ვაშლის ღიღველას წინააღმდეგ.




დესურას ფხვნილი, ნაყენი და ჩახარში გამოიყენება შინაური ცხოველების პარაზიტების წინააღმდეგაც.



2.2.4.3. დიდგულა. ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთში, აჭარაში დედგულა; სემო იმერეთში - სეკრო, გულყურუ, გულყური; ქვემო იმერეთში (სამტრედიის რაიონი) - ანწლი; ლენხუშში - ხელდრუე; რაჭა-ლეჩხუმში ხეყრუა; ოკრიბაში, ქვემო რაჭაში - სრეკოლა, სრიკოლა; გურიაში - ხელთოფა, თხიფხელა; აჭარაში - სართოფელა; სამეგრელოში - თახვანტია, თახვანტიაშ ჯა, ხინთობალაში ჯა, ინტირაია, ჩვაჩვაბუ, ჩაჩეები, გეყრუა, სვანეთში - გეყრუა, თეყფილა, თოფრა; რაფიელ ერისთავის მიხედვით - ყრუა ხე; დავით ჩუბინიშვილის მიხედვით - თოფჩი.

შავი მოცხარის კვირტის ტკიპას წინააღმდეგ (ყვავილობის წინ), მოცხარის რიგოპორისებში დიდგულას ნედლი ტოტები წყლიანი ჭურჭლით უნდა მოთავსდეს.



თაგვისებრი მღორწყლების დაფრთხობის მიზნით ხეების შტამბზე დიდგულას ტოტებს ასევეენ, ზვისსუ მოაფენენ ტოტებს, ბედლის ირგვლივ ათავსებენ დიდგულას მწვანე ნედლეულს.



ხეხილის ბაღებში (ვაშლი, ქლიავი) და ხურტყმელის პლანტაციაში (ნაყოფტაშიების და ხურტყმელის აღურას დასაფრთხობად) დიდგულას გაშენებას ურჩევენ.



2.2.4.4. დიყი. ხალხური სინონიმები: ქართლში - ხელახაში; ქვემო ქართლში დიყენა; ჯავახეთში, მესხეთში თელახარში; გურიაში, აჭარაში თილახარჩილა, ჩილახარჩილა; იმერეთში დიყა; რაჭაში - მდიყი; აჭარაში - დილიყა; ლენხუშში - ქოლგანა, ჩინხვლა; საინგილოში დუყ, დიყვი; ჭანეთში მთუთი ბული; სამეგრელოში - ფალახარჯი, ლოლე, ლოლელია; სვანეთში - ლახვაშ ჩინვლა, ჩინვლა.

ნაყენის დასამზადებლად 1 კგ დაქუცმაცებულ ნედლეულს (გამომშრალი ფოთლები, ღეროები, ფესვები) 24 საათის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოწურავენ და

ინახავენ კარგად თავდახურულ ჭურჭელში.

ლიყის ნაყენს იყენებენ ბუგრებისა და სხვა მწუწნავი მავნებლების წინააღმდეგ.



2.2.4.5. ღურღენი. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნახარშის დასამზადებლად 1 ლიტრ წყალზე იღებენ 80 გ გამომშრალ მწვანე ტოტებს, რომელსაც აყოვნებენ 24 ან 6-12 საათის განმავლობაში, ადუღებენ 30-დან 60 წუთამდე, გამოწურავენ და ინახავენ კარგად თავდახურულ ჭურჭელში. შესასხურებლად 1 ლიტრ წყალზე იღებენ 100 მლ ნაყენს, ტუტე არეში გადასაყვანად უმატებენ 4-5 გ სამეურნეო საპონს და იყენებენ კომბოსტოს თეთრულას, კომბოსტოს ჩრჩილის, ვაშლის ჩრჩილის, ბუგრების, ტკიპების, ბაღლინჯოების წინააღმდეგ.



ფხვნილის დასამზადებლად კარგად გამომშრალ ნედლეულს ფქვავენ ძალიან წმინდად, შემავსებლად იყენებენ გზის მტვერს, ნაცარს, კირს 1:5 შეფარდებით. ფხვნილი ეფექტურია ლილეულას, კომბოსტოს ჩრჩილისა და ბაღლინჯოების მატლების, სხვადასხვა ბუგრების, თრიფსების წინააღმდეგ ბოსტნეულ და ტექნიკურ კულტურებში 15-30 კგ/ჰა-ზე. ფხვნილი უნდა შევიწინახოთ პერმეტულად დახურულ ჭურჭელში მშრალ ადგილას.



2.2.5. მ

2.2.5.1. ენძელა. ხალხური სინონიმები: ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში - ანძალა, ხევში - ყორნის პწკალაი, ვენძელა.

მომზადებულ-მისატყუებელ მასალებს ამზადებენ აბების ან პასტის სახით. პირველ შემთხვევაში 100 გ მოხარშულ ხორცს უმატებენ 10 გ წვრილად დაფქულ ენძელას ფხვნილს, აურევენ ერთმანეთში და ამრგვალებენ წვრილი აბების სახით.



პასტის დასამზადებლად კი თანაბარი რაოდენობით (წონით) იღებენ საქონელის ცხიმსა და ენძელას ფხვნილს, კარგად შეხეულენ ერთმანეთში ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ასეთი წესით დამზადებულ 50 გ პასტას უმატებენ 1 ლიტრ ცხელ წყალს.

მიღებული ნარევით ასველებენ 1 კგ დაჭრილ პურს და იყენებენ თაგვისებრი მღრღნელების წინააღმდეგ.



2.2.5.2. ევკალიპტი. ხალხური სინონიმები უცნობია.

მახრისა და ნიადაგში მოზინადრეუ სხვა მავნებლების დასაფრთხობად, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში კარტოფილის დარგვის წინ ორმოებში ნაცართან ერთად ევკალიპტის ფოთლებს ათავსებენ.



2.2.5.3. ეშმაკის ქოში. ხალხური სინონიმები: თუშეთში საყურბალახი.


დაქუცმაცებულ ძირხენია გორგლეურას, ფესვებსა და მიწისზედა ნაწილებს ათავსებენ 70%-იან სპირტში. მიღებულ ექსტრაქტს გამოიყენების წინ აზავებენ 10 ლიტრ წყალში და ასხურებენ აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ.



2.2.6. 3

2.2.6.1. ვარდკაჭაჭა. ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთში - ულეწელია; ერწოში ღორთკაჭაჭა; რაჭა-ლეჩხუმში ულეწავა, საინგილოში არდ; სამეგრელოში ტატალი, მწვანე სვიტი; სვანეთში - ულეწუა.

კარგად გასუფთავებულ გამომშრალ (საშრობებში, ღუმელებში) და დაქუცმაცებულ ნედლეულს უმატებენ გამხსნელს ეთანს (1:10), 3 ღლის განმავლობაში აყოფიებენ ოთახის ტემპერატურაზე, სამჯერადი ექსტრაქციის შემდეგ აზავებენ წყალში (ამზადებენ 2%-იანი ხსნარს), უმატებენ 20-40 გ საპონს. იყენებენ აბლაბუდიანი ტკიპას ლავრების წინააღმდეგ.



ვარდკაჭაჭას ახასიათებს რეპელენტური თვისებებიც (ღეროს ნემატოდას მიმართ), ხახვის ნათესს იცავს ნემტოლებისაგან.




2.2.7. ზ

2.2.7.1. ზეთისხილი (ზეთის ხე). ხალხური სინონიმები: ჭანეთში - ზეთინი.

ახალ ერამდე მეოთხე საუკუნეში თეოფრასტე მიუთითებდა, რომ საერთოდ ზეთი უპირატესად კი ზეთუნის ზეთი იწვევდა ახალგაზრდა ხეების განადგურებას; ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში პლინიუსი მიუთითებს სარეველების წინააღმდეგ ზეთუნის ზეთის გამოყენების შესახებ.

ზეთისხილის გამოწნევის ნარჩენების წყლით გამონაწური ძველად ფართოდ იყო გამოყენებული მცენარეების ავადმყოფობების (თესლის გაუღენტვა), მავნე მწერების (ჭიანჭველები, ჩრჩილები და სხვ.) და სარეველების წინააღმდეგ.



სიდაპლდების წინააღმდეგ ზეთისხილის გამოწნევის ნარჩენების გამონაწურის გამოყენების შესახებ ახალ ერამდე 470 წელს მიუთითებდა კოტონი; პლინიუსის გადმოცემით პურეულის თესლს დათესვის წინ ზეთით ასველებდნენ.



2.2.7.2. ზღვის ხახვი. ხალხური სინონიმები უცნობია.

შუა საუკუნეებში თაგვისებრი მღრღნელების წინააღმდეგ ზღვის ხახვს იყენებდნენ მოშხამულ მისტაყუებელი მასალების დასამზადებლად, იღებენ 25 ნაწილ წითელ ხახვს, 10 ნაწილ გახეხილ კარტოფილს, 7 ნაწილ პურის ფქვილს, კარგად ურევენ ერთმანეთში, აცხობენ ლავაშებს და პატარ-პატარა ნატეხების სახით შეაქვთ სოროებში.




2.2.8. თ

2.2.8.1. თამბაქო. ხალხური სინონიმები: ქართლში - თამაქო; ქართლში, კახეთში - თამბაქო; დასავლეთში, ხევში, ჯავახეთში - თუთუნის; საინგილოში - თამბაქუა; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით - გლარჯა; ჭანეთში, სამეგრელოში - თუთუმი; სვანეთში თუთინ, თუთუნ.


ნაყენის დასამზადებლად ფოთლებს, ღეროებს და სხვა ნარჩენებს აქუცმაცებენ, გამოამშრობენ და 400 გ ათავსებენ 10 ლიტრ

წყალში ორი დღის განმავლობაში. შემდეგ გამოწურავენ. დარჩენილ ნედლეულს კვლავ გამოწურავენ სატომარე ქსოვილში ან საკერძი, ნაყენს უმატებენ 10 ლიტრ წყალს (გამოყენების წინ ყოველ 10 ლიტრს ემატება 40 გ სამეურნეო საპონი).




ნახარშის დასამზადებლად იყენებენ 400 გ მშრალ ნედლეულს და ადუღებენ ორ საათს. გაცივების შემდეგ უმატებენ 10 ლიტრ წყალს და გამოყენების წინ სამეურნეო საპონს, რობელიც უნდა განსავდეს დამატებითი წყლით, ნაყენი და ნახარში ინახება მჭიდროდ თავდასურული ჭურჭლით (უკეთესია შინის) გრილ და ბნელ შენობაში.


ნახარშს და ნაყენს იყენებენ დიდველების, ბუგრების თრიფსების, ფრთათეთორას წინააღმდეგ.




200 გრამ წუკის უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ ორი დღის განმავლობაში, გამოწურავენ ნაყენს, გამოყენების წინ უმატებენ 40 გ სამეურნეო საპონს. იყენებენ ბუგრების, ტკიპების, ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ.



თამბაქოს ფხვნილს იყენებენ ბუგრების, თრიფსების, ფრთათეთორას წინააღმდეგ სათბურებში შესაბოლებლად.




მარწყვის რწყილის წინააღმდეგ უპირატესად გამოყენებულია თამბაქოს მრეწველობის ნარჩენები (მტვერი, მშრალი ნარჩენის ფხვნილი) კირთან ან ნაცართან ერთად (1:1).



არსებობს თამბაქოს გამოყენების სხვა რეცეპტებიც, რომლის პუბლიკაციები მოცემულია ძველ პერიოდულ პრესაში (გაზეთი „ახალი სოფელი“). ქვემოთ უცვლელად მოგვყავს მათი ტექსტები (თუმცა ზოგიერთში მცირედი განსხვავებაა):

ერთი ვედრო წყალი (30 გირვანჯა. ნაგულისხმევია თამბაქო - კ.ბ.) ჯერ კარგად გათქვიფეთ თეთუნის ნახარში, შემდეგ ეს ხსნილი უნდა შევაჯსოთ ცხრა ვედრო წყლით და კარგად ავურიოთ. თითოეულ ვედრო სითხეს უნდა დაუმატოთ ნახევარი გირვანჯა წინდაწინ წყალში გახსნილი მწვანე საპონი, როდესაც ყველა ამათ ერთმანეთში კარგად აურიეთ, სითხე მზად იქნება სას-

ხურებად ('ურჩევნ კომბოსტოს მანებლების წინააღმდეგ).



ადუღეთ დიდხანს წყალში ერთი გირვანქა თუთუნის და შემდეგ წაუსვით ჩვარით იმ ადგილას, სადაც ტილებია (ნაგულისსმეკია მცენარის ბუერები კ.ბ.).




მცენარეების ტილის წინააღმდეგ აიღეთ ერთი გირვანქა უბრალო თამბაქო (მახორკა) ჩაყარეთ ერთ ვედრო წყალში სამი-ოთხი დღით. მერე შედგით ცეცხლზე და ადუღეთ სამი საათის განმავლობაში, შემდეგ გაწურეთ, დაასხით კიდევ ერთი ვედრო წყალი, კარგად აურიეთ და ასხურეთ ტილით დასასლელად მცენარეებს.



აიღეთ ერთი გირვანქა უბრალო თამბაქო (მახორკას რომ ეძახიან) და დააღებთ ერთ ვედრო წყალში 5-6 საათის განმავლობაში. შემდეგ შედგით თამბაქოს წვენი ცეცხლზე და ადუღეთ 3-4 საათი და გაწურეთ დოღბანდში. როცა წამლობას დააპირებთ, ერთ წილ თამბაქოს ნახარშს გასხნით ოთხ წილ წყალში და ისე შეუშნაპუნებთ მცენარეს.



გრ. თოდრაძე წერს: თამბაქო ვედრო წყალზე ნახევარი გირვანქაც ეყოფა, მხოლოდ უნდა წამოადუღოთ და გაცივებისთანავე შევედგეთ წამლობას. თამბაქო რაც უფრო ცხარე იქნება, უკეთესია.




აიღეთ ერთი გირვანქა უბრალო თამბაქო, მახორკა ემჯობინება, დააღებოთ ხუთი დღით ერთ ვედრო წყალში, ხუთი დღის შემდეგ სამი საათის განმავლობაში ადუღეთ და გასწურეთ დოღბანდში ან წმინდა საცერში მიღებულ სითხეს მიუმატეთ ერთი ვედრო წყალი და წამალი მზად არის. თამბაქოს ნახარში კარგია ყოველგვარი ტილებისა და რწყილების წინააღმდეგ.



ნ. თსინვალელი გვირჩევს ერთი გირვანქა მახორკა დაახლოებით სამი დღის განმავლობაში უნდა მოვათავსოთ წყალში, მერე აიღეთ 100 გრამი (25 მისხალი) მწვანე საპონი, გახსენით ცხელ წყალში და აურიეთ ერთად. შემდეგ ეს ნარევი გახსენით 2-

3 ვედრო წყალში და ასხურეთ, შესხურების დროს ტილი უნდა დასველდეს.



თ. ქ-ნი (იგულისხმება ნ. ქომეთიანი - კ.ბ.) შემდეგ რეცეპტს იძლევა ერთი გირვანქა უბრალო თამბაქო (მასობრვა) ჩადეთ ერთ ვედრო წყალში, დატოვეთ 3-4 დღე. შემდეგ ადუღეთ 3-4 საათს, გასწურეთ საცერში. დამზადებულ ნახარშ წვეს გახსნით ერთ ვედრო წყალში და ასხურებთ დილით ან საღამოს.




2.2.8.2. თეთრი მდოგვი. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად 1ლ წყალზე იღებენ 20 გ თეთრ მდოგვს, იყენებენ ბუგრებისა და ხესილის წითელი ტკიპას წინააღმდეგ.



არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ თეთრი მდოგვით კვების შედეგად იღუპებიან ჩვეულებრივი მეშინდვრეები, ამიტომ მისანშეწონილად თვლიან თავისებური მღრღნელების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში ნარგობაში მდოგვის ნათესის დამცავი ზოლის გამოყენებას. ფსენილის სახით იყენებენ ბუგრებისა და სვატრის წინააღმდეგ.



2.2.8.3. თრიმლი. ხალხური სინონიმები: ფშაეში-ხევსურეთში - თრემლი; ქიზიყში - ნარინჯი ხე; საინგილოში - სარღან; ქვემო რაჭაში - კაპარი.

თრიმლი იფანს (კოპიგს) იცავს მაჟაურასაგან, რაც მეტია იფნის ნარგობაში თრიმლი, მით შემცირებულია მავნებლებისაგან მცენარეების დაზიანების ხარისხი.



2.2.9. 0

2.2.9.1. იელი. ხალხური სინონიმები: კახეთში - იალი; მთიულეთში - იალაი; მესხეთში - ლელი; იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში - ელი; ჭანეთში აელი; სამეგრელოში იბლი, ივლი, ელი, ეი, ელიში კოკა, ელიშია; სვანეთში ადრა, ჰადრა.


ფოთლების ან ყვავილების ნაყენი გამოიყენება წითელი ტკიპას წინააღმდეგ (ციტრუსები). ნაყენის დასამზადებლად დაქუცმაცებულ ფოთლების ან ყვავილების 1 წონით ნაწილს უმატებენ 5 ნაწილ წყალს. აყოენებენ ხუთი დღის განმავლობაში, გაფილტრვის შემდეგ ასხურებენ არამსხმოიარე მცენარეებს ნებისმიერ დროს, მსხმოიარე ბაღებში კი ნაყოფის გამონასკვამდე.




2.2.10. კ

2.2.10.1. **კაკალი.** ხალხური სინონიმები: გურიაში, იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში - ნიგოზი, ნიგვზის ხე, სამეგრელოში ნეპი, სვანეთში კაკრა, კაკ, გაკ.

ნაყენის დასამზადებლად შემოდგომით ჩამოცვენილ, ქარგამჭოდ შესობაში კარგად გამოშშრალ 2-3 კგ ფოთლებს (გამოყენების წინ) რამდენიმე დღის განმავლობაში აღბობენ 10 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოწურავენ, ფილტრავენ და იყენებენ კოლორადოს ხოჭოს (მატლები, ზრდასრული ინდივიდები) წინააღმდეგ. კაკლის ფოთლების ნაყენის გამოყენების შესახებ ცნობები მოგვაწოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა კ.მსრიანმა (ბორჯომის რაიონი, სოფ. წაღვერი) და აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტმა მ. გიორგაშვილმა (მცხეთის რაიონი, სოფ. საგურამო).



სიმინდის ჩრჩილის წინააღმდეგ საცავეებში, ტომრებში და სხვა სათავსოებში ათავსებენ კაკლის ფოთლებს. კაკლის ფოთლით ნიადაგის დამუწონვა და ჩითილის დარგვისას მცენარეებზე ფესვებიდან ნიადაგის ზედაპირზე კაკლის ფოთლის შემოხვევა მას იცავს მახრისაგან (უკანასკნელ ღონისძიებას ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხანალშიც იყენებდნენ).



შემოდგომით ნიადაგში კაკლის ფოთლის ჩახენა (4 ტომარა 100 მ²-ზე) ამცირებს კოლორადოს ხოჭოსა და მახრის რიცხოვრივობას.



2.2.10.2. **კამა.** ხალხური სინონიმები: იმერეთში, ქიზიყში ცერეცო; გურიაში - კვლიავი, კლიავი; საინგილოში - ტარახუტი, ტორახუტი; სამეგრელოში - ცეროცო, ცორცო, ძერო.

ტ. ღორჯომელიძის გადმოცემით ადიგენის რაიონის სოფელ ჭეჭელაში თხუხელას წინააღმდეგ ბოსტნეულის რიგთშორისებში თესავენ კამას.

ზელანდიაში კომბოსტოს ბუგრის წინააღმდეგ რიგთშორისებში თესავენ კამას, რომლის სუნიც აფრთხობს მავნებლებს.



2.2.10.3. **კატაბარდა.** ხალხური სინონიმები: კახეთში, ფშავეში უსურვაზი, თეთრი უსურვაზი; ზემო იმერეთში კატავენახა; რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში ციტაბარდა; გურიაში ოსურადა, ინგრესაი; აჭარა-გურიაში იბრილია; საინგილოში თეთრვაზ, მარაზი; სამეგრელოში - შხურიში ჭი, შხურიში ჭუ, ჩიჯვიში ჭი, წირდიუ; სვანეთში სვიჯ.

ნაყენის დასამზადებლად 1,125 კგ ნედლეულის (კოვრები, ყვავილები) უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 1-2 საათის განმავლობაში, გამოწურვისა და გაფილტვრის შემდეგ იყენებენ მავნე მწერების წინააღმდეგ.



2.2.10.4. **კარტოფილი.** ხალხური სინონიმები: მთიულეთსა და ფშავეში - კარტობილი; ხევსურეთში - კარტოხა; მესხეთში, აჭარაში - ყართოფი; ჭანეთში - დიხა მარქვალი, კარტოფი; სვანეთში - გარდვიშ; ქართოფილ, ქართუბილ.

ნაყენის დასამზადებლად 2 კგ დაქუცმაცებულ მიწისზედა ნაწილებს 24 საათის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში ან კიდევ იღებენ 1,2 კგ მწვანე ან 0,6-0,8 კგ გამომშრალ მიწისზედა ნაწილებს, უმატებენ 10 ლიტრ თბილ წყალს. აყოვნებენ 3-4 საათის განმავლობაში, გამოწურავენ (უმატებენ 10 ლ ხსნარზე 40 გ სამეურნეო საპონს) და იყენებენ ბუგრების, ტკიპების, კომბოსტოს ხვატრის, ჩრჩილის წინააღმდეგ.



2.2.10.5. **კვიპაროზი.** ხალხური სინონიმები: დავით ჩუბინაძე-ვილის მიხედვით - კიპრი, კვიპრი.

მარცვლეულში მოთავსებული კვიპაროსის დაფქული ფოთლების ფხვნილი მას იცავს მავნებლებისაგან.



2.2.10.6. კლდისვაშლა. ხალხური სინონიმები: თუშეთში - ფხიჯა, ხიჯა, ხაჯე; მესხეთში კლდის ჯოჯო; აჭარაში უკვდავა; სამეგრელოში - ცენაშე; ხევში - კლდისხორცა.

მავნებლებისაგან კომბოსტოს თესლის დასაცავად ძველთაგანვე იყენებდნენ კლდისვაშლას ნაყენით თესლის თესვისწინა დამუშავებას.



2.2.10.7. კოთხუჯი. ხალხური სინონიმები: სამეგრელოში ჯარცვატანა.

კოთხუჯის ფესურები ტოქსიურად მოქმედებენ თუთის აბრე-შუმხვევიას კვერცხებსა და მატლებზე (კონტაქტური და შინაგანი მოქმედება). ფესურებისაგან დამზადებული ფხვნილი ტოქსიურია ბუხების, კოლოებისა და ზოგიერთი ტკიპების წინააღმდეგ.



2.2.10.8. კონიო. ხალხური სინონიმები: ფშავ-ხევსურეთში მათოთა; ხევსურეთში მათოთა; თუშეთში, ქიზიყში მათუთი; ხევში, ფშავში, მთიულეთში მათოთი; სვანეთში მათოთ.

ნაყენის დასამზადებლად მცენარის ფოთლებს, ყვავილედს, მოუმწიფებელ ნაყოფსა და წვრილ ღეროს აქუცმაცებენ, ასველებენ მცირე რაოდენობის წყალში (1 კგ ნედლეული, 2 ლ წყალი). ამის შემდეგ კარგად მოსრისავენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, გამოწურავენ, დარჩენილ მასას უმატებენ 15 ლიტრ წყალს, კვლავ გამოწურავენ, ორივე გამონაწურს ურევენ ერთმანეთში, ასეთ ნარევს იყენებენ ხოჭოებისა და ხერხიების ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ. ნაყენს გამოყენებამდე გრილ ადგილას კარგად დახურულ ჭურჭელში ინახავენ.



2.2.10.9. კროტოლარია. ხალხური სინონიმები უცნობია. სხვადასხვა კულტურებში შეთესილი კროტოლარია ძირითა-

დად (ნემტოდების მიმღებიან კულტურებზე) ამცირებს გალიანი ნემტოდების პოპულაციას, რადგან იგი ხასიათდება გალიანი ნემტოდების მიმართ გამძლეობით; მართალია გალიანი ნემტოდები აზიანებენ მას, მაგრამ გალების წარმოშობის ხარისხი უმნიშვნელოა.



2.2.11. ლ

2.2.11.1. ლემა. ხალხური სინონიმები: კახეთში - ბანგა, კიტრიაი, კიტრანა, ნეხებალიხა, ტყლიაშუნა; მესხეთში - ლენცოფა; მესხეთ-ჯავახეთში - პატპატა; ლეჩხუმში - ასტმოლე, გოდორა; ერწოში - მწვანე ლენცოფა; იმერეთში ბურძგლა ბალახი, ხოყანა, ხოყის ბალახი, ღირისხევა; რაჭაში - კომბარა; აჭარაში - ჯამეშა; სამეგრელოში - ჩხოუში ჭირიში წამალი; ყვაპუში წამალი, ბარწყვენია; სვანეთში მეტიშალ, მეხმიროლ; სულხან-საბა ორბელიანის მისედევით - ლეპი.

ნაყენის დასამზადებლად იღებენ 2 კგ ნედლ ან 1 კგ შშრალ დაქეცმაცეხულ ნედლეულს, ასხამენ 10 ლიტრ წყალს, 12 საათის შემდეგ გამოწურავენ, ფილტრავენ (გამოყენების წინ ყოველ 10 ლიტრზე უმატებენ 20-40 გ საპონს). ასეთი წესით დამზადებულ ნაყენს იყენებენ ბუერების, აბლაბუდიანი ტკიპების, ბაღლინჯოების წინააღმდეგ.




ნახარშის დასამზადებლად ნედლეულსა და წყალს იგივე შეფარდებით იღებენ, აღუღებენ ნახევარი საათის განმავლობაში, შემდეგ ფილტრავენ. გამოყენების წინ უმატებენ 20-40 გ საპონს და იგივე მავნებლების წინააღმდეგ იყენებენ.



2.2.11.2. ლენცოფა. ხალხური სინონიმები: ქვემო ქართლში - ღრიანცოფა; ხევში ბარის ჩხამაი, საქოთნია; მთიულეთში საბაყნია, საჯამია; ფშავეში - ლემხურა ჯამია; თუშეთში - საპინა; ხევსურეთში ძაღლაფსელა; მესხეთში, ჯავახეთში - ღორცოფინა, ბატბატა; რაჭაში - ლემი, ლემცოფა; ლეჩხუმში - ტყის თუთუნი; სამეგრელოში - წირეშ წამალი; სვანეთში - მკარტახ, მეჭშალ.

ნაყენის დასამზადებლად 1 კგ დაჭრილ, შშრალ ნედლეულს

უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 12 საათის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ ნედლეული წმინდა ფხვნილის სახითაა დაფქული ან ნაყენი მზადდება როზეტა ფოთლებისა და ფესვებისაგან. ნედლეულის რაოდენობა ორჯერ მცირდება ე.ი. 10 ლიტრ წყალზე იღებენ 500 გ ნედლეულს. ნაყენს კარგად გაწურავენ, გაფილტრავენ და გამოყენების წინ ყოველ 10 ლიტრზე უმატებენ 20-40 გ საპონს. ასეთი ნაყენი ეუქეტური ბუგრების, აბლაბუდიანი ტკიპას, ბაღლინჯოების წინააღმდეგ.



ნაყენის კარდა ეუქეტურია ლენცოფას ნახარშიც, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 1 კგ მშრალ ნედლეულს ასხამენ 10 ლიტრ წყალს, ნახევარი საათის განმავლობაში ადუღებენ, შემდეგ ფილტრავენ, გამოყენების წინ უმატებენ 20-40 გ საპონს. ან კიდევ ნახარშის დასამზადებლად 3 კგ ნედლ ლენცოფას (მცენარის მიწისხედა ნაწილი) 2-3 საათის განმავლობაში ადუღებენ მამინაქრებულ ტურტელში მცირე რაოდენობის წყალში, გაცივების შემდეგ მას ფილტრავენ, შეავსებენ 10 ლიტრამდე. ასეთი წესით დამზადებულ ნახარშს იყენებენ კომბოსტოს ჩრჩილის, კუნელის თეთრულას, ოქროყუდას მატლების წინააღმდეგ (შესხურებიდან მეორე დღეს იღუპებიან).



2.2.11.3. ლელქაში. ხალხური სინონიმები: ქიზიყში - ჩაღაკაკაღა.

მღრღნელებისაგან ხეხილის დასაცავად 'მტამბზე ლელქაშის' შემოხვევას მიმართავენ.



2.2.12. მ

2.2.12.1. მარიამსაკმელა. ხალხური სინონიმები: მესხეთში უხალუგი, უხალოკი, გუსაღიკი.

ნაყენის დასამზადებლად 500 გ თიხლს ან 0,8-1 კგ დაქუცმაცებულ მშრალ ნედლეულს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, 24 საათის განმავლობაში ათავსებენ ოთახის ტემპერატურაზე;



ნახარშის დასამზადებლად 1 კგ დაქუცმაცებულ მშრალ

ნედლეულს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, ადუღებენ 30 წუთის განმავლობაში. ნაყენსა და ნახარშს კარგად გამოწურავენ, გაფილტრავენ, გამოყენების წინ ყოველ 10 ლიტრზე უმატებენ 20-30 გ საპონს.

მარიამსაკმელა ეფექტურია მწუწნავი მავნებლების წინააღმდეგ.



2.2.12.2. მდოგვი. ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთში, აჭარაში - ხარდალი; გურიაში - დოგვი; სამეგრელოში - დონგი.

ნაყენის დასამზადებლად 100გ გამომშრალ მდოგვს უმატებენ 10 ლიტრ ძალიან ცხელ წყალს (არა მდუღარეს), აყოვნებენ 2 დღის განმავლობაში, გამოწურავენ, გაფილტრავენ, ნაყენს აზავებენ ცივ წყალში (1:1), იყენებენ ხურტკმელის ალურას, კომბოსტოს თეთრულას მატლების წინააღმდეგ.



2.2.12.3. მელია. ხალხური სინონიმები: სამეგრელოში - ძიამჯა, ჭვეტაში ჯა.

მელიას ფესვების გამონაყოფი ტოქსიკურად მოქმედებს ზრდასრულ ნემატოდებზე, იგი აფერხებს კვერცხიდან მატლების გამოსვლის პროცესს, ამცირებს ნემატოდების სხვადასხვა სახეობების რიცხობრივობას პომიდორზე. ბადრიჯანზე, ყვავილოვან კომბოსტოზე და სხვ. აღნიშნული მცენარეების ზრდა-განვითარება უმჯობესდება შერეულ ნათესებში.



2.2.12.4. მექსიკური ჩაი. ხალხური სინონიმები უცნობია.

კარგად გამომშრალ ფოთლებს, ყვავილებს და სხვა მიწისზედა ნაწილებს ფქვავენ, ცრიან 0.2 მმ-იან საცერში, 1-2 კგ ასეთ ფხვნილს უმატებენ 1 კგ ლობიოს (შენახვისას), კონგოში კი გლეხები ლობიოთი სავსე ტომრებში გამომშრალ ფოთლებს ათავსებენ ასეთი ღონისძიება ლობიოს მემარცვლიასაგან იცავს.



2.2.12.5. მთის ჩადუნა. ხალხური სინონიმები: ქართლში - დათ-

ვისაგებელა; თუშეთში მზადა, ჩადა; ზემო იმერეთში ღორთიფქლა; მთის რაჭაში იფხლა, იმხლა; ლენხუშში მუნუ; გურიაში - ტყის გვიპრაი; დ. ჩუბინაშვილის მიხედვით - ბლენცნარა.

ნაყენის დასამზადებლად 500 გ ნედლეულს 48 საათის განმავლობაში აღობენ 10 ლიტრ წყალში. თითოეული მცენარისათვის (მოსხურება მცენარეების ირგვლივ) იყენებენ 200 მლ ნაყენს. ასეთი ღონისძიების შედეგად მცირდება გალიანი ნემატოდების მავნეობა და უმჯობესდება მცენარის ზრდა-განვითარება. მთის ჩაღუნას ინსექტიციდური თვისებებიც ახასიათებს.



2.2.12.6. მთის დანძილი. ხალხური სინონიმები: ხევში - ბაშო; მთიულეთში ნიორაი; თუშეთში - შებე; ხევსურეთში, ფშავეში - შიბუ.

წვილიდან დაქუცმაცებულ 1 კგ ნედლეულს (ყვავილეები, ახალგაზრდა ფოთლები, ბოლქვები) უმატებენ 2 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 12 დღის განმავლობაში, გამოწურავენ, გაფილტრავენ და იყენებენ ბუგრების, პომიდორის ფიტოფტოროზის წინააღმდეგ. მთის დანძილის ერთხელ, ხოლო ნიორის ნაყენს ორჯერ ასხურებენ.



2.2.12.7. მწარა. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად 1,0-1,2 კგ გამომშრალ, დაქუცმაცებულ ნედლეულს, უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 24 საათის განმავლობაში, ან კიდევ 6-8 საათს აღულებენ 30 წუთს. შემდეგ გამოწურავენ, ათავსებენ თავდახურულ ჭურჭელში. გამოყენების წინ ყოველ 10 ლიტრს უმატებენ 20-30 გ საპონს. იყენებენ ბუგრების, თრიფსების, ღიღველას, აბლაბუდიანი და ხეხილის ტკიპების წინააღმდეგ.



2.2.13. 6

2.2.13.1. ნაცარა მურყანი (თხმელა). ხალხური სინონიმები უცნობია.

1 კგ მშრალ ან 2 კგ ნედლ დაქუცმაცებულ მურყანის ფოთლებს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 24 საათის განმავლობაში ან კიდევ 6-12 საათს (30-40 წუთს ადულებენ), შემდეგ კარგად გამოწურავენ, გაფილტრავენ და ათავსებენ თავდახურულ ჭურჭელში ბნელ ადგილას.

გამოიყენება ბუგრების წინააღმდეგ.



2.2.13.2. ნიორი. ხალხური სინონიმები: ხევში - ნივარი; საინგილოში ნიგორი; სვანეთში - ნივრა.


ბელლის ცხვირგრძელას წინააღმდეგ 1 ც მარცვალში ათავსებენ 200 გ ნიორს, გამოყოფილი ფიტონციდების მოქმედების შედეგად ხოჭოები გამოდიან მარცვლიდან ადიან კედლებზე, მათ აგროვებენ და ანადგურებენ.



ჩინეთში ნიორს იყენებენ ბრინჯისა და ფქვილის მენახვისას, საფრანგეთში იყენებდნენ ვენახში მოფანტვით, რის შედეგადაც მცირდებოდა მავნებლების რაოდენობა.



სანაყში დანაყილ, კარგად დასრესილ, ერთგვაროვანი მასის 0,5 კგ ნიორს უმატებენ 3-5 ლიტრ წყალს, გამოწურავენ, კვლავ უმატებენ წყალს, ისევ გამოწურავენ. ორივე გამოწურს ერთმანეთში აურივენ, შეავსებენ 10 ლიტრამდე. ტკიპების წინააღმდეგ 8-10 ლიტრ წყალში უმატებენ 300 მლ გამოწურს და მცენარეებს ასხურებენ საღამოს ან ღრუბლიან ამინდში. პირველი შესხურების შემდეგ აბლაბუდიანი ტკიპა ტოვებს მცენარეს, მეორე წამლობა ტარდება 3-5 დღის შემდეგ.




ცნობილია ნაყენის დამზადების სხვა წესიც, კერძოდ 500 გ ნიორი უნდა დაიჭრას წვრილ ნაწილებად, გაისრისოს და მოთავსდეს 3-ლიტრიან მინის ქილაში და დაიფაროს ოთახის ტემპერატურის წყალით მოთავსდეს თბილ და ბნელ ადგილას. 5 დღის შემდეგ გამოიწუროს, გამოსაყენებლად 10 ლიტრ წყალს ემატება 60 გ ნაყენი და 50 გ საპონი.



200-300 გრამ (მიწის ნაწილებისაგან გასუფთავებული) ნიორს

ატარებენ ხორცსაკეუ მანქანაში, უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ ერთი დღის განმავლობაში, გამოწურავენ, იყენებენ ბუგრების, ტკიპებისა და პომიდორის ფიტოფტოროზის წინააღმდეგ.



გარდა აღნიშნულისა, 200გ ახალ დასრესილ ნიორს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, იყენებენ განზავების გარეშე; ან კიდევ 100-150გ ნედლეულს (მშრალი მიწისზედა ნაწილები) უმატებენ 10 ლიტრ წყალს, გამოწურავენ, იყენებენ ბუგრებისა და ტკიპების წინააღმდეგ.



კვირტის ტკიპას წინააღმდეგ მოცხარისა და მარწყვის პლანტაციებში რიგთაშორისებში შემოდგომით რგავენ ნიორს, საჭიროების შემთხვევაში კი ასხურებენ ნიორის ნაყენს (კარგად დასრესილი 50-100გ ნიორი, 10 ლიტრი წყალი). 100-150 მ²-ზე საკმარისია 10 ლიტრი ნაყენი.



ავადმყოფობებისაგან ბოსტნეული კულტურების თესლების გასაუვნებლებად (თავდახურულ ჭურჭელში) 25 გ დასრესილ ნიორის მასას უმატებენ 100 მლ წყალს 1 საათის განმავლობაში მასში ათავსებენ თესლს, გარეცხვის შემდეგ აშრობენ და თესავენ.



2.2.13.3. ნიახური. ხალხური სინონიმები: სამეგრელოში სონა.

ნაყენის დასამზადებლად 1,2 კგ კარგად გარეცხილ ნედლეულს ატარებენ ხორცსაკეუ მანქანაში, გამოწურავენ, აზავებენ 1,2 ლიტრ წყალში (1:1), 24 საათის განმავლობაში აყოვნებენ მომინანქრებულ ან მინის თავდახურულ ჭურჭელში, გაწურავენ დობანდში და გამოწაწურში 1 საათის განმავლობაში ათავსებენ თესლს, შემდეგ აშრობენ ფილტრის ქაღალდზე (თესლი დათესვამდე 24-48 საათით ადრე უნდა დამუშავდეს) და თესავენ.



2.2.14. ო

2.2.14.1. ომბალო. ხალხური სინონიმები: გურიასი - უმბალო;

სამეგრელოში - ომბაღე, ომბაღი.

ლობიოს მემარცვლიას წინააღმდეგ ღიაგოდების რაიონის სოფელ აფენში გამოყენებული მცენარეული ნედლეულის ნარევის (კაკლის ფოთოლი, უჯანგრი) ერთ-ერთი კომპონენტი ომბაღოცაა. აღნიშნულ ნარევს დღესაც წარმატებით იყენებენ (ცნობები მოგვაწოდა საქართველოს აგრორეალი უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების აგრინომიული ფაკულტეტის სტუდენტმა ო. ამბროლაძემ).



2.2.14.2. **ოროვანდი.** ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთში, მთიულეთში, ფშავში, თუშეთში, ხევში - ძირხვენა; ხევში - ფათარი; მესხეთში ღაღაღუნტა; ხევსურეთში - დილხვენა; ლეჩხუმში, ქვემო რაჭაში, ზემო იმერეთში - ღელღუნტა, ღელაღუნტა; მთიან რაჭაში ღორიფუშა; გურიაში, იმერეთში - ოლაღუა, ოხაგუა, ოხაგუე, ოხაყუა; სამეგრელოში უნა-ტყა; სვანეთში ყვალპას; საინგილოში - ზურხუნაი, ზურხვინა; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით - დელხვინა; დავით ჩუბინაშვილის მიხედვით ღულაღუნა.

ნაყენის დასამზადებლად 100-150 გ წვრილად დაქუცმაცებული ფოთლებს უმატებენ 1 ლიტრ წყალს, აყონებენ საძი დღის განმავლობაში, შემდეგ კარგად გამოწურავენ, გაფილტრავენ, იყენებენ ბუკრების, თეთრულების, დუჟანას, ხვატრის მატლების, ჩრჩილის, აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ. შესხურების წინ გამონაწურის 1 ლიტრს უმატებენ მცირე რაოდენობის წყალში გახსნილ საპონს. შესხურება ტარდება საჭიროების მიხედვით 3-5 დღის ინტერვალით.



2.2.14.3. **ოჩოპენტრე.** ხალხური სინონიმები: გურიაში - ოსიპონტრო; სამეგრელოში - ოსურტოფუ.

ნაყენის დასამზადებლად თესლს და გამომშრალ მიწისხედა ნაწილებს აქუცმაცებენ და 70-100 გრამ ნედლეულის 12-24 საათის განმავლობაში ათავსებენ 1 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოწურავენ, ფილტრავენ და იყენებენ აბლაბუდიან ტკიპას წინააღმდეგ.



2.2.14.4. ოხრახუში. ხალხური სინონიმები: ქისიყში - ოხრა-ხოში; ქართლში - მაღდანოხი; თუშეთში - მაკიდონელი; გურიაში, აჭარაში - მაკილო; სამეგრელოში - მაკინდროლი; ჭანეთში - დამსო, ღრამსო, ჭიჭამი; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით - მაკილო-ნი; ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით - მაკილონი, პეტრუშკა.


ვახის ფილოქსერას წინააღმდეგ ვახის ირგვლივ ოხრახუშს თესავენ, მისი სუნი აფრთხობს მავნებელს და ვახიც აღარ ზიანდება. მარწყვის ირგვლივ დათესილი ოხრახუში მას ლოკოცინები-საგან იცავს.




2.2.15. 3

2.2.15.1. პირშუშხა. ხალხური სინონიმები: აჭარაში - ხარდანი.

პირშუშხას მიერ გამოყოფილი ფიტონციდების ატმოსფეროში კარგად ინახება ნაყოფები, კერძოდ, 40 კგ ყურძნის შესანახად საჭიროა 3,2 კგ პირშუშხა, რომელიც თავსდება იქ, სადაც ყურძენია შენახული.



დაავადებებისაგან სათესლე მასალის დასაცავად იყენებენ პირშუშხას ფესვების გამონაწურს (თესლს წინასწარ რეცხავენ თბილ მარილიან წყალში. 200 გ წყალი 2-3 ჩაის კოვზი მარილი). ფესვებს ატარებენ ხორცსაყებ მანქანაში, კარგად გამოწურავენ (დოლბანდში) და უმატებენ თბილ წყალს (1:1), შემდეგ ამ სსნარში 30 წუთით ყრიან თესლს, კარგად ურევენ, გამოწურავენ, აშრობენ და თესავენ.




ატმის ფოთლის სიხეჭუჭის წინააღმდეგ ეფექტურია ატმის ხის ირგვლივ (ერთი მეტრის რადიუსით) პირშუშხას დარგვა.



2.2.15.2. პიტნა. ხალხური სინონიმები: სამეგრელოში - პიტნე, სვანეთში მინთოორ, მინთუ; ივანე ჯავახიშვილის მიხედვით პიტნაკი.

ალოურას, ნაყოფტამიების, ხეატარის პეპლების დაფრთხობის მიზნით პიტნას რგავენ ხურტკმელის, მოცხარის, კომბოსტოს და

სხვა მკვანარეების რიგთანაშორისებში.




თავისებრი მღრღნელების წინააღმდეგ მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში პიტნას კონების სახით ათავსებენ სადგომებში, შენობაში, სიროფებში სუნი აფროსიხობს თავისებურ მღრღნელებს (ინფორმაცია მიუგვაწოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა მ. გიორგაშვილმა).

ვიქტორ პიუგოს რომანის „საბრალონის“ გმირი მადლენი პიტნის გამოყენების შესახებ გლეხებს „ბოგანო ჭიის“ ამოსაწვევტად ურჩევდა - ყველგან დაჰკიდეთ აყვავებული გარეული პიტნის ტოტი, ბანხე, კედლებზე, სახლში, ბოსტანშიც კი“.




2.2.15.3. პომიდორი. ხალხური სინონიმები: კახეთში - რუსული ბადრიჯანი, წითელი ბადრიჯანი; გურიაში, იმერეთში - პატრიჯანი; გურიაში - ოქროვამლა; მესხეთში - პატლიჯანი; სამეგრელოში პამინდორი; პამადური; სვანეთში - პატრაჯ.

კარგად დაქუცმაცებულ 4 კგ ფოჩებს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, ნელ ცეცხლზე ადუღებენ 30 წუთის განმავლობაში, გაცივების შემდეგ ნახარშს გამოწურავენ. შესხურებისათვის 2-3 ლიტრ ნახარშს აზავებენ 10 ლიტრ წყალში და უმატებენ 40 გ საპონს. ნახარში ეფექტურია ფოთლომღრღნელი მავნებლებისა და ვაშლის ნაყოფჭამიას მატლების წინააღმდეგ.



4 კგ ნედლ ან 2 კგ გამოშშრალ დაქუცმაცებულ ფოჩებს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, ნახევარი საათის განმავლობაში ადუღებენ ნელ ცეცხლზე, გაცივების შემდეგ გამოწურავენ, ნახარშს აზავებენ ორმაგი რაოდენობის წყალში და ყოველ 10 ლიტრზე უმატებენ 50 გ სამეურნეო საპონს.




10 ლიტრ წყალში ათავსებენ 1 კგ დაქუცმაცებულ ფოჩებს, რომელსაც 4-5 საათს აყოვნებენ, შემდეგ 2-3 საათის განმავლობაში ადუღებენ, გამოწურავენ და აზავებენ 2-3-ჯერ მეტი რაოდენობის წყალში, ნახავს კი იყენებენ კომპოსტოს, მდელოს ხვატრის, რაფსის ხერხიას მატლების წინააღმდეგ.




მწკუნავი მავნებლების და ხერხიების მატლების წინააღმდეგ გამოხაყენებლად იღებენ 400 გ დაქუცმაცებულ პომიდორის ფონებს. გაატარებენ ხორცსავექ მანქანაში, 2-3 საათს აყოფენ მცირე რაოდენობის წყალში, გაფილტვრის შემდეგ ფილტრატს შეავსებენ 10 ლიტრამდე.




3 ლიტრ წყალში მოთავსებულ 2 კგ დაქუცმაცებულ ფონს 1 საათის განმავლობაში ადულებენ, შემდეგ ფილტრავენ და ყოველ 1 ლიტრს უმატებენ 5 ლიტრ წყალს.



ფხვნილის დასამზადებლად 10 კგ კირს ან ნაცარს ასველებენ 2 ლიტრი გაუსავებელი ნახარპით, გაშრობის შემდეგ კომტებს აფხვიერებენ და იყენებენ რაფსის ყვავილჭამიას წინააღმდეგ.



პომიდორი ამჟღავნებს დამაფრთხობელ თვისებებსაც, კერძოდ ხურტკმელის რიგთშორისებში დარგული პომიდორი ხურტკმელს იცავს ხერხიებისაგან (ვარდა მწვანე ფონებისა, ინსექტიციდური თვისებებით ხასიათდება მწვანე ნაყოფები და ფესვები).



მანე მწერების წინააღმდეგ პამიდორის ფოთლების გამოყენების შესახებ უურნალ „მოსავალში“ მოცემულია ფრანგულ უურნალ „Revu Horficole“-ში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც იტყობინება, რომ ფრანგ მებაღეს ბ-ნ ბუშეს გამოუხარშავს პამიდორის ფოთლები და გაპონახარპით შეუსსურებია ქლიავის ხეები, რომელთაც ტილი პქონიათ დახვეული ბლომად, ერთი შესსურებით ტილი მთლად დახოცილა.

მეორე ფრანგი მებაღე ბატონი ბერლანის დაკვირვებით ბოსტანში რომ კვლებს, სადაც სხვადასხვა ბოსტნეული სთესია, გარშემო პამიდორი ჩაუთესოთ, კვალში დათესილი ბოსტნეული დაცული იქნება ტილების შემოსევისაგანო.



2.2.16. რ

2.2.16.1. რძიანა (წკებლისებრი, წნელისებრი). ხალხური სინონიმები: თუშეთში - ბაღლაპის ბაღახი, ბაღლაპა; მთიულეთში -

რძეკანა, ერძეკანა; რაჭაში - მერძეკელა; ლენსუმში - მერძეული; რაჭაში, ლენსუმში, იმერეთში, გურიაში - რძია-რძია; საინგილოში - შიანა; სამეგრელოში მახუალია, მავუალია, მებუალიე; სვანეთში მგდგჯოოლ

ნახარშის დასამზადებლად იღებენ 4 კგ ნედლ ღერი-ყოთოლს, აქუცმაცებენ და ათავსებენ ჯერ მცირე რაოდენობის წყალში, შემდეგ 2-3 საათის განმავლობაში ადუღებენ, აცივებენ, ფილტრავენ და უმატებენ 10 ლიტრ წყალს. იყენებენ სხვადასხვა ფოთოლმღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ.



2.2.17. ს

2.2.17.1. სათოვლია. ხალხური სინონიმები: იმერეთში - მარტოყავილი; რაჭაში თოვლის მახარობელა, თოვლის ღედა; გურიაში მეთოვლია; სამეგრელოში მათირია, მოვარიე, კარაკუნხა, კვარიაში კუნხა; დავით ჩუბინაშვილის მიხედვით თოვლის ყავილი.

ნაყენის დასამზადებლად 1,5 კგ მშრალ დაქუცმაცებულ ტუბერ-ბოლუქს ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, აყოვნებენ 24-36 საათის განმავლობაში. იყენებენ ფოთოლმღრღნელი მატლების წინააღმდეგ.



თავისებრი მღრღნელების წინააღმდეგ 1 კგ მისატყუებელ მასალას 20გ მომწიფებულ თესლის ფკვილს უმატებენ.



2.2.17.2. სვია. ხალხური სინონიმები: ფშავეში, ხევსურეთში - სვე. მესხეთში გარმაში; ზემო იმერეთში ფშალა, მშრალა; იმერეთში, გურიაში - ფშალო; აჭარაში - შრალაი; საინგილოში - სროი, ჭანეთში - ბარდი ბინეხი; სამეგრელოში - მაფშალა, ფშალე; სვანეთში - ფშალაი, სვიჯ.

ლობიოს შემარცვლიას წინააღმდეგ გამოყენებული მცენარეების ნარევი (კაკლის ფოთოლი, კარეული კანაფი, უჯანგარი მყრალა ბალახი, ნიორი) სვია ერთ-ერთი კომპონენტია (მონაცემები მოგვაწოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორი სწავლეების აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა

მ. გიორგაშვილმა. მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო).



2.2.17.3. სამეურა. ხალხური სინონიმები: საინგილოში - ვენ-უაი, აჩნუა; ჭანეთში, სამეგრელოში - სუმცუჯა, სუმცუჯაში ტყა, ტოფური; სვანეთში - სამეურ, პირპიღ.

კომპოსტოს რიგთშორისებში დათესილი სამეურა მნიშვნელოვნად ამცირებს რწყილებისა და ბუგრების რიცხოვნობას. სამეურას ზეგავლენით მავნებლები წყვეტენ კვერცხდებას.



2.2.17.4. სარეპტის მლოგვი. ხალხური სინონიმები: გურიაში - დოგვი; სამეგრელოში დოგი, დონგი.

ნაყენის დასამზადებლად 10 გ დაფქულ თესვას ათავსებენ მინის ან მომინაქრებულ ჭურჭელში, უმატებენ 1 ლიტრ წყალს, აყოფებენ 48 საათის განმავლობაში, შემდეგ ფილტრავენ, ნაყენს ათავსებენ თავდახურულ ჭურჭელში ბნელ და მშრალ ადგილას. გამოყენების წინ 150-200 მლ კონცენტრატს უმატებენ 800-850 მლ წყალს.

იყენებენ ბუგრების, სხვადასხვა ხვატარის მატლების, თამბაქოს თრიფის, მდელოს ბაღლინჯოს, დუეიანას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ.



2.2.17.5. სქელნაყოფიანი სოფორა. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად 1,2 კგ დაქუცმაცებულ გამომშრალ ნედლეულს 24 საათის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, პერიოდული მორევით, კარგად უნდა გაიწუროს და გაიფილტროს და მოთავსდეს თავდახურულ ჭურჭელში. გამოყენების წინ აზავებენ იგივე რაოდენობის წყალში (10 ლიტრი) და ყოველ 10 ლიტრზე უმატებენ 30-40 გ საპონს.

იყენებენ ხეხილისა და ბოსტნეული კულტურების მავნებლების - ბუგრების, ღიღველას, ბაღლინჯოს მატლებისა და ვაშლის ჩრჩილის წინააღმდეგ.




2.2.18. ტ

2.2.18.1. ტილჭირი, აკონიტუმი. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად კარგად დაქუცმაცებულ 1 კგ მშრალ ნედლეულს ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, აყოვნებენ 48 საათის განმავლობაში, შემდეგ გამოწურავენ, გაფილტრავენ, შესხურების წინ გაფილტრულ ნაყენს უმატებენ წყალში გახსნილ 50 გ საპონს და 5 ლიტრ წყალს, ე.ი. შეავსებენ 15 ლიტრამდე. ასეთი ნაყენი ეფექტურია ვაშლის ბუერის, ჟოლოს ხოჭოს მატლებისა და ხერხიების წინააღმდეგ.



ფხვნილის დასამზადებლად 10 კგ ჩამქრალ კირს ასველებენ 1,5-2 ლიტრ განუსავებელი ნაყენით, კარგად აურევენ ერთმანეთში, კოპტებს დაფხვნიან. ასეთი ფხვნილი ეფექტურია რაფისს ყვავილჭამიას წინააღმდეგ.




თაგვების წინააღმდეგ 1 კგ მისატყუებელ მასალას უმატებენ მიწისხუცა ნაწილის 50 გ ფხვნილს. ასეთი მომხამულ-მისატყუებლით კვების შედეგად თაგვები ადვილად იღუპებიან.



2.2.19. უ

2.2.19.1. ურთხელი. ხალხური სინონიმები: კახეთში, ფშავში, ხევსურეთში - უთხოვარი, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში - ურთხმელა, ურთხველა; აჭარაში - მადა, ურთხმელა, სატილია; ქვემო რაჭაში - წუთული; ქართლში - ურთხლი; სამეგრელოში - ურთხელი; სვანეთში - ურთხელ, შაჰრა; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით საჯი.

ფხვნილს ამზადებენ კარგად გამომშრალი წიწვებიდან, იყენებენ ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ.



ნაყენის დასამზადებლად 1 კგ მშრალ წიწვს ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, აყოვნებენ 12-18 საათის განმავლობაში, გამოწურავენ, გაატარებენ საცერში და ათავსებენ კარგად თავდახურულ ჭურჭელში.



ნახარშის დასამზადებლად 1 კგ დაფქულ წიწვს ყრიან წყალში, აყოვნებენ 1-2 საათს, შემდეგ აღუღებენ 30 წუთს, აცივებენ, გამოაწურავენ, ათავსებენ კარგად თავდახურულ ჭურჭელში, გამოყენების წინ აზაკებენ 2-10 ლიტრ წყალში, ყოველ ლიტრზე უმატებენ 2 გ სამეურნეო საპონს. იყენებენ ბუკრების, თრიფსების და სხვა მწუწნავი მავნებლების წინააღმდეგ. ეფექტურია თაგვების მიმართაც.



2.2.19.2. ურცი. ხალხური სინონიმები: მესესთში - ყარაფილა; დავით ჩუბინაშვილის მიხედვით - კარაფილა.

ნაყენის დასამზადებლად ყვავილობის პერიოდში შეგროვებული ნედლეულის (მთლიანად მცენარე) 250-400 გ ფხვნილს 18-24 საათის განმავლობაში აყოვნებენ 10 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოაწურავენ, გაფილტრავენ და იყენებენ რწყილებისა და სხვა მავნე მწერების წინააღმდეგ. ამ მიზნით გამოყენებულია ფხვნილიც.



2.2.19.3. უცუნა ლამაზი. ხალხური სინონიმები: თუქმეთში უცანა; ზემო რაჭაში - უცუნი; ლენსუქში - შანშველა; გურიაში თავნიორა; გურიაში, აჭარაში სათოვლია; სამეგრელოში დგრჩე, ჯირჩე, ლაქა გვაჯა; სვანეთში - შაშვლი.

ნაყენის დასამზადებლად გამოყენებულია ნედლი ან მშრალი ბოლქვები. ტუბერბოლქვებს უნდა მოსცილდეს ფესვები, გამსმარი ხალთა და კარგად დაქუცმაცდეს. 1 კგ დაქუცმაცებულ ტუბერბოლქვს ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, აყოვნებენ 24-48 საათის განმავლობაში, შემდეგ კარგად გამოაწურავენ (ორპირ დოლბანდში ან საწურში), იყენებენ მწუწნავი მავნებლების წინააღმდეგ.

მშრალი ბოლქვებისაგან ღამზადებულ ნაყენს (1კგ/10 ლ წყალი), ეფექტიანობის გაზრდის მიზნით უმატებენ 40-50 გ სამეურნეო საპონს.



2.2.19.4. უჯანგარი. ხალხური სინონიმები: კახეთში - მყრა-
ლა, მყრაღა-ბალახი; იმერეთში - ოყრალო, ოყრაღა; ქვემო
იმერეთში - ყრაღა-ყრაღა; ლეჩხუმში - მაძღარა, მომყრაღა,
შავცოცხე; გურიანში - ძაღლიქინძა; საინგილოში - ყარა შამბაი;
სამეგრელოში - ცეროცი.

უჯანგარს სხვა მცენარეების (კაკალი, ომბალო) ფოთლებთან
ერთად იყენებენ ლობიოს მემარცვლიას წინააღმდეგ (ათავსებენ
ლობიოს შესანახ სათავსებში). უჯანგარი აფრთხობს ბუჩებს, რწყო-
ლებს, ჩრჩილის პეპლებს და სხვა მავნე მწერებს, ამიტომ მას
ძველად ათავსებდნენ საცხოვრებელ ბინებში ან მწვანე მდგომარე-
ობაში ცოცხად იყენებდნენ.



2.2.20. უ

2.2.20.1. ფარსმანდუკი. ხალხური სინონიმები: ქართლ-კახეთ-
ში. ფშავში - მელიკუდა, მელისკუდა; ქიზიყში - თაყყითელა;
ხევსურეთში - ციცასკუდა; მთიულეთში - შელაგუნდა; ხევში
მკერვაღა, საჭრელა; თუშეთში - წყლულის ბალახი; მესხეთში,
ჯავახეთში, აჭარაში - ყვავისკუდა, ყვაგკუდა, ყვაყუდა, ჩიჩქვის
ბალახი; რაჭაში, იმერეთში - კრავიკუდა, ქორიკუდა; ლეჩხუმში -
თავგიკუდა; საინგილოში - წყილი-ბალახ; სვანეთში - მულმურიღ.

ნაყენის დასამზადებლად იღებენ კარგად გამომშრალ და და-
ქუცმაცებულ ნედლეულს 800 გ რაოდენობით, 30-40 წუთის გან-
მავლობაში მოთუთქავენ მღულარე წყალში. შემდეგ უმატებენ 10
ლიტრ წყალს, აყოფენ 36-48 საათს. გამოწურავენ და ათავსე-
ბენ კარგად თავდახურულ ჭურჭელში.



ნახარშის დასამზადებლად იღებენ გამომშრალ ნედლეულს
და წყალს იგივე თანაფარდობით, რაც გათვალისწინებულია ნაყე-
ნის დამზადებისას, შემდეგ ადულებენ 30 წუთის განმავლობაში.
სწრაფად გამოწურავენ, ცხელს ათავსებენ პერმეტულად თავდა-
ხურულ ჭურჭელში.

ორივე შემთხვევაში გამოიყენების წინ უმატებენ 20 გ საპონს.
ნაყენი და ნახარში გამოიყენება ბუგრების, ლილველას, აბლაბუ-
დიანი ტკიპას, თრიფსების წინააღმდეგ.



2.2.20.2. ფიჭვი. ხალხური სინონიმები: იმერეთში, აჭარაში, მუსხეთში კატარი; ხევში ჩირალის ხე; თუშეთში უინაცი; სვანეთში - გგკიბ, რაფიელ ერისთავის მიხედვით - პიტო.

ნაყენის დასამზადებლად 2 კგ ერთწლიანი ნაზარდის წიწვებს ათავსებენ 8 ლიტრ წყალში, აყოვნებენ 5-7 დღის განმავლობაში. ნაყენს ინახავენ ბნელ ადგილას და ყოველდღიურად ურევნენ. გამოყენების წინ კონცენტრატს აზავებენ 1:10 შეფარდებით.

ნაყენს იყენებენ ბუტრების, ნაყოფჭამიების, ალურას და ღიღველას წინააღმდეგ.



2.2.21. კ

2.2.21.1. ქაფურა. ხალხური სინონიმები: კახეთში - ძლიერი. ყვავილებსა და მიწისზედა ნაწილებს იყენებენ მწერების დასაფრთხობად.



2.2.21.2. ქინძი. ხალხური სინონიმები უცნობია.

ქინძის რუსული სახელწოდებაა “коричмар“, ბერძნული სიტყვა “корис“-გან არის წარმომდგარი, რაც ნიშნავს “კიონ“-ს ბალღინჯოს, მოუშწიფებელი ქინძი ბალღინჯოს არასასიამოვნო სუნს გამოყოფს.


სახვისა და ნიორის რიგაშორისებში ან ირგვლივ დათესილი ქინძი აფროხობს სახვის ბუხს და ნათესებს იცავს დაზიანებისაგან (აღნიშნულ ღონისძიებას ძველად და ამჟამადაც იყენებენ).



2.2.21.3. ქრისტესისხლა. ხალხური სინონიმები: ხევსურეთში - სისხლა-ბალახი; ქიზიყში - ყირის ყაყაჩო; რაჭა-ლეჩხუმში - ცხენისოფა; აჭარაში - ქარცეცხლა, საყუთლო; საინგილოში - სურსულაი წამაღ; სამეგრელოში ნაწიფუ, ნაწიფი, ჯაში ზისხირი; სვანეთში - მგლიფ-მელილდ, ჭყდიმ მელილდ.

ნაყენის დასამზადებლად 10 ლიტრ წყალზე იღებენ 3-4 კგ ნედლ ან 1 კგ გამოშრალ დაქუცმაცებულ ნედლეულს, (მიწისზედა ნაწილები), წყალში აყოვნებენ 24-36 საათს. შემდეგ გამო-

წერავენ, გაფლიტრავენ, ათავსებენ კარგად თავდახურულ ჭურჭელში. გამოიყენება ბუკრების, ღიღველას, თრიფსების, თაღგამის თეთრულას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ.



ფხვნილს ღებულობენ გამომშრალი ბალახიდან, რომელსაც შეფურქვევის წესით იყენებენ რწყილების, შესრჩოლებით კი ხეხილის ღიღველების, ბოსტანში კომბოსტოს თეთრულას და სხვა მწერების წინააღმდეგ.




2.2.21.4. ქრიზანთემა. ხალხური სინონიმები: ქართლში - მამულა ყვავილი, კახეთში - შემოდგომურა, შემოდგომის ყვავილი, ბუტია, გიორგობელა; სამეგრელოში - დამორჩილიში ვარდი, ზოთუსჯიში ვარდი; დავით ნუბინაშვილის მიხედვით - ადრაგუნი.

ნიადაგში, სადაც კულტივირებულია ქრიზანთემა მნიშვნელოვნად მცირდება გალიანი ნემტოდების რიცხოვრივობა. პომიდორისა და ქრიზანთემის ერთობლივ ნათესში გალიანი ნემატოდების პროპულაცია მცირდება.



მახრების დასაფრთხობად წინასწარ დაფესვიანებულ ქრიზანთემას 40-50 სმ-ის დაშორებით რგავენ მარწყვის რიგთშორისებში;



ან კიდევ, დარგვისას ორმოებში ათავსებენ ქრიზანთემას გამხმარ ფოთლებსა და ღეროებს, იგივე ღონისძიება კარგ შედეგს იძლევა პომიდორისა და წიწყის ჩითილის დარგვისას.



2.2.22. ღ

2.2.22.1. ღანძილი. ხალხური სინონიმები: ფშავში - ხანძილი; ხევსურეთში - ღანძელი; იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში ჯიქილა; საინგილოში - ღანხილი; სვანეთში - შიშგილ.

ნაყენის დასამზადებლად წვრილად დაჭრილ 1 კგ ნედლეულს 12 ღლის განმავლობაში ათავსებენ 25-30 ლიტრ წყალში გამოწურვისა და გაფილტვრის შემდეგ იყენებენ პომიდორის ფიტოფტოროზისა და ბუკრების წინააღმდეგ.

ღანძილი ხასიათდება ფიტონციდური თვისებებით, აფერხებს

მესობლად ნათესი ხორბლეულის ზრდა-განვითარებას.



2.2.22.2. ღორის ქადა. ხალხური სინონიმები: კახეთში, ქიზიყ-ში ქადუნა; ხევსურეთში - ხარნია; თუშეთში - ხარნუყა; სემო-იმერეთში - ბატყბილა, ხავარტა; ლენხუშში - ბატიბალახი; აჭარაში - ნარკოყობა; მესხეთში - ბატისასუქა; სამეგრელოში - ბუა-ლე; სვანეთში - მგლჯა; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ხახი, ველის ყრღელი.

ნაყენის დასამზადებლად 330-350 გ დაქუცმაცებულ ღეროებსა და ფოთლებს 7-8 საათის განმავლობაში ათავსებენ 1 ლიტრ წყალში კარგად გამოწურავენ, გაფილტრავენ და ახლად დაშნადებულ ნაყენს ასხურებენ საცრის წინააღმდეგ (სეზონზე სამოთხჯერადი შესხურება 4-6 დღის შუაღელით).



2.2.22.3. ღოღო. ხალხური სინონიმები: ხევში, ფშავში, ხევსურეთში ჭეკარი, ჭეკარა; თუშეთში ჭირტალი; მესხეთში, იმერეთში, რაჭაში, ლენხუშში, აჭარაში, ჭანეთში ღვალა; უკრიაში - მიდი-მოდო; ჭანეთში, ნიკოლოზ მარის მიხედვით ღვალო, ღვალუ; სამეგრელოში კუმხა, კუმუნთხური, ოღვალა; სვანეთში - ტელიფი.

ნაყენის დასამზადებლად 300 გ კარგად დაქუცმაცებულ ღოღოს ფესვებს ასხამენ 10 ლიტრ თბილ წყალს, აყოვნებენ 3 საათს.

400 გ მშრალ ფესვებს უმატებენ 10 ლიტრ ცხელ წყალს ან კიდევ 1 კგ ნედლ ფოთლებს ერთი დღე-ღამე ათავსებენ 10 ლ წყალში, ყველა შემთხვევაში გამოწურავენ და იყენებენ ბუგრები-სა და ტკიპების წინააღმდეგ.



2.2.23. შ

2.2.23.1. შვიტა. ხალხური სინონიმები: ქართლში მუხლა, ნაწყვეტა; კახეთში, იმერეთში ცხენის ძუა, ჯორის ძუა; ხევსურეთში - ბორბალა; ხევში - ტრიალა; მესხეთში - თოფისა-ხოცელა; რაჭა-ლენხუშში, იმერეთში - დათვიფანჩარი, ვირიძუა,

მონაძეა; ზემო იმერეთში ცხენის - ძეა; საინგილოში ყირხ ბულუმ; აჭარაში - ნაძეაბალახა; სამეგრელოში - თუნთიში ჭემი. დემიში ჭემი, მაჭყვადური; სვანეთში - ბგზგლდ.


ნახარმის დასამზადებლად 1 კგ მიწისზედა ნაწილებს უმატებენ 10 ლ წყალს, აყოვნებენ, შემდეგ ადუღებენ 30 წუთის განმავლობაში. აცივებენ, გამოიწურავენ და წყალში განზავების შემდეგ ასხურებენ.

ნახარში აძლიერებს მცენარის გამძლეობას ქეცის, ჭრაქისა და ჟანგას მიმართ, გამოიყენება როგორც პროფილაქტიკური საშუალება.




2.2.23.2. შოთხვი. ხალხური სინონიმები: ქართლში - უცნობელა; ხევსურეთში, ფშაქში - შოთხი; სვანეთში გუბლუ; ხევში - შოთხაი; ზ. ყანაველის მიხედვით თურსა.

ფიტონციდური თვისებების გამო ნოვგოროდის ოლქში გლეხები შემოდგომის ხვატრის წინააღმდეგ ნაყვეთში ჭიდებდნენ შოთხვის ტოტებს.



თესლს დათესვის წინ ათავსებდნენ ტოტების ნაყენში ან კიდევ წვავდნენ ტოტებს და კვამლში ატარებდნენ თესლს.



შოთხვს იყენებენ თაგვებისა და სხვა მღრღნელების დასაფროსობად.



2.2.23.3. შხამა. ხალხური სინონიმები: ქვემო ქართლში - ასლიყარა; ჯავახეთში, მესხეთში - აპუტარაყი; ხევსურეთში, თუშეთში სხამა; ხევში, მთიულეთში ჩხამა; მთიან რაჭაში შხამი; იმერეთში აბუდრაყი; რაჭა-ლეჩხუმში აპუნტრაყი; გურიაში - ხაპუტრაყი; ჭანეთში - წარმახი; სამეგრელოში აპურტრაყი; სვანეთში ამტრანკ; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით აბუტარატი. შხამას სახელწოდების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა აგრონომმა სერგო ღვინიაშვილმა წალკის რაიონის სოფელ რეხაში შხამას კამეჩომხოცავს ეძახიან.

შესაფრქვევად იყენებენ შხამას ფესვებისა და ფესურებისაგან


(ფეხვები და ფეხსურები დაკრისას უნდა იყოს მოთეთრო-ნაცრისფერი) დამზადებულ წმინდად დაფქულ ფხვნილს.




ნაყენის დასამზადებლად იღებენ 1 კგ ნედლ ან 500 გ ნახევრად შპრალ, 250 გ შპრალ ან კიდევ 100 გ კარგად დაქუცმაცებული ფეხვებს და ფეხსურებს, 24-48 საათის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოწურავენ და მავნე მწერების წინააღმდეგ იყენებენ.



ნახარშის დასამზადებლად იგივე შეფარდებით იღებენ დაქუცმაცებულ შხამას ნედლეულს, ცივ წყალში ათავსებენ 6-8 საათის განმავლობაში, აღუღებენ ნახევარ საათს, გაცივების შემდეგ გამოწურავენ. იყენებენ ვაშლის ჩრჩილის, აღუბლის ხერხიას, რგოლური პარკვევიას მატლების, კომბოსტოს თეთრულას, ვაშლის მწვანე ბუჯრის, ნაყოფჭამიების წინააღმდეგ.



შხამას იყენებენ თაგვისებრი მღრღნელების წინააღმდეგაც. ისინი ადვილად იღუპებიან შხამას ფეხვების ნაყენისაგან დასველებული მარცვლით კვების შედეგად. ნაყენის დასამზადებლად იღებენ 100 გ დაქუცმაცებულ ნედლ ფეხვებს და 4-5 ლის განმავლობაში აყოვნებენ 0,2 ლიტრ წყალში (უმატებენ რამდენიმე წვეთ გოგირდმუყავს, მარილმუყავს ან აზოტმუყავს), გამოწურვის შემდეგ მასში ათავსებენ მარცვალს, რომელიც გაჯირჯეობამდე უნდა მივიდეს და განსაჯისუფლდეს ჭურჭელში დარჩენილი ნაყენისაგან, გაშრობის შემდეგ შეაქვთ სოროებსა და შენობის სხვადასხვა ადგილას.



ჩამქრალი კირითა და შხამას ფხვნილის ნარეკით ხეების შტამბის შელესვა მცენარეებს თაგვისებრი მღრღნელებისაგან იცავს.



2.2.24. ჩ

2.2.24.1. ჩაი. ხალხური სინონიმები უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად იღებენ 50 გ ჩაის, ათავსებენ მღუღარე მცირე რაოდენობის წყალში, მიღებულ ნაყენს უმატებენ 25 ლიტრ წყალს, რომელიც საყმარისია 5000 კალმის დასამუშავებ-

ლად. ტკიპებისაგან დაზიანებულ კალმებს 3 საათის განმავლობაში ათავსებენ ჩაის ნაყენში. ტკიპები 1-2 დღის შემდეგ ილუპე-ბიან.



150 გ ჩაის უმატებენ 10 ლიტრ ცივ წყალს, აყოვნებენ 24 საათი, შემდეგ 30 წუთით ათავსებენ ნელ ცეცხლზე აცივებენ, ფილტრავენ, აზავებენ 1:5 შეფარდებით და იყენებენ სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ.




2.2.24.2. ჩვეულებრივი კანაფი. ხალხური სინონიმები: სამეგრელოში - კეფი, კიფი; სვანეთში - გიმბაშ ქან; ჭანეთში - ხუტენი. კეფი; საინგილოში - ქასრალ; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით - ექუსუნჯი.

მცენარეთა მავნებლების დაფრთხობის მიზნით კანაფი ძველ-თაგანვე იყო გამოყენებული. კერძოდ, სამარის კოლონიტები ბარდას თესლს დათესვისას უმატებდნენ კანაფის თესლს, მისი სუნი აფრთხობდა ბარდას ბუჯრს.



კიევის და პოდოლსკის გუბერნიამი კანაფს თესავდნენ ჭარხლის ნათესის სანაპირო ზოლში რწყილებისაგან დასაცავად.



ვაშლის რიგთმორისებში დათესილი კანაფი ნარგაობას სხვადასხვა მავნებლებისაგან იცავს, ამიტომ ხეხილის გაშენების წინ ურჩევენ ნაკვეთში კანაფის ზუსე შეტანას, ნიადაგში შეტანილი კანაფის ზუსე გამოყოფს სუნს და მათის ღრატას აფრთხობს. კანაფს კარგ წინამორბედად თვლიან ღრატასაგან კარტოფილის დასაცავად.



2.2.25. ც

2.2.25.1. ცერცველა, ფიგი. ხალხური სინონიმები: აღმოსავლეთში, ზემო იმერეთში - გორველა, გორველა ბალახი; ჯავახეთში - ფიგი; ხევსურეთში - ნაცერცველა; იმერეთში, ზემო რატაში - კვარცველა, კვარცვალიტა; გურიაში - ყვავიცერცვა, ტყის ცერცვაი; საინგილოში - გულბაი; სამეგრელოში - კვარიაში ხაჯი, ყურდგე-

ლიმ ღებია. გვარუცავალიტა; სკანეთში მეკვდ.

კერცველა პეპლების მატლების წინააღმდეგ გამოყენებული თაღვამის, მუსუღოს, კომბოსტოს კომბინირებული ნახარშის ერთი კომპონენტია.



2.2.25.2. ციკუტა. ხალხური სინონიმი უცნობია.

ნაყენის დასამზადებლად 1 კგ კარგად დაქუცმაცებულ მშრალ ნედლეულს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ 24 საათის განმავლობაში. გამოწურავენ, გაფილტრავენ და ასხურებენ ხერხიების მატლების წინააღმდეგ.



2.2.25.3. ციტრუსოვანი. ნაყენის დასამზადებლად 1 კგ მანდარინის, ლიმონის ან ფორთოხლის ქერქს გაატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში ან კარგად სრესენ სანაჟში ერთგვაროვანი მასის მიღებად, შემდეგ ათავსებენ საძლიტრიან წყლიან ქილაში, სუფავენ და 5 დღის განმავლობაში ინახავენ თბილ და ბნელ ოთახში; სქელი ერთგვაროვანი მასის მიღების შემდეგ გამოწურავენ, გაფილტრავენ და ნაყენს ბოთლებში ასხამენ, მჭიდროდ ასურავენ საცობს და გარშემო უკეთებენ ლექს ან პარაფინს. ეს პროცესი უნდა ჩატარდეს ძალიან სწრაფად (აქროლოდი ნივთიერებების შენარჩუნების მიზნით). ბოთლები ინახება ბნელ და გრილ ადგილას. გამოყენების წინ 100 გ ნაყენს აზავებენ 10 ლიტრ წყალში და უმატებენ 40 გ სამეურნეო საპონს.



ან კიდევ ნაყენის დასამზადებლად 2 კგ მშრალ ქერქს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ სამი დღის განმავლობაში, ათავსებენ ბნელ და თბილ ადგილას (მიღებული ნაყენი გამოიყენება განსავეების გარეშე).

ნაყენს იყენებენ თრიფსების, ბუგრების და ფქვილისებრი კრუფარიანას წინააღმდეგ. ურსევენ ციტრუსების, ნიორის ან მწარე წიწკას ნაყენის მონაცვლეობით გამოყენებას.



ლიმონის გამოყენების თაობაზე ქურნალი „მოსავალი“ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ერთი-ორი დღე სრულიად საყმარისია დაობე-

ბული ლიმონი დაედით, რომ იქ ახლო-მახლო ერთმა ჭიანჭველამაც აღარ გაიაროს“.



2.2.26 ძ

2.2.26.1. ძაღლის-ენა, ოსერო. ხალხური სინონიმები: ხევსურეთში ღორნიკა, ქირი; ხევში ძაღლის მხალაი; მესხეთში მგელისყურა, ღოსტოცი; სამეგრელოში სახოკია; სვანეთში უაღვემ ნინ, უელი ნინ.

ძველთაგანვე იყო გამოყენებული თავგებისა და ვირთავგების დასაფრთხობად. მღუღარე წყალში მოღნობილ (ამოვლუბულ) ნედლ ან ხმელ მცენარეებს კონებად ჩამოჰკიდებენ 'შენობაში ან ჩატენიან სორიებში, მღრღნელები შეიგრძნობენ რა მის სუნს, სწრაფად სტოვებენ ასეთ ადგილებს.



2.2.26.2. ძირთეთრა. ხალხური სინონიმები: ღეჩხუმში, გურიამში, იმერეთში რუსული ნიახური; რაჭაში ისპი, ისპანი, სპანი, დიდი ნიახური; სამეგრელოში რუსული სონა.

რიგოშიორისებში დარგული ძირთეთრა სვატარისაგან იცავს კომბოსტოს, რადგან იგი იზიდავს სასარგებლო მწერს, რომელიც ანადგურებს სვატარის მატლებს.



2.2.27. ♡

2.2.27.1. წიწაკა. ხალხური სინონიმები: იმერეთში, ღეჩხუმში, გურიამში - პიპილი; მთიან რაჭაში - პიპილა, პიპილა; აჭარაში - სურენჯი, პირპილო; საინგილოში - პირპილ; ჭანეთში - პიპეი; სამეგრელოში - ზარფანა, ზაფანა; სვანეთში - პიპილაჲ, ძაფანა; დავით ჩუბინაშვილის მიხედვით - დარუპილპილი.

ნახარშის დასამზადებლად 1 კგ დაჭრილ ნაყოფს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, ადუღებენ ერთი საათის განმავლობაში მომინანქრებულ თავდახურულ ჭურჭელში ასე ტოვებენ ორი დღის განმავლობაში, შემდეგ კარგად გასრესენ, გაწურავენ და ნახარშს ასხამენ ბოთლებში, მჭიდროდ ახურავენ საცობს. ათავსებენ ბნელ და გრილ ადგილას. ყუაველოვანი მცენარეების შესახსურებლად

125 მლ ნახარშს უმატებენ 10 ლიტრ წყალს და 40 გ საპონს ან კიდეც 10 ლიტრ წყალზე იღებენ 0,5 ლ ნახარშს 40 გ საპონის დაბატებით.

იყენებენ ბუერების, ღიღველას, თრიფსებისა და ღიად მცხოვრები ბატლების წინააღმდეგ.



2.2.27.2. წყლის იელი. ხალხური სინონიმები უცნობია.

აშხადებენ ფხენილს, რაქვებზე იყენებენ ჩრჩილების წინააღმდეგ, კარდა აღნიშნულისა, მიმართავენ ოთახებში ფოთლების დაწვას, დახრჩოლებას.



2.2.28. ჭ

2.2.28.1. ჭინჭარი, ჯინჭარი. ხალხური სინონიმები: ხეკში ჭახიანა; საინგილოში - უინჯარ; ჭანეთში - დინჯკიჯი, დინჯკიჯი; სამეგრელოში - ჭუჭელია, ჭუჭელე; სვანეთში - მერხელ.

ნაყენის დასამზადებლად 1 კგ მიწისხედა ნაწილებს უმატებენ 10 ლიტრ წყალს, აყოვნებენ გამუქება-დადუღებაძღე, გამოწურავენ, გამოყენების წინ აშავებენ წყალში (1:10). იყენებენ ბუერებისა და ლობიოს მარცვლიას წინააღმდეგ.



ერთი ვედრო წვრილად დაჭრილ მცენარეს უმატებენ 10 ლ ცივ წყალს, აყოვნებენ 12-24 საათს, შემდეგ გამოწურავენ და შეახსურებენ ტკიპების წინააღმდეგ.



2.2.28.2. ჭლაყვი. ხალხური სინონიმი: ქართლში, ქიზიყში თალიში ხახვი; მთის რაჭაში - მჭლაყვი; იმერეთში - ფონის ხახვი; სვანეთში სოხ, ჭაგვ; გურიაში - სოხვი; სამეგრელოში - სოხი, სორხი.

რიგთშორისებში მჭიდროდ დათესილი ჭლაყვი მარწყვს იცავს ცხვირგებლებისაგან.

მაწებლების რიცხოვრივობა მკვეთრად მცირდება ხეხილის რიგთშორისებში (ან ირგვლივ) დათესილი ჭლაყვის ფოთლების მწვანედ მოყრეფის შემდეგ.

2.2.28.3. ჭარხალი. ხალხური სინონიმები: საინგილოში - ჭერხილი; ჭანეთში - ჭარხალა; სვანეთში ჩივინდვირ, ჭარხალ.


რიგთპორისებში დათესილი ჭარხალი სტაფილოს იცავს სტაფილოს ბუხისაგან.



2.2.29. ხ

2.2.29.1. ხავერდა, ზაფრანა. ხალხური სინონიმები: ქართლში - კაკია; გურიაში - ხაფრანა, ნარგიზი; კახეთში - ნარგიზი, სუსამბარი, ზაფრანა; იმერეთში ყვითელი სურნელი, ხარჩის ყვავილი; საინგილოში - მახმური, მახმურ ჩიჩაგ; სამეგრელოში ქორთული ზაფანა, ქორთული პირი, ყვინთელი კოჭა, ყვინთელი პირი, ჭითა პირი.

ნათესში ხავერდას შეთესვა ნიადაგში იწვევს ზოგიერთი ნემატოდების პოპულაციის შემცირებას, ექსტრაქტი კი მომავდინებლად მოქმედებს ნემტოდების ზოგიერთ სახეობაზე. ნემატოდების რიცხოვნობის შემცირებას იწვევს ხავერდას ფესვებით და მიწისსეკა ნაწილებით ნიადაგის დამულჩვა, იგი ყუიქტიანობით სტარბობს მზრალად ხვსას და მულსის სხვა სახეობებს. კარგ შედეგს იძლევა ძირითად კულტურებთან ერთად თესვა. იგი დაახლოებით 60 სმ-ის რადიუსით ზღუდავს ნემატოდების განვითარებას.



ნაყენის დასამზადებლად ვეგეტაციის პერიოდში შეგროვილ ხავერდას ნედლეულს ათავსებენ ვედროში (ნახევარი) უმატებენ 10 ლიტრ თბილ წყალს, ორი დღის შემდეგ გამოწურავენ, ნაყენს უმატებენ 40 გ ხამურნეო საპონს. ნაყენი გამოყენებულია ვარდის ბუგრის, ჯვაროსანყვავილოვანთა რწყილების წინააღმდეგ.



2.2.29.2. ხანჭკოლა. ხალხური სინონიმები: სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ხანჭკვალა, თერმია, ლოპინარი; იუსტინე აბულაძის მიხედვით - თერმისი; დავით ჩუბინაშვილის მიხედვით თერმია, თერმუსი.

პლანიუსი იყენებს დემოკრიტეს მონაცემებს (ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე) იმის შესახებ, რომ კონიოს გამონაწერსე ხანჭკოლას ყვავილების დამატება მცენარეების განადგუ-

რუბას იწვევს.



2.2.29.3. ხარისთვალა. ხალხური სინონიმები: იმერეთში - ბორბალა, ბორბოლა.

ნაყენის დასამზადებლად კარგად დაქუცმაცებულ გამომშრალ 1 კგ ნედლეულს ერთი დღე-ღამის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოწურავენ, ფილტრავენ და იყენებენ ხეხილის ბაღში, ბოსტანში მღრღნელი მწერების წინააღმდეგ. ეფექტურია მავნებლების მატლების, ბუკრების წინააღმდეგ.



მიმხამულ-მისატყუებელი მასალის სახით გამოყენებულია თავისებრი მღრღნელების წინააღმდეგ, 100 გ მისატყუებელ მასალაზე იღებენ 5 გ ფესურების ფხენილს. დამზადებული მასალები შეაქვთ სოროებსა და მღრღნელებით დასახლებულ შენობებში.




2.2.29.4. ხახვი. ხალხური სინონიმები: რაჭაში - მხახავი; სამეგრელოში - ხვარხვი; საინგილოში ხახი; სვანეთში - ხახვი;

ნაყენის დასამზადებლად იღებენ 200 გ ქერქლს, უმატებენ 10 ლიტრ თბილ წყალს, აყოფებენ 12-14 საათის განმავლობაში, კარგად გამოწურავენ და 5 ლის ინტერვალით სეზონზე სამჯერ ასხურებენ ბაღლინჯოს, ნაყოფჭამიას, აბლაბულიანი ტკიპას წინააღმდეგ. ნაყენს (ფიტონციდას) ახასიათებს ფუნგაციდის თვისებებიც.



ხახვის ბოლქვებს იყენებენ ფრინველების (რომლებიც ნაყოფებს აზიანებენ) დასაფრთხილად, ბოლქვებს ხეებზე ჩამოაკიდებენ, გამოშრობის შემდეგ კი ცვლიან ახალი ბოლქვებით.



ხახვის და სტაფილოს ერთმანეთთან ახლოს დარგვა სტაფილოს სხვადასხვა მავნებლებისაგან, ხახვს კი ხახვის ბუჩისაგან იცავს.



2.2.29.5. **სბოშუბლა**. ხალხური სინონიმები: ქართლში - ჩოყი; კახეთში, მესხეთში, ფშავეში - ხორშუბლა; თუშეთში - სბოთშუბლა, ხორშუბლა.

ნაყენის დასამზადებლად 90-100 გ დაქუცმაცებულ ნედლეულს 24 საათის განმავლობაში ათავსებენ 1 ლიტრ წყალში, შემდეგ გამოწურავენ, ფილტრავენ და ინახავენ თავდახურულ ჭურჭელში. გამოიყენება აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ.



2.2.29.6. **ხებალახა**. ხალხური სინონიმები: მესხეთში, ხევში - ხესურავანდა.

ნახარშის დასამზადებლად გასაფხულზე ან შემოდგომით შეგროვილ ნედლ ყლორტებსა და ფოთლებს კარგად დაქუცმაცებენ, 5-6 კგ ნედლეულს 3-4 საათის განმავლობაში ათავსებენ წყლიან ჭურჭელში (10 ლიტრი წყალი); შემდეგ სამ საათს ადულებენ ნელ ექვდსზე; ნახარშს გაწურავენ, დარჩენილ ნედლეულს კი სატომრე ქსოვილში ხელმოკრედ გამოწურავენ. გამოწურულ ნახარშს მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში ათავსებენ (უმჯობესია მინის ჭურჭელი). ბნელ და ცრილ შენობაში შენახული ნახარში ინსექციციდურ თვისებებს რამდენიმე თვის განმავლობაში ინარჩუნებს. გამოყენების წინ 1 ლიტრ ნახარშს აზავენ 2 ლიტრ წყალში (1:2), რომელიც ეფექტურია სხვადასხვა მავნებლების, ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ.



2.2.29.7. **ხემყრალი**. ხალხური სინონიმები: კახეთში, ქიზიყში - გველის ხე; კახეთში - მყრალი ხე, ხეკაკალა; გურიაში, კახეთში - ალისტო, ალიასტო, ყროლი; ქიზიყში ჭანდარი, ჭანდრის ხე, მყრალი ჭანდარი; იმერეთში - მყრალი კოპიტი, ყრუ კოპიტი, რუსული კოპიტი, მყრალი ხე; ოყრიბაში - ბოთე ხე; ლეჩხუმში - მწარე ხე, მწარე იფნა, დათიას ხე; გურიაში მყრალა-მყრალა, ქოთია ხე; სამეგრელოში - შურამია.

ნახარშის დასამზადებლად 1 კგ დაქუცმაცებულ ნედლ ფოთლებს უმატებენ 4 ლიტრ წყალს, ადულებენ 30-60 წუთის განმავლობაში, გამოწურავენ, ფილტრავენ, აზავენ ორმაგი რაოდენობის წყალში, გამოყენების წინ უმატებენ 40 გ საპონს.

ნახარშს იყენებენ აბრეშუმას წინააღმდეგ; სემყრალას ნაყენი სოკო *Alternaria cuscufacida* Rudak-ის მკვებავი არეა. ეს უკანასკნელი გამოყენებულია აბრეშუმას წინააღმდეგ.



თავი III. გენერალთა ღაცვის ხალხური ლონისძიებები და საშუალებები

3.1. ღონისძიებები

3.1.1. მძანისძიებები

მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ინტეგრირებული ბრძოლის საკითხი ახალი არ არის; პირველი მიწათმოქმედნიც მწვავედ განიცდიდნენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეებსე მათ უარყოფით ზემოქმედებას, მაგრამ ბრძოლის ღონისძიებები სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ძველთაგანვე სოფლის მეურნეობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მავნე ორგანიზმს კალია წარმოადგენდა, რომელიც მასობრივი გამრავლების შემთხვევაში მთლიანად ანადგურებდა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, არამედ ველურ მცენარეებსაც და ქვეყანას დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებდა. ამიტომაც, რომ მიყენებული ზარალის მიხედვით კალია ისტორიაში შევიდა „ეგვიპტური შავი ჭირის“ სახელით. კალიების მავნეობასე მიუთითებს ისიც, რომ იგი შესაბამისად ასახულია ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც, რომლის შესახებაც ქვემოთ გვიქნება საუბარი.

ხორბლოვანთა ჟანგათი მარცვლის დაზიანება და განადგურება მოისყვეის კანონის მიხედვით ბოროტგანმზრახველთა სასჯელთა სიაშია შეტანილი. რომაელები ამ დაავადებისგან ნათესების დასაცავად რობიგალიის ზეიმს ატარებდნენ ღმერთის რობიგუსის ანუ რობიგოს პატივსაცემად. ამ წესწვეულების დაწესებას რომის ლეგენდარული მეფეებიდან მეორეს - ნუმეს მიაწერენ. ვარაუდობენ, რომ მარცვლეულის ავადმყოფობების წინააღმდეგ სხვა უფრო პრაქტიკულ ღონისძიებებს იყენებდნენ, რასედაც პლინიუსი ახალი წელთაღრიცხვის 77 წელს მიუთითებს თავის წიგნში „ბუნების ისტორია“.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ძველთაგანვე იყენებდნენ მექანიკურს, როგორც პროფილაქტიკურ ღონისძიებას. შედარებით უფრო ძველი და პრიმიტიული ღონისძიება მავნე ორგანიზმების შეგროვება და განადგურებაა, რომელსაც ამჟამად იყენებენ კომბოსტოს თეთრულას, ბურტყელა ბურგის, ყურძ-

ნის ჭიის. კოლორადოს ხოჭოს, მახრას, სარეველა მცენარეების, დაავადებული მცენარეების და მათი გამოშფუყების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ღონისძიებებს ვენახში მუშაობისას დღესაც იყენებენ. შტამბს ხმელი ქერქისაგან ხელით ასუფთავებენ, მოშორებული ქერქი იქვე ნაკვეთში რჩება, თუმცა უმჯობესია მოშორებული ქერქის შეგროვება და დაწვა.

მდელოში და ველებში მავნებლების მატლების გასანადგურებლად ხშირად სატკეპნების, უპირატესად კი ყვარცხების გამოყენებას მიმართავენ.

მექანიკური ღონისძიებებიდან მახრას წინააღმდეგ ნაკვეთში შემოდგომით 30-40 სმ სიღრმის შვეულკედლიან ორმოებს აკეთებენ. მათში ნაყელს (უმჯობესია ცხენის), მცენარეულ ნარჩენებს, სხვადასხვა ნაგავს ყრიან, ორმოში მიმდინარეობს წვა, გამოიყოფა სითბო, სადაც თავს იყრიან სითბოსმოყვარული მახრას მატლები, ზამთარში ორმიდან ამოყრიან მასში მოთავსებულ მასას, რომელსაც ამოყვება მახრები. მათ ხელით ანადგურებენ, ან თვით იღუპებიან ყინვის გამო. გარდა აღნიშნულისა, მახრების ფრენისას ნაკვეთში ათავსებენ სინათლის წყაროს, ამ უკანასკნელის ქვემოთ კი ფართოყელიან ჭურჭელს, რომელშიც ნავთისა და წყლის ნაზავი სითხეა ჩასხმული. სინათლის წყაროზე მოხვედრილი მახრები ცვივდებიან აღნიშნულ ნაზავში და იღუპებიან.

ცვივრგრძელების, ხერხიებისა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ ხშირად ხეებს ბერტყავენ, ჩამოცვენით მავნებლებს ხელით ანადგურებენ.

ძველი გამოცდილი მოსკოველი მებაღე ი. ბრინოვი ვაშლის მავნებლების წინააღმდეგ სის ძირში აგროვებს სხვადასხვა ნაგავს, მას ზემოდან აფარებს ქაღალდის ტომრებს ან სხვა მსუბუქ საშუალებებს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნაგავს წვავს (ნაგავთან ერთად იღუპება მასში თავმოყრილი მავნებლები ავადმყოფობების გამოშფუყებით), ღონისძიებებს თვეში ორჯერ ატარებს.

ხურტკმელის აღურას წინააღმდეგ ბუჩქების ირგვლივ ნიადაგზე აფარებენ ტოლს ან სხვა ანალოგიური მასაღას (ზემოდან აყრიან მიწას), პეპლები ნიადაგიდან ვერ ამოდიან და იღუპებიან.

კალიების წინააღმდეგ რიგორც მექანიკურ საშუალებას იყენებდნენ ცხერისა და მსხვილყუნარქოსანი პირუტყვის ჯოგს, რომლებიც ჩლიქებით ჭყლეტენ და ანადგურებენ მავნებლებს, ეს

ლონისძიება რეკომენდებული იყო გერმანიაში, ანატოლიაში როგორც შედარებით იაფი და უსაფრთხო ღონისძიება. კალიების წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად სახელმწიფოებრივ ხასიათს ღებულობდა, მათ წინააღმდეგ იყენებდნენ ჯარს, მოსახლეობას ბეგარით ამუქმავებდნენ.

ბუგრიებისა და სოგიერთი სხვა მავნებლების წინააღმდეგ მცენარეულობის წყლის ძლიერი ნაკადით ჩამორეცხვას მიმართავდნენ. მაგრამ ეს ღონისძიება შეიძლება გამოიყენებული იქნას ერთეულად მდგომ მცენარეებზე (ძირითადად ქოთნებში მოთავსებულ მცენარეებსზე), ხშირ ნარგავებში კი პირიქით, მავნებლების გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება.

პრაქტიკაში მიღებულია სამეურნეო საჰნის ხსნარით ქოთნისა და ოთახის მცენარეების ფოთლების ქვედა და ზედა მხრიდან გაწმენდა, რაც მცენარეებს ათავისუფლებს მავნებლებისაგან, სიშავის გამოქვეყნის სოკოებისაგან, რომლებიც ხშირად მავნებლების დაზიანების შემდეგ სახლდებიან მცენარის ფოთლებზე.

ამერიკასა და გერმანიაში რამდენიმე წლის უკან დანას ან წვეტიან სადგისს იყენებდნენ ხეების შტამბის გასასუფთავებლად. ამ შემთხვევაში ძირითადად მერქნის მავნებლებს (ცილაჭამიები, ხეხილის დიდი ხარაბუხა, ვაშლის მინაფრთიანა მაქაურა და სხვ.) ებრძოდნენ (სადგისით სასვლელ ზერელებში ანადგურებდნენ მავნებლებს).

მექანიკურ პრინციპებზე დაყრდნობულ ღონისძიებას მიეკუთვნება აგრეთვე მავნე ფრინველებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის, ნიადაგში მობინადრე მავნებლების წინააღმდეგ კი ფეთქებადი (ნიადაგის აფეთქება) საშუალებების გამოყენება.



3.1.2. მცენარეთა გავრე (ორგანიზმების შეგროვება და ცხოვრების წესის შეცვლა

ბრძოლის ერთ-ერთ ღონისძიებას, რომელსაც მოსახლეობა ძველთაგანვე იყენებდა, მავნე ორგანიზმების შეგროვება და განადგურება წარმოადგენს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მას ბევრი წინააღმდეგობა ახლავს თან. ღონისძიება ეფექტურია მაშინ, თუ მავნე ორგანიზმები შეგროვებისთანავე განადგურდება. საშუალებები სხვადასხვა ხერხით ხორციელდება. კერძოდ, მცენარეებს აშორებენ გუდაფუჭებით დასენიანებულ თავთავებს, ნაცრით, ქიქით დაავადებულ ყლორტებს, ფოთლებს, ლობობით დაავადებულ ნაყოფებს, ნაყოფტაძიებით, მსხლის ყვავილჭამიათი დაზიანებულ კვირტებსა და ყვავილებს, მატლების ბუდეებს, მიმართავენ დაავადებული ნაყოფების შეგროვებას, სათესლე და სარგავი მასალების დახარისხებას (უხარისხოს განადგურებას), სარეველა მცენარეების შეგროვება-განადგურებას და სხვ.

ძველად და ამჟამადაც ბრძოლის საშუალებად ხშირადაა გამოყენებული მცენარეების დაზიანებული ნაწილების შეგროვება-განადგურება, მაგრამ დაცული უნდა იქნას ღონისძიების ჩატარების ვადები და წესები, კერძოდ, მავნებლების განადგურება რაც შეიძლება ადრე უნდა ჩატარდეს, სოკოვანი დაავადებების გამომწვევების განადგურება მიზანშეწონილია სპორების წარმოშობამდე განხორციელდეს. ამასთან მცენარეების დაავადებული ნაწილები ადგილზევე ნადგურდება ან ნიადაგში ღრმად ჩაიხვენება რათა დაავადების საწყისი ნაკელში ან მასთან ერთად ნაკელში არ მოხვდეს.

მავნე ორგანიზმების შეგროვება სხვადასხვა გზითა და საშუალებებით ხორციელდება: გერმანიაში ჩამოცვნილ წიწვებში არსებული ფიჭვის პარკხვევიას ჭუპრების შესაგროვებლად ფოცხს იყენებენ, არგენტინაში კალიობის მატლებს ცხენის ფოცხით აგროვებენ. შეგროვებული მატლების კვერცხებს, ჭუპრებს გასანადგურებლად ტომრებით ან ყუთებით დღის მაღალ ტემპერატურაზე ათავსებენ.

1860 წელს ბესარაბიაში 1800 დისეტინაზე 2500 ფუთი კალია, 1899 წელს მევენახეობის ერთ-ერთ რაიონში ერთი პიროვნების მიერ 98 საათის განმავლობაში ყურძნის ჭკის 277187, მეორე

შემთხვევაში (66 საათის განმავლობაში) 99785 ცალი პეპელა მოსპეს, ხელის ბადის გამოყენებით 23 წუთში დაახლოებით 10000 ჭარხლის ბუჩი დაიჭირეს, 1900 წელს ხერხინის გუბერნიაში 5278 მ³ პურის ხოჭო; ყოფილი სემირენსის ოლქში მარტო მდინარე ჩუს ნაპირებზე (1901წ.) შეგროვილი იყო 4519 ფუთი კაღის კვერცხები.

მკენარეთა მავნე ორგანიზმების შეგროვება და მოსპობა მათი განვითარების გარკვეულ ფაზებს უნდა დაუკავშირდეს. მაგალითად, მწერების შეგროვება და განადგურება კვერცხის (არაფარდი აბრეშუმსხვევია), მატლის (ოქროყუდა, კუნელის თეთრულა, ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა, მაისის ღრაჭა, მახრა), ჭუპრის (თეთრულები, ვაშლის ჩრჩილი), ზრდახრულ (პურის ხოჭოები, ღრაჭები და სხვ.) ფაზებში.

იმაგოს ფაზაში ზოგჯერ მავნე მწერებს ბერტყაყენ ხეებიდან, ამ ღონისძიებას უპირატესად მიმართავენ ისეთი მწერების წინააღმდეგ, რომლებსაც ტანატოზის ანუ კატალუფსიის („თავის მოკატუნების“) უნარი აქვთ; ასეთებს მიეკუთვნებიან ცხვირგრძელები, ფოთოლჭამიები, ღრაჭები და სხვ. ღონისძიება ძირითადად ტარდება მათი პასიურ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში. დილით ან საღამოთი, ჩამობერტყვას ახორციელებენ ხეების შერხევით, გრძელი მსხვილი ჯოხის ან უროს დარტყმით (ხის კანის დაზიანების თავიდან აცილების მისნით ჯოხსა და უროს მკიდროდ ასვევენ წყარს), ხის ძირებში წინასწარ აფარებენ ზეწარს ან ბრესენტს ან პოლიეთილენის ფირს. ჩამობერტყვილ მწერებს ყრიან ვეჯროეში, რომლებშიც ჩასხმულია ცივი ან ცხელი წყალი, მასუთი ან ნავთი. ხეების ჩამობერტყვა არ შეიძლება როდესაც კოკრების, ყვავილების, ნაყოფების ძირს ჩამოცვენიის საშიშროებაა.

ბრძოლის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ხორციელდება მაღელვად მცხოვრები და ძნელად დასაჭერი მავნებლების წინააღმდეგ, ამ მისნით იყენებენ მამას, ხაფანგს და სხვა დამტერ საშუალებებს.

უბრალო და გამოსაყენებლად ადვილია თავლია ჭურჭელში მადულარი ტკბილი სითხეების (თაფლიანი წყალი, ნაყოფების ნარჩენები, ლუდი და სხვ.) მოთავსება. ასეთი სითხიანი ჭურჭლები ადვილად იხიდავს მფრინავ მწერებს (კრაზანა, ბუსები, პეპლები)

კვიკვლებიან მასში და ილუპებიან (ვამორიცხული არ არის სასარგებლო მწერების დალუპვაც).

მავნებლების წინააღმდეგ იყენებენ ე.წ. დამტერ მცენარეებს, რომლებსაც რგავენ ან თესავენ რიგთშორისებში. მასზე სახლდებიან მავნებლები, შემდეგ კი ანადგურებენ მავნებლებს ან მცენარეებსაც მათთან ერთად. ასე მაგალითად, ლოკოინებს იზიდავს სტაფილო, ჭარხალი, სალათა, მათუღა ჭიებს კარტოფილი, სტაფილო და ჭარხალი. კარტოფილის ნაჭრებს დათესვის წინ ათავსებენ ნიადაგში 5-10 სმ სიღრმეზე, 2-2 მეტრის დაშორებით, რამდენიმე დღის შემდეგ ნიადაგიდან იღებენ ნაჭრებს ხარშავენ და საქონლის საკვებად იყენებენ. კიუნის ძველ რეკომენდაციებში ნემატოდების წინააღმდეგ ნათიებსში ჭარხალს თესდნენ, ნემატოდებით დასახლებულ დამტერ მცენარეებს (ჭარხალი) ნიადაგიდან იღებდნენ და მათთან ერთად ანადგურებდნენ. სწორად მავნებლები კვერცხლებისათვის შესაფერის ადგილსა და მცენარეებს ეძებენ. ამ შემთხვევაში მცირე ფართობებზე თესავენ ისეთ მცენარეებს, რომლებიც მავნებლებისათვის ხელსაყრელია კვერცხების დასადებად, კვერცხების შემდეგ კი ასეთ მცენარეებს (კვერცხებთან ერთად) ანადგურებდნენ. შვედური ბუჩისა და ხორბლოვანების სხვა ბუჩების წინააღმდეგ რამდენიმე ზოლად თესავენ ჭკავს, ბუჩების მატლების გაქოჩინის შემდეგ კი ნათესს გადასწავს და ბუჩის მატლებიც ნადგურდება.

ვაშლის ნაყოფტამიას და ყვავილტვამიების წინააღმდეგ იყენებენ ნამჯის ლასტს, თივას, ქსოვილის ძველ ნაჭრებს, ძონძებს, ტომრის ნაჭრებს, რომლის ზედა მხარეს მცენარის შტამბზე მჭიდროდ ამაგრებენ, ქვიდა მხარე კი ღიაა, რათა მავნებელს გაუადვილდეს საჭერ სარტყელში შესვლა, შემდეგ ხსნიან სარტყელს, წკავენ ან ახურებენ ღუმელში და მავნებლებიც იხოცება.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ სწორად ცხოვრების ნირის შეცვლასაც იყენებენ. ასეთ ღონისძიებას მიეკუთვნება შუალედი პატრონ-მცენარეების, მუვებავი და თავშესაფრად გამოყენებული ან კიდევ ისეთი მცენარეების განადგურება, რომელზედაც მავნებლების თაობების ცვლა მიმდინარეობს.

ცხოვრების ნირის შეცვლას მიეკუთვნება პაერით მომარაგების დარღვევა, კერძოდ, უპაერო სივრცეში მარცვლეულის მოთავსება ხელს უწყობს მავნებლების მავნეობის შემცირებას, ამ

ლონისძიებას ამჟამადაც მიმართავენ (პერმექტულად დახურულ მინის ჭურჭელში ათავსებენ სიმინდის, ლობიოს ან სხვა მარცვლეულს), მავნებელზე მოქმედების მექანიზმი უნაგბადის შემცირებასა და ნახშირორჟანგის კონცენტრაციის გაზრდაში მდგომარეობს, მაგრამ ეს მეთოდი არ არის რადიკალური, გამოიყენება როგორც დამხმარე ღონისძიება.

ნიადაგის დატბორვაც ბრძოლის ღონისძიებას მიეკუთვნება, რომელიც ნიადაგში მოზინადრე მავნებლების სტიგმის დაცობას (იქმნება უნაგბადის დეფიციტი) მავნებლის მოხრჩობა - გაგუდვას იწვევს. საფრანგეთში (1886წ.) ფილოქსერას წინააღმდეგ ექვსი წლის მანძილზე (ყოველწლიურად) იყენებდნენ ნაკვეთების დატბორვას, მაგრამ ეს ღონისძიება ტარდებოდა რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით (მკაცრი კლიმატის - ყინვების ზონაში მოხალდნელია მცენარეების დაზიანება).

ნიადაგის გადახვნა-გაფხვიერებაც მავნე ორგანიზმების ცხოვრების ნირის დარღვევას იწვევს, ნიადაგის შედარებით ღრმა ფენებში მოზინადრე მავნე ორგანიზმები, ნიადაგის ზედაპირზე ხვდებიან და სხვადასხვა ფაქტორის ("შინაური და გარეული ფრინველები, გარემო პირობები) გავლენით იღუპებიან.



3.1.3. ტემპერატურული რეჟიმის ცვლილება

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ღონისძიებებთან ერთად გარკვეულ როლს ტემპერატურული რეჟიმის ცვლილებაც ასრულებს, რომელიც მკვეთრად არღვევს მათი ცხოვრების ნირს და მნიშვნელოვნად ამცირებს მავნეობას. ტემპერატურული რეჟიმის ცვლილებიდან უპირატესად მაღალი ტემპერატურის სხვადასხვა სახეებია გამოყენებული (აღი, მშრალი და სველი სიცხე, ცხელი წყალი და სხვ.). მაღალი ტემპერატურის გამოყენების სფერო დამოკიდებულია მავნე ორგანიზმების „საცხოვრებელი“ „ადგილსამყოფელის“, „ბინადრობის“ ადგილზე

(მცენარე, ნიადაგი, სათესლე მასალა, ჩითილი, ნერგი, ბოლქვი, ტუბერი და სხვ.), ამის შესაბამისად, გამოყენების მეთოდი და პირობებიც განსხვავებულია.

მინდვრებში, სადაც დიდი რაოდენობით იყო კალიები ან სხვა მავნე ორგანიზმები, მოსავლის აღების შემდეგ ყრიდნენ ნამჯას, აგროვებდნენ დარჩენილ მცენარეულ ნარჩენებს (რომლებშიც მავნებლების მოსამთრე ფაზები, ავადმყოფობის საწყისი და სარევლების თესლები მრავლადაა) ან შექმას უკიდებდნენ ცეცხლს, ნიადაგის ზედაპირი ხურდებოდა და მავნე ორგანიზმებიც ილუპებოდა. ამ ღონისძიების გამოყენებას ამჟამადაც მიმართავენ, მაგრამ ნაწვერალის მოწვა და ნიადაგის გახურება უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის სტრუქტურაზე, აუარესებს მის ნაყოფიერებას, ხანძრის გავრცელების მხრივაც საშიშია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

მშირად მცენარეების ფოთლები არ განიცდიან ცხელი წყლის (77-80 გრადუსი) უარყოფით შემოქმედებას, მავნებლები და ნაცროვანი ავადმყოფობების საწყისი კი მგრძობიარენი არიან მაღალი ტემპერატურის მიმართ. კარგი შედეგი აქვთ მიღებული ვარდის, ვაზის ნაცრის, სოჭოების, ყურძნის ჭიის, ბუკრების, ფარიანების წინააღმდეგ (წყლის ტემპერატურა 55-დან 65 გრადუსამდე მკურნეობს).

ნიადაგში მობინადრე მავნე ორგანიზმებთან საბრძოლველად სხვადასხვა საშუალებით ახურებდნენ მას: სათბურების ნიადაგში საფარის ქვეშ უშვებდნენ ცხელ ორთქლს, ზოგჯერ ატარებდნენ სათესლე მასალის დეზინფექციას. დეზინფექციისათვის იყენებდნენ მზის სხივებს, ხელიონურად შექმნილ მაღალ ტემპერატურას (მშირალი მარცვალი კარგად უძლებს მაღალ ტემპერატურას). ცხელ წყალს მშირად იყენებდნენ გულაფშეტების წინააღმდეგ, მაღალი ტემპერატურით თესლის ზედაპირზე მყოფი სპორები ადვილად ილუპებიან.

მაღალი ტემპერატურა ტუბერების ბოლქვების, სანერგე მასალის სადეზინფექციოდაც გამოიყენება. კარტოფილის ტუბერებს ფიტოფტოროზის წინააღმდეგ 40 გრადუსიანი წყლით (1-2 საათი ექსპოზიცია) ამუშავებენ, ფესვის ფილოქსერის წინააღმდეგ ნერგის დასამუშავებლად 5-წუთიანი ექსპოზიციით 55-60 გრადუსიან წყალს იყენებენ.

პომიდორის ფიტოფტოროზის პირველი ნიშნების გამოჩენისას ჯერ კიდევ მწვანე ნაყოფებს კრეფენ 1-2 წუთის განმავლობაში ათავსებენ ცხელ (60°) წყალში, აშრობენ და აწყობენ დასამწიფებლად.

მემარცვლიების წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილია გახურებულ ტაფაზე მარცვლის მოთავსება (გახურება), ან რამდენიმე წუთით მდლდარე წყალში ჩაყურსვა. ეს ღონისძიება გააუვნებლებს მარცვალს და საკვებად გამოყენებაც შესაძლებელია.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დაბალ ტემპერატურას (გაყინვას) იშვიათად იყენებენ, რადგან მცენარეები და ცხოველური ორგანიზმები შედარებით მეტ გამძლეობას იჩენენ, თუმც გალიანი ნემატოდების და ნიადაგში მობინადრე სხვა მავნებლების წინააღმდეგ ნიადაგის გაყინვასაც იყენებენ; 7 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე დამუშავებული კარტოფილის ტუბერებზე ფიტოფტოროზის განვითარება იხლუდება. ბარდას მემარცვლიას ხოჭოები 9,5 გრადუსზე, ლობიოს მემარცვლიას ხოჭოები კი 10 გრადუსზე (12 სთ ექსპოზიცია) იღუპებიან.

მაღალი და დაბალი ტემპერატურის გამოყენება ამკამადაც შეიძლება მცირე მოცულობის პროდუქციის, ფართობების დასამუშავებლად, იმ უარყოფითი მხარეების კათვალისწინებით, რომელიც ამ ღონისძიებას თან ახლავს.



3.1.4. მავნე მწერების მიმოიღველი და დამაფრთხილებელი ღონისძიებები

მცენარეთა მავნებლების მიზიდვის მიზნით ერთ-ერთ ხელსაყრელ საშუალებას ე.წ. მიზიდველი - დამტერი მცენარეები წარმოადგენენ, მათუღდა ჭიების მისაზიდად ნიადაგში კარტოფილის ნაჭრებს ათავსებენ ან კიდევ მცენარეების რიგთშორისებში თესვენ ან რგავენ ისეთ მცენარეებს, რომლებიც მავნებლებს იზიდა-

კენ. მავნებლებით დასახლების შემდეგ ასეთ მცენარეებს მავნებლუბთან ერთად ანადგურებენ. მაკ ღუგალის მონაცემებით თხმელას და ტირიფს აზიანებს ცხვირგრძელა (*Cryptohynchus lapathi* L.), რომელიც კვებისათვის უპირატესობას თხმელას ანიჭებს, ამიტომ მაკ ღუგალი ტირიფის ნარკობაში თხმელის დარგვას მასზე მავნებლების დასახლების შემდეგ კი ტოტების, ყლორტების მოჭრას და დაწვას ურჩევს.

აგრონომი პ. ღვალაძე მაისის ხოჭოს მიმზიდველ საშუალებად კარტოფილსა და კომშის ჩხირებს მიიჩნევს და ასეთ რჩევას იძლევა - "მატლი სანამ ჯერ კიდევ ცოტაა ნიადაგში, სასარგებლოა ვაზის რიგშია კარტოფილი დათესოთ, რამდენიმე ხნის შემდეგ კარტოფილი უნდა ამოთხაროთ და ბოლქვებზე შემსხეული მატლი დახოცოთ".

ხოჭოს მატლს კომშის სუნი უყვარს. საძირის ახლოს კომშის ჩხირები უნდა მოესოთ 4-5 ვერსიის მოშორებით, მატლები ჩხირს მიესევიან და ხარბად დაუწყებენ ჭამას, დროგამოშვებით ჩხირებს ამოიღებთ და თუ ჩხირზე ამოჭმულ ადგილებს შენიშნავთ, ამოღებულ ჩხირების ახლო-მახლო ნიადაგი უნდა გადაჩიქნოთ და სადაც მატლს იპოვით, მოკლათ.

რწყილების მავნეობისაგან თაღვამის დასაცავად მასთან ერთად მდოგვის დათესვას ურჩევენ, რომელიც თაღვამს ასწრებს აღმოცენებას. მავნებლები უპირატესად მასზე სახლდებიან. ცხვირგრძელასაგან (*Pissodes strobi* Peck) თეთრი ფიჭვის დასაცავად მასთან ერთად შოტლანდიური ფიჭვის დარგვას ურჩევენ. ეს უკანასკნელი იზიდავს ცხვირგრძელებს და თეთრი ფიჭვიც ნაკლებად ზიანდება. ლოკიუნების მისატყუებლად სტაფილოს, ჭარხალს, საღათას იყენებენ, კომბოსტოს თეთრულას მისაზიდად კი სამკურნალო ბარისპირას, თავშავას, ლავანდს და სხვა მცენარეებს ურჩევენ.

ანალოგიურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამაფრთხილებელი მცენარეებიც, რომლებიც სპეციფიკურ ნივთიერებებს (გლიკოზიდები, ალკალოიდები) გამოყოფს, შედეგად აფრთხობს მავნებლებს და მცენარეებს იცავს დაზიანებისაგან, ასე მაგალითად, წიწვნიანი მცენარეები დაზიანებული ადგილებიდან გამოყოფენ ფისს, რომელიც ანტისეპტიკის როლს ასრულებს; ზოგიერთ შემთხვევაში არომატული მცენარეების დაწვა იწვევს მწერების დაფრთხო-

ბას.

ძველთაგანვე იყო ცნობილი, რომ რიგთაშორისებში დათესილი და დარგული მცენარეების გარკვეული სახეობები აფრთხობენ მავნებლებს, კერძოდ, კომბოსტოს 'ხოგიერთი მავნებლების' პეპლები ვერ იტანენ კანაფის სუნს. რიგთაშორისებში ავმანის ტოტების მითავსება აფრთხობს კომბოსტოს თეთრულას პეპლებს. აბზინდას, პიტნის, ასფურცელას სუნი არ სიამოვნებს ჭიანჭველებს, ნიორის, ოხრახუმის, დიდი კამას, მუხის ქერქის, ლოცოყინებს. კამას, ნიორის, პომიდორის კი კომბოსტოს ბუერს. კარტოფილის რიგთაშორისებში დათესილი პარკოსნები აფრთხობენ მავთულა ჭიებს, ტკაცუნებს, ასფურცელა კი კოლორადოს ხოჭოს.

ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ესეც გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ ე.წ. დამტერი (მიმზიდველი) და დამაფრთხობელი საშუალებების მცენარეთა დაცვაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

ხალხში გავრცელებული ასეთი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემდეგში დასაბამი მიეცა ბიოტექნიკური საშუალებების გამოიმუშავებას, რომელმაც მცენარეთა დაცვის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და წარმატებით გამოიყენება.



3.1.5. მავნებლების გადაადგილების შემოღებული ღონისძიებები

მავნებლებთან ბრძოლის ერთ-ერთ ღონისძიებას მიეკუთვნება ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ხელს უშლიან კულტივირებულ მცენარეებთან მავნებლების კავშირს. ამ უბრალო და პრიმიტიულ ღონისძიებებს მოსახლეობა ძველთაგანვე იყენებდა. კერძოდ, საქონლისა და გარეული ნადირისაგან მცენარეულობის დასაცავად იყენებდნენ (ამჟამადაც გამოყენებულია) ფართობების შემოღობვას (მცენარეული მასალით), სპეციალურ კედლებს (ქვით), ხელოვნურ ნარგაობას (გლედიჩია, სამყურა ლიმო-

ნი (ტრიფოლიატა) და სხვა საშუალებებს.

ფართობებზე მღრღნელების გავრცელების შეზღუდვის მიზნით იყენებენ სპეციალურ კედლებს, ბადეებს, ეკლიანი მავთულის წსულს, დამსხვრეული შინის ზოლებს და სხვ. გარეული ნადირისა და თავისებრი მღრღნელებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების (პროდუქციის) დასაცავად გამოიყენება სპეციალური ხაფანგები.

მთხეიარე მატლების, კალიების, მატლების, ხოჭოების, ნემატოდების გადამოსრავების შესაზღუდავად იყენებენ ღრმა არხებს, ლოკოინების მოძრაობის შესაზღუდავად კი ნაცრის გროვას, წიწვებს, კარტოფილის და ჭარხლის ნაფცქვენს ან რგავენ ღვიას. რაც შეეხება მღრღნელებისა და სხვა მავნებლებისაგან კარტოფილის, ბოსტნეულის საცავების დაცვას, შენობებში და სახურავზე ათავსებენ ღვიის ან ანწლის კონებს.

მღრღნელებისაგან ხემცენარეების დასაცავად შტამბზე ახვევენ ანწლს და ლელქაშს. თავისებრი მღრღნელების წინააღმდეგ სოროებში ათავსებენ მოღნობილ ანწლის მიწისზედა ნაწილებს, ან პიტნის კონებს. მეხილეობასა და სატყეო მეურნეობებში მავნებლების გადაადგილების საწინააღმდეგოდ წებოვან ბარიერებს იყენებენ.

მექანიკური გადაღობვის მიზნით გამოიყენება შია ზონარზე ჩამოყიდებული ფერადი ქაღალდის, ლითონის ნაჭრები, სარკეები, ბრჭყვიალა საგნები, ლითონის კოლოფები, რომლებიც ქარის საშუალებით მოდიან მოძრაობაში, შექმნილი ხმაური აფრთხობს ფრინველებს, მავნებლებს, გარდა ზემოთ აღნიშნული საშუალებებისა, ფრინველების დასაფრთხობად გამოიყენებულა საფრთხობელები, მტაცებელი ფრინველების ფიტულები, ვენახში და სხვა კულტურებში სიმწიფის პერიოდში ამჟამადაც ხშირად შევხვდებით ზემოთ დასახელებულ საშუალებებს; აღნიშნულის გამოძახილი არის კინოფილმ „უდიპლომო სასიძოში“ ფილმის მთავარი გმირის - მეველე ბიჭიკოს მიერ ვენახში თხებისა და სხვა ცხოველების დასაფრთხობად მოწყობილი საფრთხობელა, რომლის გამოყენების პრინციპი ზემოთ აღნიშნული საშუალებების მსგავსია.

სასოფლო-სამეურნეო ნარგავების, ნათესების მცველები ფრინველების მავნეობის თავიდან ასაცილებლად მათ თოფის გასროლით აფრთხობენ.

აფრიკაში კალიების გუნდს ხმაურით, ყვირილით, ლითონის ჭურჭელზე დარტყმით 'მექმნილი ხმაურით, ბუკის მკვეთრი ხმით აფრთხოვნა და კალიები სხვა მიმართულებით აგრძელებენ ფრენას.

ანალოგიური ღონისძიება, - კალიების დაფრთხობის მიზნით, ჩვენშიაც იყო გამოყენებული, რასეც მიუთითებს ხალხური ლექსი „კალია“, რომელშიც აღნიშნულია:

„ერთი დიდი სინი მქონდა, ხმა მქონდა როგორც ზარია, გაველ და დაუწუწაბუნე, ეგების დაფრთხეს კალია“.

სიმინდის კულტურის ერთ-ერთი საშიში მავნებელი არის მანვი (ხალთა), რომელიც რძისებრი სიმწიფის პერიოდში აზიანებს სიმინდს (უთხრის ძირს და წაქცეული სიმინდის ტაროს აზიანებს) მანვს დღე სძინავს, ღამით კი იწეებს სიმინდის დაზიანებას. მანვის დასაფრთხობად ხშირად ღამით საცვეთებში ანთებდნენ ცეცხლს (იყენებდნენ რეისინსა და სხვა მასალის ნარჩენებს).

მავნებლების გადაადგილების შესაძლებლობის მიზნით რწყილები-სა და ხერხიების მაგლების წინააღმდეგ კირს, თომასის ფქვილს, ჭკარტლს, ნაცარს, ტორფს, ქუნის მტვერს იყენებენ. ეს ნივთიერებები ტოქსიკურობას არ ამჟღავნებენ, მოქმედებენ როგორც დამაფრთხობელი და გადამოძრავების შემაფერხებელი საშუალებები. გარდა ამისა, გროვდებიან მავნებლის შუა ნაწლავის ნაოჭებში, ხელს უშლიან საკმლის მონელების ტრაქტის მიმდინარეობას.



3.2. საშუალებები

3.2.1. ბურახი და სსპა ნარეშები

ბურახი გამოგრილებული სასმელია. ამხადებენ ქერის ან ჭვავის ალაოს, ჭვავის ფქვილისა და შაქრისაგან. ცნობილია აგრეთვე ხილის ბურახი.

ვაშლის ნაყოფჭამიას წინააღმდეგ ბურახის გამოყენების იდეას სრულიად შემთხვევით მიაგნეს, კერძოდ, ღამით ჭიქაში დარჩენილ ბურახში ვაშლის ნაყოფჭამიას დაღუპული პეპლები შეამსნიეს. ამის შემდეგ დაამკმავეს ოჯახურ პირობებში ბურახის დამზადებისა და გამოყენების ტექნოლოგია.

ვაშლის ნაყოფჭამიას მიზიდვისა და დაღუპვის მიზნით საოჯახო ბურახის დასამზადებლად სამლიტრიან ქილაში ათავსებენ ორ კოვზ დამამკავეებელ საშუალებას, უმატებენ წყალს, 200 გრამ ჭვავის პურს, 2-3 ნატეს შაქარს, ქილას მჭიდროდ აფარებენ დოლბანდს. ქილას ათავსებენ მზიან ან თბილ ადგილას, ნაყენი დაიწყებს დუღილს, ბურახიც მზადაა, კარგად გამოწურავენ. ბურახიან ქილას ათავსებენ ნაყოფჭამიების გავრცელების ადგილებში ან კიდევ ჰკიდებენ ხეებზე, ღამით ან საღამოთი მიიხიდავს პეპლებს, სითხეში ცვივდებიან და იღუპებიან.

ვაშლის ნაყოფჭამიების პეპლების მიზიდვისათვის ნარევის დამზადების სხვაგვარი რეცეპტიც არის ცნობილი.

მისატყუებული ნახავის დასამზადებლად იღებენ 600—700 გ ძირნაყარ ან 100გ გამოშროალ ვაშლის ნაყოფს, უმატებენ 2 ლიტრ წყალს, ადუღებენ 30 წუთს, შემდეგ უმატებენ 0,5 ლ რძის შრატსა და ხორბლის ბურახს, 20-25 გრ საფუარს, 200 გრ შაქარს, დუღილის დაწყებისას ათავსებენ ნახევარლიტრიან ქილაში (3-4სმ სიმაღლეზე); ქილებს ათავსებენ ხეების ძირებში, ასეთი ნარევი იზიდავს პეპლებს და ქილაში მოხვედრის შემდეგ იღუპებიან.

მავნებლის მიზიდვისათვის ასეთი რეცეპტიც არსებობს: ქილაში ათავსებენ რძიან ტკბილ ჩაის, უმატებენ ლუდს, ათავსებენ რიგთშორისებში მასში მასობრივად ცვივა მავნებლები და იღუპებიან (ან ანადგურებენ).

3.2.2. კვარი

ხალხური სინონიმები: ქიზიყში - ბიკონი; ხევი, ზემო აჭარაში, იმერსევი ჩირალი; მთიულეთში, გუდამაყარში ჩირახი (ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა შ. აფციაურმა).


კვარი წიწვოვანი მცენარეების ის ნაწილია, სადაც დიდი რაოდენობითაა დაგროვილი ფისი. კვარს ამსადებენ როგორც მიწაში დარჩენილი მცენარის ნაწილებიდან ასევე ვეგეტაციაში მყოფი მცენარეებიდან. ვეგეტაციაში მყოფ მცენარეებს აკლიან კანს ასეე ახერხებენ გარკვეული დროის განმავლობაში. კანისაგან თავისუფალ მონაკვეთსე გამოდის ფისი, იუღინთება კანგაცლილი მერქანი. შექმდე კანისაგან თავისუფალ (გაუდენთილ) ადგილს ამოჭრიან და კვარიც მზად არის. საყურადღებოა, რომ მიწაში დარჩენილი ხის ნაწილი ადვილად არ ლპება და მავნებლებისაგან არ ხიანდება. კვარი ძირითადად გამოყენებულია, ცეცხლის მოსანთებად და დამით მგზავრობისას გზის გასანათებლად.

კვარი მუქი ან ღია მოყვითალო-მოყავისფრო ან თაფლისფერი, მძაფრი სასიამოვნო არომატული სუნით. კვარს ძველთაგანვე იყენებდნენ და ამჟამადაც გამოყენებულია როგორც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ტანსაცმლის მწერებისაგან დამცავი ხალხური საშუალება. კვარს წვრილი ნატყების სახით ათავსებენ ფქვილის, სიმინდის, ღობიოს შესანახ ჭურჭელში და ტანსაცმლის კარადაში ან სხვა სათავსოში, რომელიც აყროსობს მანე მწერებს და პროდუქტიც აღარ ხიანდება. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კვარი ღეჭვის შემთხვევაში პირის ღრუს იცავს სხვადასხვა დაავადებების გამოწვევებისაგან, საძინებელ ან სამუქაო ოთახში მოთავსებული კვარი კი აუმჯობესებს სუნთქვის პროცესს.




3.2.3. კირი

კირი კირქვის (CaCO_3) გამოწვის შედეგად მიიღება, მაღალი ტემპერატურის მოქმედებით ნახშირორჟანგი აქროლდება, რჩება კალციუმის უანგი - კირი:



წყლის დამატების შემდეგ მიიღება ჩამქრალი კირი ანუ მწვავე კირი:



კირის ჩაქრობის რეაქცია ტემპერატურის გამოყოფით მიმდინარეობს, გამომწვარი კირქვა ცხელდება და იმდება თეთრი ფერის ფხვნილის სახით. კარგი კირი 85%-მდე შეიცავს კალციუმისა და მაგნიუმის უანგს (ჯამში).

კირს სახალხო მეურნეობაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში მის გამოყენებას, ის დაახლოებით 2000 წლის ისტორიას ითვლის. მისი გამოყენება უპირატესად ნიადაგში შეტანის გზით ხდებოდა და აუმჯობესებდა ნიადაგის თვისებებს. ბრიტანეთის მიწათმოქმედებაში ჯერ კიდევ რომაელების ბატონობის პერიოდში კირი შექპონდათ ნიადაგში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი ნიადაგის მოსაყირიანებლად იყენებდნენ ცარცს და ტალკს.

კირი (CaCO_3) კალციუმის კარბონატი პრაქტიკულად სუფთა წყალში არ იხსნება. ნიადაგში შეტანის შემდეგ CaCO_3 ნახშირმკავას გავლენით თანდათანობით გარდაიქმნება კალციუმის ან მაგნიუმის ბიკარბონატად. ნიადაგში შეტანილი კირი ცვლის ნიადაგის არეს რეაქციას, შესაბამისად, ნიადაგში მოზინადრე ორგანიზმების ცხოვრების ნირს, ხშირ შემთხვევაში გამოიყენება როგორც მავნებლებთან ბრძოლის საშუალება. კირი არღვევს მავნებლის საფარველს, მაგრამ სუსტად, ვიდრე მწვავე ტუტე.

კირს, როგორც დაავადებებთან ბრძოლის საშუალებას, 1750 წლიდან იყენებდნენ პურის პარცელის შესაწამლად სველი გუდაფშუტის წინააღმდეგ. 1794 წლიდან კი ხეივანე კირწყლის შესხურებას არსევდნენ. უფრო მოგვიანებით (პირველად 1890 წელს) სხვადასხვა კომბინირებული ნაწავებში (ინსექტიციდი+ფუნგაციდი) კირი შედიოდა როგორც ერთ-ერთი კომპონენტი. კირს იყენებდნენ შენობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანა-

ხი საწყობების დესინფექციისათვის.

ჩვეურობის ხელმძღვანელში ლიტერატურისა და მოსახლეობისაგან მოწოდებული მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა ვიმსჯელოთ, კირის როგორც ავადმყოფობების და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაზე.

გ. ნახუცრიშვილი ბურტყელა ბუგრის წინააღმდეგ კირის გამოყენების შესახებ ასეთ რჩევას იძლევა - „თეთრი ბურტყელიანი ტილის წინააღმდეგ ხეებს ძირები უნდა გამოეწინოთ და ზედ თხლად კირი წააყაროთ, გაზაფხულზე კირი უნდა მოაშოროთ და მის მაგივრად კარგი მიწა მოაყაროთ“.

კარტოფილის სიდამპლის წინააღმდეგ კირის გამოყენების შესახებ უკრნალი „მოსაჯადი“ ასეთ რჩევას იძლევა: „ზოგჯერ კარტოფილს მიწაში სიდამპლე უჩნდება, ეს რომ არ მოხდეს, სადაც კარტოფილის დარგვას აპირებთ, ზემოდან კირი მოაყინეთ ისე როგორც პურის ხორბლის თესვას მოეყენოთ ხოლმე, როცა ვთქვამთ და ადგილი დაუფარცხოთ. ასეთ მომსაღებულ ნიადაგში კარტოფილი არც სიდამპლით დაავადდება და ზამთარშიც კარგად იზარება“.

ამავე უკრნალში ასეთი ინფორმაციაა მოცემული „2-3 საათის წინ ხმარებამდე წყალდაუსხმელი თეთრი კირი უნდა გაანელოთ და ათქვიფოთ წყალში ისე, რომ გარძვედეს. მერე ხსნილი გადაწურეთ და ხეხილის ყველა ტოტებს კარგად შეასხურეთ შემოდგომაზე და გაზაფხულზედაც კირი ყოველგვარ ჭია-ლუას, ხავსს, აბლაბუდას გადააშორებ; ააცდენს ხეხილს ავრეთვე სხვა ათასნაირ ავადმყოფობას, რადგან კირი უხილავ სოკოებს და ჭია-მატლს სოცავს და აყრევინებს“.

ა.ხილვესტროვის მონაცემებით კირის შეფუძვევა ეფექტურია მარწყვის კულტურაში ნაცრისფერი სიდამპლის (*Botritis cinerea*) წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში პექტარზე 800-900 კგ კირია საჭირო, 15-20 გრამი ერთ ბუჩქზე. ეს ღონისძიება 3-4%-მდე ამცირებს ნაყოფის ნაცრისფერ სიდამპლეს (დაუმუშავებულ ნაკვეთზე ეს მაჩვენებელი 30-40%-ს შეადგენს).

ა.ებერგი მიუთითებს, რომ ჩაუქრალი კირის შეყრვევა ღოკოვინებს ადვილად ანადგურებს. იგი თვლის, რომ ღოკოვინებისაგან ყვაფილოვანი მცენარეების დასაცავად ეფექტურია მათ ირგვლივ კირისა და ჭვარტლის ნარევის ორმაგი რგოლების განთავ-

სება (რკოლაებს ლოკოცინები ვერ გადალახავენ).

კირს ხმარობენ ხეების ფულუროების ამოსავსებად და ჭრი-
ლობების დეჰინფექციისათვის. გამოყენებულია აგრეთვე ჯვარყ-
ვაუილოვანების შესაფრქველად (ჩამქრალი კირი) რწყილებისა და
ლოფორქინების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთან ბრძოლისას შეფრქ-
ვევა უნდა ჩატარდეს საღამოთი ნორმით 160-250 კგ/ჰა. კირი
ინხარება ჭარხლის ნემატოდას წინააღმდეგ სახნავ ფენაში შეტა-
ნით.

კირი ინხარება აგრეთვე შენობების სველი დეჰინფექციისათ-
ვის (ბელლის მავნებლების წინააღმდეგ), სილ-ბოსტნეულის, კარ-
ტოფილის ტუბერების დეჰინფექციისათვის (ნორმა 75 კგ/კ), მაქ-
რის ჭარხლის შენახვის დროს ფესვებზე დასაყრელად, კომბოს-
ტოს კილის წინააღმდეგ (200-400 გ/მ³), ხახვის გუდაფშუტას
წინააღმდეგ დათესვის წინ (გამაფრთხილებელი ღონისძიება) კვლებ-
ში ყრიან ჩამქრალ კირს (60 კგ/ჰა). კირს ურჩევენ როგორც
დეჰინფექტორს (2%) პურისა და ქერის მაგარი გუდაფშუტას
წინააღმდეგ ჩასველებით (ექსპოზიცია ერთი საათი) თესლის შემდ-
გომი გამშრობით და თესვით.

კარტოფილის ღეროს ნემატოდა ერთ-ერთ საშიშ მავნებლად
ითვლება, რომლის წინააღმდეგ სხვადასხვა ღონისძიებებს იყენე-
ბენ. ნ. სინდიაშკინი ურჩევს ესაყრთხო საშუალებას - შენახვის
პირობებში ჩამქრალი კირით კარტოფილის დამუშავებას (4 კგ
კირი 1 ტონა კარტოფილზე) შეფრქვევას (დამუშავებული კარტო-
ფილის დასიანება 0,2-0,5%-ს დაუმამავებელის კი 20%-ს უდ-
რის). ეს ღონისძიება კარტოფილს სიღამპლისაგან იცავს (არ
უარესდება კარტოფილის კვებითი ღირებება, არ ფერსდება გაღი-
ვების პროცესი).

ნიადაგის სახნავ ფენაში მწვავე კირის ჩახვნა იწვევს ჭარხლის
ნემატოდას განადგურებას. კირს ბუჯრების წინააღმდეგაც იყენე-
ბენ. კერძოდ, აფრქვევენ მცენარეების ირგვლივ ნიადაგზე (მოკი-
რიანება) ნორმით 200 გ/მ²-ზე.

ს. და მ. რუხაძეები ლოკოცინებთან საბრძოლველად 10 ლიტრ
წყალზე იღებენ 2 კგ ჩამქრალ კირს (აყოვნებენ). გამოყენების
წინ კვლავ უმატებენ 10 ლიტრ წყალს და თბილ წყალში წინას-
წარ გახსნილ 100 გ სამეურნეო საპონს.

ი. პანტიელევი ნიორისა და ხახვის რიგთმორისებში ხახვის

ბუხის წინააღმდეგ კირისა და თამბაქოს ფესვილის (1:1 შეფარდებით) შეფერქვევას თვლის ეფექტურ საშუალებად. ხახვის ბუხის წინააღმდეგ კვერცხდებისას ნიადაგზე აფრქვევენ კირს, ნაქარს, თამბაქოს ფესვილს (ან კომბინაციაში თანაბარი შეფარდებით) 1-2 კგ/10 მ²-ზე. ღონისძიება ტარდება პირველი და მეორე თაობის წინააღმდეგ 7-8 დღის ინტერვალით (ორჯერადი დამუშავება).

კირის ფესვილს იყენებენ ალუბლის ხერხიების წინააღმდეგ. კირის რძეს კი ადრე გასაფხულზე ასსურებენ მცენარეების ტოტებასა და კვირტებზე, რომელიც მცენარეებს ცხვირგრძელუბისაგან იცავს. კირისაგან დამზადებულ საგოზავს იყენებენ მცენარეების შესაღესად (მოზამთრე ფაზების წინააღმდეგ), ამ დროს მავნებლები თავშესაფრიდან გარეთ ვერ გამოდიან. მწვავე კირი კვერცხებთან და მავნებლებთან შეხებისას იწვევს მწერის სხეულის დაწვას და იგი იღუპება. საგოზავს შემდეგნაირად ამზადებენ: იღებენ 100 კგ ჩამქრალ კირს, 50 კგ თიხას, 300 ლ წყალს, ამ კომპონენტებს კარგად ურევენ ერთმანეთში და დამზადებისთანავე იყენებენ ხეების შესაღესად. კირის რძის დასამზადებლად კი 500 ლიტრ წყალზე იღებენ 5-6 კგ ახლადჩამქრალ კარგ კირს და დამზადებისთანავე იყენებენ მცენარეების შესასსურებლად.

ნიადაგის მოკირიანება აუარესებს მუავე ნიადაგებს შეგუებული მავნებლების მავთულა ჭიებისა და ცხვირგრძელუბის ცხოვრების ნირს, მათი რიცხოვრობის შემცირებას იწვევს.

ა. ბელოლესპეკი ლოკოინების ღია ფორმების წინააღმდეგ საღამოს საათებში (როცა მავნებლები გადამოდრავდებიან მცენარეებზე) ურჩევს ჩამქრალი კირის (30 გრ/მ²-ზე) ან თამბაქოს ფესვილისა და კირის (1:1 შეფარდებით) შეფერქვევას.

კირი ეფექტურია ლობიოს შემარცვლიას წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მარცვალს ათავსებენ ჭურჭელში და ზემოდან 3-4 სმ-ზე აყრიან კირს ან ლობიოს ურევენ კირს. აღნიშნული წესით ლობიოს ინახავენ ლაგოდების რაიონის სოფელ აფენშიც (ო. ამბროლაძე).

ჭიანჭველების წინააღმდეგ საბრძოლველად კირს აფრქვევენ სოროების ზემოდან და წვრილწვეთოვნად ასხამენ წყალს ისე, რომ წყალმა იგი ჩაიტანოს სოროებში.

ძველი გამსმარი ქერქისაგან ვასუფთავებული შტამბის შესა-

ლესად იყენებენ ახლადწამქრალი კირის (2-3 კგ), თიხის (1 კგ), მოხდილი რძის (2ლ) ან საღურგლო წებოს (50გ) და წყლის (10ლ) ნარევეს. სვათაშორის, შტამბის შესაღესად ჩამქრალი კირისა და წყლის ნარევესაც (კირის რძე) იყენებენ. გაზეთი „ახალი სოფელი“ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ურჩევს - „ადრე გაზაფხულზე, ვიდრე კვირტები გაიხსნებოდეს, ხე გაასუფთავეთ და მისი ტანი, ტოტები და შტოები კირით შეათეთრეთ (ერთი ვეცდრო წყალი, სამი გირვანჯა კირი და ამდენივე რაოდენობის თიხა)“.



3.2.4. კირფიქვი

კირფიქვი ლოკოცინების წინააღმდეგ ეფექტური საშუალებაა. მას იყენებენ დამოუკიდებლად ან თამბაქოს ფხვნილთან ნარევის (1:9 შეფარდებით) სახით, ორჯერ 15-20 წუთის ინტერვალით ან კირფიქვს რიგთშორისებში 10-15 სმ ზოლზე აფრქვევენ. ი. პანტიელევი კი საღამოს საათებში რიგთშორისებში ურჩევს კირფიქვის ან თამბაქოს ფხვნილის 20-30 წუთის ინტერვალით (ორჯერ) გამოყენებას.

ს. და მ. რუხაძეები ლოკოცინების წინააღმდეგ რიგთშორისებში კირფიქვისა და ნაცრის (თანაბარი შეფარდებით) შეფრქვევას ურჩევენ.



3.2.5. კირქვი

კირქვები უპირატესად ზღვის წარმოშობის დანალექი ქანებია; წვრილად დაფხვნილი კირქვები კარგად ერევა ნიადაგთან, კირქვის ფქვილი განსაკუთრებით ეფექტურია, როცა ნაწილაკები 1,25 მმ-ის სიდიდისაა.

მცენარეთა დაცვაში კირქვების გამოყენებას დიდი ხნის ისტო-

რია აქვს. მას ძველთაგანვე იყენებდნენ მწერებთან ბრძოლის საშუალებად. ხარეველა მცენარეების წინააღმდეგ კირქვების გამოყენების ცნობები 1811 წლიდან მოიპოვება. პ. ბროდო მას მოიხსენიებს როგორც პერბიციდს მანანასებრთა ოჯახისა და სხვა ხარეველების წინააღმდეგ.



3.2.6. პირწყალი

კირწყალს ძველად გუდაფშუტას წინააღმდეგ იყენებდნენ. აი, რას ვკითხულობთ გახეთ „ახალ სოფელში“ - წამლობისათვის კირწყალი რძეს უნდა წაგავდეს, რომელსაც ამზადებენ ყვართო ყელიან ჭურჭელში, თესლს ყრიან კალათაში და ჩაუქვებენ კირწყალიან ჭურჭელში, კალათას კარგად რამდენიმეჯერ შეატრიალებენ მასში (კირი კარგად უნდა გაუჯდეს თესლს), დაწრეტილ თესლს გააძრობენ, სვაგად დაგროვილ თესლს ზემოდან აყრიან დაფხვნილ საჭმელ მარილს (კარგად უნდა აურიოთ). ექვს ფუთ ხორბალს ერთი გირვანქა მარილი ეყოფა. მარილი ხელს უწყობს თესლზე კირის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას. ასე მომზადებული თესლი ერთი დღედაღამე უნდა გააჩეროთ“.

ადრე გასაფხულოსე მანისის სოკოს წინააღმდეგ კვირტების გამლამდე ურჩევენ კირწყალის გამოყენებას, რომლის დასამზადებლადაც სამ გირვანქა კირს უმატებენ ერთ ვედრო წყალს.

ამგვარად კირს, კირფიფქს, კირწყალს ძველთაგანვე იყენებდნენ როგორც მცენარეთა დაცვის საშუალებას. თანამედროვე პერიოდში მოსახლეობა მათ ძირითადად ხმარობს მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად, თუმცა შესაბამისი შესწავლა-შემოწმების შედეგად მიზანშეწონილად მიგვანჩია ინდივიდუალური მეურნეობებში მათი გამოყენება.




3.2.7. კოლორადოს ხოჭო - კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ

კოლორადოს ხოჭოებს, მატლებს აგროცებენ, ათავსებენ შინის (ქილა) ან სხვა ჭურჭელში ხოცავენ, კარგად სრესენ, შემდეგ აპრობენ ბნელ ქარგამქოლ ადვილას, გადაყავთ ფხვნილის ფორ-
მაში, 100 გ-ს ხსნიან 10 ლ წყალში და ასხურებენ კოლორადოს ხოჭოთი დასახლებულ მცენარეებზე.

ან კიდევ:

მზიან ამინდში (ჰაერის ტემპერატურა 14 გრადუსი) კოლორა-
დოს ხოჭო აქტიურ მდგომარეობაშია, ადვილად შესამჩნევი და შესაგროვებელია; შეგროვებულ ხოჭოებს და მატლებს ათავსებენ ნავთიან ან მაღალი კონცენტრაციის საჭმელი მარილის სხნარი-
ან ქილებში, შემდეგ ხოცავენ, აღნიშნულ ჭურჭელში ათავსებენ კოლორადოს ხოჭოს კვერცხებით დასახლებული მცენარეების ყოთლების ქვედა მხარეს (ამ შემთხვევაში ადვილად იღუპებიან კოლორადოს ხოჭოს კვერცხები), შესხურებისას კი კარგად ასუ-
ლებენ ფოთლის ზედა და ქვედა მხარეს.



3.2.8. ნაცარი

ნაცარი მერქნის, ჩაღის, სამჯისა და სხვა მცენარეული ნედ-
ლეულის დაწვის შედეგად მიიღება. იგი შეიცავს კალიუმს, ფოს-
ფორს, კალციუმს. მცენარეებში ნაცრის შემცველობა განსხვავე-
ბულია. მათში განსხვავებულია ფოსფორის, კალციუმის, კალიუ-
მის შემცველობაც. გარდა აღნიშნული ნივთიერებებისა, ნაცარში
დიდი რაოდენობით შედის ნახშირმუქავას მარილები.

ნაცარი ტუტე რეაქციისაა, ამიტომ როგორც სასუქი, იგი მუა-
ვე რეაქციის ნიადაგებში შეაქვთ (არეს რეაქციის განეიტრალების
მიზნით). მისი გამოყენება უმჯობესია ქლორისადმი მგრძობიარე
მცენარეების გამოსაყვებად.

ნაცარს ძველთაგანვე მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა, ხშირად გვსმენია ნაცარტუტას საყოფაცხოვრებო პირობებში სხვადასხვა ნიკოტინის გასარეცხად გამოყენების შესახებ. ნაცარი ასევე გამოყენებულია მცენარეთა ზოგიერთი მავნე ორგანიზმის წინააღმდეგ.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მცენარეთა დაცვის ხაღხური საშუალებებიდან ნაცარი შესხურებით, შეფრქვევით, ნიადაგში შეტანით და თესლის თესვის წინა დამუშავებითაა გამოყენებული. შესხურებისათვის ნაყენის დასამზადებლად 3 კგ შერქნის, ნაძვის ან ჩაღის ნაცარს ერთი დღე-ღამის განმავლობაში ათავსებენ 10 ლიტრ წყალში, გაფილტვრის შემდეგ იყენებენ ხერხიების წინააღმდეგ.

რწყილების წინააღმდეგ გამოყენების წინ ამზადებენ ნაყენს. ამისათვის 200 გ (1 ჩაის ჭიქა) გაცრილ ნაცარს უმატებენ 2-3 ლიტრ მღუღარე წყალს კარგად ურეკენ ერთმანეთში, ასეთ მღუღარეობაში ტოვებენ ერთი დღე, შემდეგ ფილტრავენ, კვლავ უმატებენ წყალს (შეავსებენ 10 ლიტრამდე), 4-5 დღის შეაღედით 2-3-ჯერ კარგად ახსურებენ ფოთლის ქვედა და ზედა მხარეს.

არის ცნობები მწუწნავი მავნებლების წინააღმდეგ ნაცრისა და საპნის სსნარის გამოყენების შესახებ, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 1 კგ ნაცარს აზავებენ 8 ლიტრ მღუღარე წყალში (ჭურჭელს ჰერმეტიკულად ახურავენ თავს), აყოფენ 2 დღე-ღამის განმავლობაში, გამოწურავენ, შეავსებენ 10 ლიტრამდე, უმატებენ წინასწარ წყალში გახსნილ 40 გ საპონს, შესხურება ტარდება თვეში 2-3-ჯერ.

ბ. კურევიჩი ხურტკმელის ხერხიას წინააღმდეგ შეფრქვევით ნაცრის გამოყენებას ურჩევს (მაის-ივნისში) წვიმის შემდეგ ან ნაშიან მცენარეებზე, საშუალო ზომის ბუჩქებზე იხარჯება 500 გ ნაცარი (აფრქვევენ ძირითადად ფოთლის ქვედა მხარეზე).

მოსკოველი მებაღე ვ. ტოპარევი ხურტკმელის ალურას წინააღმდეგ (მავნებლის გამოჩენამდე) დილით ადრე ნაშიან მცენარეებზე ერთ ბუჩქზე 500 გ ნაცარს შეყრქვევას ურჩევს.

კარგ შედეგს იძლევა კარტოფილის დარგვის წინ ორმოებში ნაცრის მოთავსება, მცენარეების ფორმირების შემდეგ კი კიდორადოს ხოჭოს მატლების გამოჩენამდე ნაცრის ნაყენის გამოყენე-

ბა: ამ მიზნით 10 ლიტრ წყალზე იღებენ 2-ლიტრიანი ქილა გაცრილ ნაცარს, უმატებენ სამეურნეო საპონს. კარგად ურევენ ერთმანეთში, შემდეგ გაწურავენ და 1 ლიტრ ხსნარს 10 ლიტრ წყალს უმატებენ.

თ. ტაბატაძე (ლაგოდესის რაიონი) მახრისაგან დასაცავად კარტოფილის დასარგავ ორმოში ერთ-ორ პეშვ (მუჭა) ნაცარს, 2-3 ცალ დაფნის ფოთოლს ათავსებს, კოლორადოს ხოჭოსაგან დასაცავად კი ნაცრის შეფრქვევას იყენებს.

სხვათაშორის, ბოსტნეულში ამქამდაც იყენებენ ნაცრის შეფრქვევას.

ფეტვის თესლის შესაწამლად შესაბამისი დეზინფექტორის უკონ-ლობის გამო იყენებდნენ როგორც მერქნის, ისე ჩაღის ნაცრის ნაცარტუტას. 10 ლიტრ წყალზე იღებენ 200 გ მერქნის ან 50 გ ჩაღის ნაცარს. აღუღებენ 30 წუთის განმავლობაში. გაცივების შემდეგ მასში ათავსებენ სათესლე მასალას, აშრობენ და თესა-ვენ.

მავნებლების დაფრთხობის მიზნით ნაცარს აფრქვევენ კომ-ბოსტოზე, თვის ბიოლოჯზე, ბიოლოჯზე ნორმით 5 გ/მ²-ზე.

100-150 გ ნაცარს ერთი დღე-ღამის განმავლობაში აყოვნებენ 10 ლიტრ თბილ წყალში, გამოწურავენ, უმატებენ 30 გ სამეურ-ნეო საპონს და იყენებენ რწყილების, ბუგრების, ღიად მცხოვრები მატლების წინააღმდეგ.

10 ლიტრ ცხელ წყალში ათავსებენ ერთლიტრიან ქილით ნაცარს, აყოვნებენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, იყენებენ ხახვის ბუზის მატლების წინააღმდეგ მცენარეების ირგვლივ მოს-სურებით.

სურტკმელის ნაცრის წინააღმდეგ, პირველი წამლობისათვის (კვირტის გაძლამდე) ერთ ვედრო მერქნის ნაცარს უმატებენ სამ ვედრო წყალს, აღუღებენ ერთი საათის განმავლობაში, აცივებენ ფილტრავენ და ასსურებენ მცენარეებზე. მეორე წამლობისათვის (ნასკვის ჩამოყალიბების შემდეგ) ნახევარ ვედრო ნაცარს ერთი საათის განმავლობაში აღუღებენ ორ ვედრო წყალში, გაწურვისა და გაცივების შემდეგ ასსურებენ.

ბუგრების წინააღმდეგ (ხესილი, ბოსტნეული, ბაღჩეული) 300 გ გაცრილ ნაცარს ასხამენ 5 ლიტრ მდულარე წყალს, აღუღებენ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ აცივებენ, გადაწურავენ მიღე-

ბულ ნახარშს 'შეავსებენ 10 ლიტრამდე და ასხურებენ ბუგრებით დასასლელბულ მცენარეებზე.

დელოფლის წყაროდან (სოფელი არხილოსკალო) ნაცრის წინააღმდეგ ნაცარწყლის გამოყენების 'შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა მ. შერაბიშვილმა მ. ბუნაქურის ცნობით გამოყენების წინა დღით 100 ლიტრ თბილ წყალს უმატებენ 7-10 კგ ნაცარს, აყოვნებენ, გადაწურავენ და ასხურებენ ნაცრით დაავადებულ მცენარეებზე.

მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მეპარცვლიას წინააღმდეგ ლობიოში ფენების სახით ათავსებენ ნაცრისა და კირის ნარევეს (მ. გიორგაშვილი). წაღვერის მკვიდრი კ. მსრიანი მოგვითხრობს, რომ ნაცრის 'შეფრქვევას ჭრაქის წინააღმდეგაც იყენებენ.

სსკათამბორის, მცენარეთა დაცვაში ნაცრის გამოყენების 'შემთხვევებს უფრო ადრეულ პერიოდშიც აქონდა ადგილი. კერძოდ, ჯერ კიდევ 1785 წელს ჯონ გრახლეერი მოიხსენიებს სარვეველა ნარძავის მიმართ ნაცრისაგან მოხარშული საპნის გამანადგურებელი მოქმედების 'შემთხვევას.

ბუნებრივია, თანამედროვე პირობებშიც 'შეიძლება მცენარეთა სხვადასხვა მანერე ორგანიზმების წინააღმდეგ ნაცრის გამოყენება, 'შემოწმებისა და გამოყენების პირობების დაზუსტების 'შემდეგ.



3.2.9. ნაპთი

ნავთობი და მისი პროდუქტები რთული 'შედგენილობისაა, გადამუშავების 'შედევად მრავალნაირ პროდუქტს იღებენ. ნავთობის გამოსდის დროს 'შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მიიღება ბენზინი, ლიგროინი და ნავთი.

ნავთობი როგორც ინსექტიციდი 1878 წლიდანაა მოხსენიებული. მანებლელის წინააღმდეგ ნავთობს ემულისიის სახით ხეების

შესაღესად იყენებდნენ (1897წ.). ნავთი ცნობილია როგორც პირველი, პოპულარული ინსექტიციდი (ინსექტიციდური თვისებები აღმოჩენილი იყო 1860 წელს), 1865 წელს მის გამოყენებას უკვე ურჩევდნენ ფარიანების წინააღმდეგ (ფოროთხლის ნარგავებზე).

ემულსიები ფართო მასშტაბით იხმარებოდა 1870-1880 წლებში, 1881 წლიდან კი - ნავთი შეიცვალა უფრო აქტიურად მოქმედი სხვა ზეთებით; თუმცა ჩვენში შემდგომშიც ვხვდებით მისი გამოყენების შემთხვევებს, კერძოდ, „დაპასარადილებელი ჭის“ წინააღმდეგ ქურნალ „მოსავლის“ (№ 1, 1911) რუბრიკაში - საყურადღებო რჩევაა მითითებული: „გააქეთეთ ხის ძირის გარშემო 2-3 ვერსოკის მანძილზე პატარა არხი, ამოღესთ ქვიშა ნარევი კირით, რომ წყალი არ გაუყიდეს. ჩაასხით შიგ წყალი, დაასხით ამ წყალს კუპრი ან ნავთი (ცოტა) და შუადღისას, როცა ცხელდება, დროგამოშვებით შეარხიეთ ხოლმე ხე. მაგნე მწერები მასში ცვივა და იღუპება“.

ამავე რუბრიკაში „ტილი ოთახის მცენარეებზე“ ნავთის გამოყენების რეკომენდაცია ასეთი მითითებაა „აიღეთ ერთი სტაქანი წყალი, გახსენით შიგ ცოტა საპონი, აადუღეთ, ჩაასხით ბოთლში დაასხით 1,5-2 სტაქანი ნავთი და ღონივრად შეთქვიფეთ, მიიღებთ შესქელებულ სითხეს. შემდეგ ამ სითხის ნახევარი ღვინის სტაქნით გადაიღეთ მეორე ბოთლში, რომელშიც უნდა ადუღებული დასაპნილი წყალი იდგეს, როცა ბოთლს რომ შეატანსკყარებთ, მოთეთრო ფერის სითხეს მიიღებთ, რომელიც წამალს წარმოადგენს მცენარის ყველგვარი ჭიების წინააღმდეგ. წამალი უნდა მწვარით წაესვას ტილიან ტოტებსა და ფოთლებს.

ბალახის, კომბოსტოს ტილების, კომბოსტოს ჭიების, ხეხილის მატლების მგრავნელების წინააღმდეგ იყენებენ ნავთის ემულსიას, რომლის დასამზადებლადაც იღებენ 0,5 გირვანქა საპონს. 12 ბოთლ ნავთს, 6 ბოთლ მღუღარე წყალს. წვრილად დაჭრილ საპონს ყრიან მღუღარე წყალში, საპონის დაშლის შემდეგ უმატებენ ნავთს და ჩქარა თქვეფავენ, ღებულობს თეთრ ფერს, რომელიც რძეს ჰგავს, გაცივების შემდეგ სქელდება და ფელამუშს ემსგავსება. შემდეგ ერთ ბოთლ ემულსიას ხსნიან ერთ ვედრო წყალში და ასხურებენ მანებლებით დასახლებულ მცენარეებზე.

ხ. როდიონოვი ნავთ-საპონის დამზადების შემდეგნაირ რეკომენდაციას გვთავაზობს: 5-6 ვედრო მღუღარე წყალში ხსნიან 3 კგ საპონს

(კარგად აქაფებენ ცოცხით) ნელ-ნელა უმატებენ 18 ლიტრ ნავთს, შემდეგ 15-20 წუთის განმავლობაში აქაფებენ. არაქანის მსგავსი მასის მიღების შემდეგ მას უმატებენ 60 გრადუსი ტემპერატურის 5-6 ვედრო წყალს, რომელსაც აზავებენ 500 ლიტრ ცივ წყალში, იყენებენ დაშხადებისთანავე, რადგან დაყოვნებისას ადვილად იშლება, კარგავს ტოქსიკურობას.

ნავთის ემულსიის დასამზადებლად ურჩევენ განსხვავებულ ტექნოლოგიასა და კომპონენტებს: თავახდილ ჭურჭელში ჩაასხამენ ნახევარ ვედროზე ცოტა ნაკლებ ნავთს და ნელ-ნელა უმატებენ დაახლოებით 2 გირვანქა (820 გ) წმინდად დაფქულ, კარგად გაცრილ ჭვავის ან პურის ფქვილს, ურევენ ჯობით ან ცოცხით, კარგად რომ შეერიოს ნავთი და ფქვილი, შემდეგ დაასხამენ ნახევარ ვედრო წყალს და 5-6 წუთის განმავლობაში ურევენ, მერე კიდევ მიუმატებენ 2 ვედრო წყალს და რაც შეიძლება კარგად შეანჯღრევენ, რამდენიმე დღის შემდეგ თუ სითხემ ნავთი მოიგდო ზემოდან, ეს იმას ნიშნავს, რომ ფქვილი აკლია. მიუმატებენ კიდევ ერთ გირვანქა (409გ) ფქვილს. გაქნიან კარგად და ემულსიაც მზადაა გამოისაყენებლად.

გ. ნახუცრიშვილი ვაშლის ჩრჩილის წინააღმდეგ ურჩევს ნავთსაპონის გამოყენებას, რომლის დასამზადებლადაც 6 ბოთლ თბილ წყალში ხსნიან ნახევარ გირვანქა საბეურნეო საპონს, შემდეგ უმატებენ 12 ბოთლ ნავთს, კარგად ურევენ ერთმანეთში. ვაშლის ყვავილობის პერიოდში 12 ბოთლ თბილ წყალში ხსნიან 1 ბოთლ ნაზავს. ყვავილობის შემდეგ კი 2 ბოთლ ნაზავს ხსნიან 10 ბოთლ წყალში, და ასხურებენ მავნებლებით დასახლებულ მცენარეებზე.

ცნობილი აგრონომი ერ. ნაკაშიძე მანდარინის მავნებლების (ტილები, მსხილები, ჯღიბები და სხვ.) წინააღმდეგ ურჩევს ნავთის ნათქვეფის (ემულსიის) გამოყენებას, რომელიც შემდეგი წესით მზადდება: ერთ გირვანქა (400გ) წვრილად დაჭრილ საპონს ხარშავენ 4 ლიტრ წყალში; როცა საპონი გაიხსნება, ცხელ ხსნარზე ასხამენ ნახევარ გირვანქა (200გ) გადამწვარ ზეთს და მეოთხედ გირვანქა ნავთს. ყველა ესენი კარგად უნდა ურიოთ ერთმანეთში ისე, რომ ნავთი ცალკე არ რჩებოდეს. კარგად არევის შემდეგ კიდევ უნდა დაემატოს 12 ლიტრი წყალი, კარგად უნდა აირიოს ერთმანეთში და ასეთი წესით დამზადებული ხსნარი შესხურდეს მავნებლებით დასახლებულ მცენარეებზე. თუ მავნებლები (ტი-

ლუბი და სხვა მაკნე მწერები) მარტო ყლორტის წვერსუდაა, მაშინ ეს ხსნარი უნდა მოთავსდეს პირგანიერ ჭურჭელში და შიგ ამოავლოთ ყლორტები.

ნავთს და მახუთს იყენებდნენ აბრეშუმქსოველის კვერცხე-ბის, ბურტყლა ბუგრის წინააღმდეგ, ამ სითხეებს კარგად უსვამენ მცენარის იმ ადგილებს, რომლებიც კვერცხებითაა დასახლებუ-ლი (ისე უნდა წაესვას, რომ კვერცხების ბალიში კარგად დას-ველდეს). ღონისძიება უნდა ჩატარდეს შემოდგომით ან გაზაფ-ხულზე კვირტების გაშლამდე.

მიუთითებენ ნავთის გამოყენების უფრო მარტივ ტექნოლო-გიაზეც სუფთა ნავთით ასველებენ სილას ან ნაცარს და მას მოაბნევენ (მოფანტავენ) ბოსტნეულის კვლეებში, რომელიც ხო-ცავს მავნე მწერებს.

ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანიდან ნონა შავიძე გვაწვ-დის ინფორმაციას ნავთყირის ემულსიის როგორც ბელლის მავ-ნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად გამოყენების შესა-ხებ (700 გ კირი + 1 ლიტრი ნავთი).

ზ. როდიონოვი ნავთყირის დამზადების ასეთ წესს გვთავა-ზობს: რძის მიღებამდე, კირს ჩაქრობის შემდეგ აზავებენ წყლით. სქელი კირის რძის მიღებამდე, რომელსაც წყრილი ნაყადის სა-ხით ნაწილ-ნაწილ ემატება 12 ლიტრი ნავთი, შემდეგ მიღებულ ნარევეს აჭაფებენ და უმატებენ წყალს 500 ლიტრი ნარევის მიღე-ბამდე. მიღებულ ნარევეს იყენებენ სხვადასხვა მწუწნავი მავნებ-ლების წინააღმდეგ.

კუპრიც ნავთობის პროდუქტია, რომლითაც ასველებენ ნაფო-ტებს, ქსოვილის ნაგლეჯებს და ათავსებენ ბელელში ან რგოლე-ბის სახით უსვამენ ბელლის ხის ბოძებს, რომლებსაც ვერ გადა-ლახავს ბელლის მტერი ხორთუმა ჭია და იგი იღუპება.

სიცხეში ნავთი ორთქლად იქცევა ხეს არ ვნებს, ცივ ამინდში ნავთი არ ორთქლდება და მცენარეს აზიანებს, ამიტომ ამინდის შესაბამისად უნდა შეირჩეს ემულსიის სიმაგრე, კონცენტრაცია; ვეგეტაციაში მყოფ მცენარეებზე ნაკლები სიმაგრის ემულსია უნ-და შესხურდეს.

ამგვარად, სხვა ნივთიერებებთან ერთად ნავთს და ნავთობის სხვა პროდუქტებს (მახუთი, კუპრი) იყენებდნენ მცენარეთა სხვა-დასხვა მავნე მწერების (ფარიანები, ბურტყლა ბუგრი, ღილკელე-

ბი, ტკიპები და სხვ.) წინააღმდეგ საბრძოლველად და არც თუ ისე უშედეგოდ.



3.2.10. ნამჯა (ბაღამჯვარი), თივის ანაბერაჟი, თივის ფხვნილი (ბვიღრო)

ერთ ნაწილ თივის ანაბერაჟს ან გადამწვარ ნამჯას სამი დღის განმავლობაში ათავსებენ წყალში, შემდეგ ფილტრავენ, აზავებენ სამ ნაწილ წყალში, ასეთ ნაყენს ასსურებენ ხურტკმელზე ნაცრის წინააღმდეგ; პირველი შესხურება ტარდება ყვაფილობის დაწყებისთანავე, შემდეგ 8-10 დღის ინტერვალით 2-3-ჯერ.

გადამწვარ ნამჯას (ან თივის გვიდრო (ფხვნილს) ნაკელთან (1:3 შეყარდებით) ერთად ათავსებენ წყლიან ვედროში, აყოვნებენ სამი დღის განმავლობაში, უმატებენ 10 ლიტრ წყალს, გამოწურვის და გაფილტვრის შემდეგ იყენებენ ნაცროვანი დაავადებების წინააღმდეგ ახლადამზადებულ ნაყენს 10-15 დღის ინტერვალით.



3.2.11. ნაქელი

ადამიანმა ნაკელს, როგორც ნიადაგის გამანოყიერებელ საშუალებას, ძველთაგანვე მიაქცია ყურადღება და მისი გამოყენება დაიწყო მას შემდეგ, რაც ხელი მოჰკიდა სწორ მიწათმოქმედებას.

ანტიკური ხანის მწერლები ნიადაგის გამანოყიერებელ საშუალებად უპირველესად ნაკელს ასახელებენ. პომპროსი „ოდისეაში“ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით ნაკელის მნიშვნე-

ნელობაზე მიუთითებდა. ნაკელს განსაკუთრებულ ყურადღებას ებ-
ვიპტეში აქცევდნენ, მის მომპარავს კანონი მკაცრად სჯიდა. ნა-
კელის წარმოება და გამოყენება კარგად ჰქონდათ ორგანიზებუ-
ლი ძველ რომაელებს.

ნაკელი მეცხოველეობის ანარჩენია, ძირითადად შეიცავს ცხო-
ველების ექსკრემენტებს, მისი ქიმიური შედგენილობა იცვლება
ცხოველების სახეობების მიხედვით, კერძოდ მსხვილფეხბარქოსანი
პირუტყვის ექსკრემენტები ყველაზე უფრო ღარიბია აზოტით და
ფოსფორით. შეიცავს წყლის დიდ რაოდენობას. საერთოდ, ცხო-
ველთა ექსკრემენტები შეიცავს წყალს, მშრალ ნივთიერებას N;
K₂O; CaO; P₂O₅; SO₃; MnO. ფრინველის ექსკრემენტებიც შეიცავს
წყალს, მშრალ ნივთიერებას N; K₂O; CaO; MgO; P₂O₅; SO₄.

ნაკელი ყურადღებას არამარტო ნიადაგის ნაყოფიერების ამაღ-
ლების მიზნით იქცევდა, არამედ ადამიანი მას ყურადღებას აქ-
ცევდა, როგორც მცენარეთა დაცვის ერთ-ერთ ხალხურ საშუა-
ლებას. ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში იბნ კუტაიბი თავის ენციკლო-
პედიაში მიუთითებს იხვის ექსკრემენტებისა და მარილის ნარე-
ვით ბოსტნეულის განადგურების შესახებ, ამასთან ლიტერატურა-
ში აღნიშნულია მცენარეების მიმართ ცხოველების ექსკრემენტე-
ბის მავნე მოქმედებაზე, აგრეთვე აღწერილია სარეველების გა-
სანადგურებლად ადამიანის ფეკალიების გამოყენების პირობები,
ხოლო მე-12 საუკუნეში არაბმა აგრონომმა იბნ-ალავონმა აღწე-
რა მცენარეებზე ექსკრემენტების მავნე მოქმედება, ასევე მიუთი-
თებს, რომ ადამიანის ფეკალიების (ღამის ოქრო) ანადგურებს
სარეველა მცენარეებს. იბნ კუტაიბი თვლის, რომ იხვის ექსკრე-
მენტები ისევე მოქმედებს მცენარეებზე, როგორც მარილი.

ხალხურ პრაქტიკაში ნაკელს ამჟამადაც იყენებენ მცენარეთა
მავნე ორგანოების წინააღმდეგ, კერძოდ, ე. კასიანოვას მონაცე-
მებით ვაშლისა და ხურტკმელის ნაცრის წინააღმდეგ იყენებენ
გადამწვარი ნაკელის ნაყენს. ნაყენის დასამზადებლად 1 კგ გა-
დამწვარ ნაკელს უმატებენ სამ ლიტრ წყალს, აყოვნებენ სამი
დღის განმავლობაში, შემდეგ ფილტრავენ, ასავებენ სამჯერად
წყალში, იყენებენ საღამოს საათებში 10-15 დღის ინტერვალით
(სამჯერადი შესხურებით). პირველი წამლობის ჩატარება რეკო-
მენდებულია კვირტის გახსნის ან ვარდისფერი კოკრის გამოჩენი-
სას.

ნაცრისაგან ხურტკმელის დასაცავად 'შედარებით განსხვავებული რეკომენდაციებს იძლევა ს. სმირონოვი, რომელიც ნაყენის დასამზადებლად 1 ნაწილ საქონლის ნაყელს სამი დღის განმავლობაში ათავსებს წყალში, გაფილტვრის შემდეგ აზავებს სამ ნაწილ წყალში, პირველი წამლობა ტარდება ყვავილობის დასრულებისთანავე, შემდეგი კი 8-10 დღის ინტერვალით.

ი. პანტიელევი ხახვის ბუხის წინააღმდეგ ხახვისა და ნიორის რიგთშორისებში ეფექტურად თვლის ნაყელისა და სილის ნარევის შეტანას.

ვარდის ნაცრის წინააღმდეგ ნაყელის ნაყენს შემდეგი ტექნოლოგიით ამზადებენ: კარგად გადამწვარ ნაყელს უმატებენ წყალს (1:3 შეფარდებით). აყოვნებენ სამი დღე; შემდეგ ფილტრავენ, გამოიწურს აზავებენ სამ ნაწილ წყალში, ასხურებენ საღამოს საათებში. წუნწუნში არსებული ბაქტერიები ანშობენ ნაცრის გამომწვევ სოკოვან საწყისს.

ხურტკმელის ნაცრის წინააღმდეგ ერთ ვეღრო გადამწვარ ნაყელს ხუთ ვეღრო წყალში აყოვნებენ ხუთი დღის განმავლობაში. გამოყენების წინ ნაყენს ფილტრავენ და იყენებენ საღამოს საათებში (მზის სხივების მოქმედებისაგან სასარგებლო ბაქტერიების დაცვის მიზნით), პირველი წამლობა ტარდება კვირტის გაშლამდე, მეორე კი ნასკვის ფორმირების შემდეგ.

ქათმის ექსკრემენტებს იყენებენ მახრების წინააღმდეგ ამ შემთხვევაში ჩითილის დასარგავ ორმოებში ბაზოკბზე შეაქვთ ექსკრემენტები ან კიდევ წყალში გახსნილი ექსკრემენტებით (ქათმის) ატარებენ მცენარეების გამოყვებას (გამოყვებისას სიფრთხილვა საჭიროა, რადგან მოსალოდნელია მცენარეების დაზიანება).

გარდა ამისა, ქათმის ექსკრემენტი ხშირად გამოყენებულია მცენარეულ ნაყენთან ერთად (როგორც დამატებითი ნივთიერება), კერძოდ აბზინდას ნახარშის ტოქსიკურობა იხრდება ქათმის ექსკრემენტის დამატებით. 1-1,3 კგ შშრალ ექსკრემენტს ერთი დღის განმავლობაში ათავსებენ მცირე რაოდენობის წყალში, შემდეგ წერავენ, ფილტრავენ და ურევენ აბზინდას ნახარშში 10 ლიტრი წყლის დამატებით. ორჯერადი შესხურება (შვიდი დღის ინტერვალით) ეფექტურია ფოთოლმდრღნელი მატლების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვეულებრივად შესხურებიდან 2-3 დღის შემდეგ იღუპებიან.

ხშირ შემთხვევაში ნაკელი მცენარეთა დაცვაში გამოსაყენებელი სხვადასხვა ნარეუების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელსაც ზოგიერთი მღრღნელებისაგან მცენარეების დასაცავად იყენებენ. ასე მაგალითად, კურდღლების დასაფრთხობად ახალგაზრდა მცენარეების შტამბის შესაღესად 10 ლიტრ წყალზე იღებენ თანაბარი რაოდენობის თიხას. პირუტყვის ნაკელს, უმატებენ ერთ სუფურის კოვზ მუავას, ურევენ ერთმანეთში ასეთი ნარევით კარგად შელესავენ მცენარეების შტამბს, გარდა ამისა, იღებენ თანაბარი რაოდენობის კირს, პირუტყვის ნაკელს, უმატებენ სისხლს (საქინლის) კარგად ურევენ ერთმანეთში და იყენებენ შტამბის შესაღესად. მღრღნელების დასაფრთხობად ასლად ჩამქრალი კირის (1 კგ) და 10 ლიტრ წყალში გახსნილი პირუტყვის ნაკელისაგან ამზადებენ ნაზავს; სხვათაშორის, ჩვენს პირობებში (სარაგაულის რაიონი) თხებისგან ხესილის დასაცავად ხშირად იყენებენ (შტამბის შესაღესად) პირუტყვის ნაკელს; პირუტყვის ნაკელით ხეებზე მოჭრილ ადგილებსაც ფარავდნენ (როგორც ანტისეპტიკი).

1629 წელს კიბოს მკურნალობისათვის ურჩევდნენ: დაზიანებული ადგილის მოჭრას (კიბოს ძლიერ განვითარებამდე) და მოჭრილ ადგილზე ძროხის ნაკელის და წუნწუნის ნაზავის ან ცალკე ძროხის წუნწუნის ან ძმრით დამუშავებას. 1791 წელს ხეებზე მიყენებული ტრიკობის დასამუშავებლად ურჩევდნენ ძროხის ნაკელის გამოყენებას.

სარეველა ბალახებიდან ჭანგა ანუ გლერტა ნათესებსა და ნარგავებში მეტად ძნელად მოსასპობია. გაზეთი „ახალი სოფელი“ ამის თაობაზე წერს... „ჩვენ ხშირად გვინახავს ჭანგა, რომელიც ვაზის ძირს ჩაჯდომია და გაუხმია კიდევ მცენარე. საში კვირა ხეზე ვიყავი გადავიდებული პაპანაქება სიცხეში და კინაღამ გავხმო, ასე უთქვამს ჭანგის ძირსაო იტყვიან ხოლმე ქართლელი გლეხები. ჭანგის მოსასპობად საუკეთესო საშუალებაა ნაკელი. სადაც ჭანგა ბლომად არის, იქ უნდა დაყაროთ უხვად ნაკელი.

ჭანგა ნაკელით განიყიერებულ ნიადაგში ღრმად აღარ უშვებს ძირებს, ზერელედ გაისხამს ფესვებს და ამგვარ პირობებში ჭანგა ადვილად შეიძლება მოისპოს“.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა საშუალებებთან ერთად ნაკელიც შეიძლე-

ბა გამოვიყენოთ მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის დონისძიებად წინასწარი შემოწმებისა და კონტროლის საფუძველზე.



3.2.12. რამ და შრატი

რძე გამოშუშავდება ძუძუმწოვარი ცხოველის ორგანიზმში (სარძევე ჯირკვლების სეკრეციის პროდუქტია) ლაქტაციის პერიოდში. მასში შედის წყალი, ცილა, რძის შაქარი, მცროს და მაკრო მინერალური ნივთიერებები (ვიტამინები A, B, C, D). რძეს ახასიათებს ბაქტერიოსტატიურობა ე.ი. ბაქტერიების გამრავლების შეკავების უნარი.

ეკელის დამზადების შემდეგ რძისგან რჩება შრატი. მას სახალხო მეურნეობაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მოხდილ რძეს და შრატს მცენარეთა დაცვაში იყენებენ მცენარეთა დაავადება-ნაცრის წინააღმდეგ.

აგრარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ე.ფორჩხიძის ინფორმაციით ადიგენის რაიონში მოხდილ რძესა და შრატს კიტრის ნაცრის წინააღმდეგ იყენებენ.

სობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში რძის გამოყენების შესახებ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ვ. კიკუხანიძემ ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა: „ახლად-მოწველილ რძეს უნდა შევურიოთ უფრო ნაკლები წყალი და შევაახუროთ“.

მათი გამოყენების შესახებ საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო კალენდარში ასეთი ინფორმაციაა მოცემული: „სოკოვანი დაავადება ნაცრისაგან მცენარეები შეიძლება დაიცვათ შემდეგი ხსნარის საშუალებით: 9 ლ წყალს დაუმატოთ 1 ლ შრატი ან მოხდილი რძე“.



3.2.13. სუპრის მარილი

ბუნებაში მარილი გროვდება წყალხისნარებიდან დალექვით ძირითადად ჩავეტილ ზღვიურ აუზებში, ტბებში. წყალში კარგად იხსნება, ამიტომ ნიადაგში კარგად ირეცხება და კონცენტრირდება ზღვის წყალში. მარილი სიცოცხლისათვის საჭირო ნივთიერებაა. აქტიურად მონაწილეობს ადამიანის და ცხოველების ორგანიზმის მინერალურ ნივთიერებათა ცვლაში. მარილი ცნობილია უძველესი დროიდან, ფართოდ იყენებენ კვების მრეწველობაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, მცენარეთა დაცვაშიც.

მცენარეების მიმართ მარილისა და ზღვის წყლის მოქმედება ადამიანისათვის სკელთაგანვე იყო ცნობილი, მათ მაკნეობასეუერ კიდევ ჩვენს ურამდე მეოთხე საუკუნეში ქსენოფონტე, ვირგილიუსი და პალადი მიუთითებდნენ. ჩვენ ურამდე 146 წელს ნაყოფიერების დაქვეითების მიხნით მტრის ნიადაგებზე გამოიყენეს მარილი; მარილმოყრილი ნაკვეთები მცენარეების შემდგომი კულტივირებისათვის გამოუსადეგარი გასდა.

მექვსე-მეშვიდე საუკუნეში (კასიან ბასუსოს მიერ) ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც ეხება მარილის ფიტოტოქსიკურ მოქმედებას, მოხსენიებულია ამ პერიოდში შექმნილ შრომებში (გეოპონიკი). მეცხრე საუკუნეში კი ნუვარის შრომებში ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ მარილი ანადგურებს როგორც „საჭირო“ ისე „არასასურველ“ მცენარეებს. თანამედროვე გაგებით, რომ ვილაპარაკოთ საერთო მოქმედების პერბიციდის თვისებებს ამუღავნებს. ალბერტ მაგნუსიც შრომებში მიუთითებს კულტივირებული მცენარეების მიმართ დამლაშებული ნიადაგების მავნეობას.

სარეველების წინააღმდეგ მარილის გამოყენება ინგლისში 1594 წელს დაიწყეს, ხუტ პლეტი წერდა, რომ საშემოდგომო კულტურების დათესვამდე ტბის მარილის გამოყენება არა მარტო აუმჯობესებს მოსავლიანობას, არამედ მინდორს ათავისუფლებს სარეველებისაგან. 1620 წელს გერვეს მარკმეხი წერდა, რომ მარილის გამოყენება აუცილებელია, ხორბლეულსა და პარკოსნების ნათესებში სარეველების გასანადგურებლად, რადგან „არ არის სხვა რამ, რომელიც სარეველებსა და ყველა სხვა ცოცხალს ისე

ჩქარა გაანადგურებს, როგორც მარილი“. მქნივდემეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჯონ ვორლიდუი და ჯონ ეველინი მოხრეშილ გზებზე არასასურველი მტენარეების განადგურების მიზნით მარილის გამოყენების შესახებ მიუთითებენ. ამ პერიოდისათვის ფერმერები და აგრონომები თანამიმდევრულად სწავლობდნენ სარეველების წინააღმდეგ მარილის გამოყენების შესაძლებლობას. 1733 წელს უცნობმა ავტორმა აღწერა 'მოტლანდიამი საშემოდგომო ხორბლის ნათესში სარეველების წინააღმდეგ მარილის გამოყენების ფაქტი: მარილმა გაანადგურა სარეველები. საშემოდგომო ხორბალი კი არ დაზიანებულა. ავტორი მიუთითებს იმის შესახებაც, რომ გაუფრთხილებლობამ შეიძლება ხორბლის ნათესიც დააზიანოსო.

1825 წელს ბენუამინ ხოლდისი მიუთითებდა მრავალწლიანი სარეველების, განსაკუთრებით კი ნარძავის წინააღმდეგ მტენარის კრონაში ჩაყრის გზით მარილის გამოყენების შესახებ, რაც მკვეთრად სრდიდა მის ეფექტურობას. მარილი ეფექტური საშუალება გამოდგა მრავალძარღვას, ლომის კბილას, მუჟუნასა და სხვა სარეველების წინააღმდეგ.

სარეველების გარდა, მარილისა და ზღვის წყალს სხვა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგაც იყენებდნენ. კერძოდ, ჯერ კიდევ 1650 წელს ურნივედნენ მარცვლის ჩახველებას ზღვის წყალში, ეს იმის შემდეგ მოხდა, რადღესაც გამოიჩვენა, რომ ზღვაში ჩაძირული გემიდან ამოღებული მარცვალი გუდაფშუტათი არ დაზიანდა.

გუდაფშუტას წინააღმდეგ კირ-წყლით ბრძოლის დონისძიების ჩატარებისას მარილი გამოყენებულია როგორც დამატებითი ნივთიერება (სვაჟად დაგროვილ თესლს ზემოდან აყრიან საჭმელ მარილს, ექვს ფუთ ხორბალზე ერთი გირვანქა (409,5კ)).

სუფრის მარილს იყენებენ ბარდას მექარცვლიას და სხვა მავნებლების წინააღმდეგაც, ყოველ 16 ლიტრ წყალზე იღებენ 3 კგ სუფრის მარილს, ამ ხსნარში ათავსებენ ბარდას მარცვალს. ამ შემთხვევაში ბარდას მექარცვლიათი დაზიანებული ან მავნებით დასახლებული მარცვლები ხსნარის ზედაპირზე ამოტივტივდება, ხალი კი ჩაიძირება.

სუფრის მარილი გამოყენებულია ლოკოსინებთან საბრძოლველად. ამ მიზნით ს. სმირნოვი ურნივეს 10 ლიტრ წყალში 10

გრამი მარილის გახსნას და მავნებლებით დასახლებულ მცენარეებზე შესურებას (საღამოს) ან კიდევ მარილის მობნევას იმ ადგილებში, სადაც მავნებლები ბინადრობენ.

10 ლიტრ წყალს უმატებენ ერთ ჭიქა (ჩაის) მარილს ასეთ ხსნარს ასხურებენ მცენარეების რიგთშორისებში ხახვის ბუჩის წინააღმდეგ.

პომიდორის ფიტოფტოროზის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე ნაყოფზე ასხურებენ 10%-იანი სუფრის მარილის ხსნარს.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მარილის გამოყენების შესახებ ვიქტორ პიუკოს რომანის „საბრალონის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი ამბობს: „ვიდრე ბელელში პურს ჩაჰყრიდეთ, თუ არ გინდათ, რომ ობი მოეკიდოს, მარილი გახსენით წყალში და ამ წყლით გარეცხეთ კვდლები; თუ დაძსკდარია ფიცარი, შინ შეიყვანეთ ძლაპე წყალი“.

ლ. კვინიხიძის გადმოცემით ზესტაფონის რაიონში ამბროსიის წინააღმდეგ სუფრის მარილს ამუამადაც იყენებენ (100 ლიტრ წყალში 6 კგ მარილს ხსნიან და ადრეულ ფაზაში ასხურებენ).

ამგეარად, მცენარეთა დაცვაში კონკრეტული პირობებისა და მავნე ორგანიზმების გათვალისწინებით (უკიდურეს შემთხვევაში) სუფრის მარილის გამოყენებაც შეიძლება.



3.2.14. საპონი და საპნიანი წყალი

საპონი წარმოადგენს ტუტისა და ცხიმოვანი მჟავების (ცხიმების) ქიმიურ შენაერთს. საპნის დასამზადებლად ცხოველურ, მცენარეულ ცხიმებს, ფისებს და ნავთობსაც იყენებენ. საპნები იყოფა ორ ჯგუფად: პირველს ეკუთვნის სარეცხისა და ხელის, მეორეს თხევადი ანუ მწვანე საპონი, პირველი შიადღდება სოლით და ნატრიუმის ტუტით, მეორე კი კალიუმის ტუტით ან პოტასიუმით. სახალხო მეურნეობაში საპონს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მცენარეთა დაცვაში თამბაქოსთან ერთად ჯერ კიდევ 1787

წელს ტილების (ბუგრების) წინააღმდეგ იყო გამოყენებული.

მავენებლებზე საპნების მოქმედების მექანიზმი სხვადასხვანაირად შეიძლება გამოიხატოს, უმთავრესად კი ტოქსიკური თვისებები მიეწერება ცხიმს ან სხვა პუავეებს, რომლებიც იჭრებიან ტრაქეებში, ტრაქეოლებში, მოქმედებენ ჰემოლიმფასა და უჯრედებზე (პლასმოსური მოქმედება). საპნებს შეუძლიათ მექანიკურადაც იმოქმედონ, დაანშონ იგივე ტრაქეები, ტრაქეოლები და გამოიწვიონ მავნებლის სიკვდილი. საპონი აზიანებს მავნებლის საფარველსაც და მოქმედებს როგორც შხამი.

მცენარეთა დაცვაში საპონი სხვადასხვა მისნითაა გამოყენებული. ა) როგორც დამატებითი ნივთიერება, სხნარების ზედაპირულ დაჭიმულობის შესამცირებლად და შხამების გამოსაყოფად; ბ) ემულგატორად-მინერალური ზეთის ემულსიების დასამზადებლად; ვ) ცალკე ინსექტიციდი სხვადასხვა მწვეწნი მავნებლების (ტკიპები, უსილები, თრიფსები, ბუგრები), ზოგიერთ შემთხვევაში პლრღნელი მწერების, ყურძნის სიდაპლის, ნაცრის წინააღმდეგ. საპნები როგორც ინსექტიციდი გამოყენებულია 2-4%-იანი კონცენტრაციით.

მცენარეთა დაცვაში უპირატესად სამეურნეო საპონია გამოყენებული, რომელიც მაგარი კონსისტენციისაა, შეიცავს ცხიმს, ფისს, ნაფთენსა და ნატრიუმის მარილებს, არაცხიმოვან ნივთიერებებს, საბან თისებს, სოდას, სილიკატს და წყალს. სამეურნეო საპონს არ უნდა ჰქონდეს ცუდი სუნი.

ჩვენს მიერ მოპოვებული ლიტერატურული წყაროებიდან და სხვა მასალებიდან (მოსახლეობის მიერ მოწოდებული ცნობები) ჩანს, რომ საპნიანი წყალი გამოყენებული არის მახრების, ბუგრების, თრიფსების, ტკიპების, ცრუფარიანების, ღიღველას, ნაცრის წინააღმდეგ.

საპნის ემულსიის დასამზადებლად 100 ლიტრ გამთბარ წყალში სსნიან 10 კგ წვრილად დატრილ მაგარ საპონს, მიღებულ საპნიან წყალს უმატებენ 500 ლიტრ ცივ წყალს. კარგად ურევენ (აქაუებამდე) და იყენებენ სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ. ბუგრების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩატარდეს ფოთლების დახვევამდე (ფოთლები უხვევა ბუგრებით, დაზიანების შედეგად). ვინაიდან ფოთლების დახვევის შემდეგ ბუგრების კოლონიები ექცევიან დახვეულ ფოთლებში და სითხის შეღწევაობა გამწელებუ-

ლია (დაბალი მცენარეების შემთხვევაში ფოთლები შეიძლება ჩავეყურსოთ საპნიან წყლიან ვედროში).

10 ლიტრ წყალში გახსნილ 200-300 გ საპნის ხსნარს იყენებენ ბუკურებთან საბრძოლველად.

ა. ბელოლიპეცკის მონაცემებით საპნიან წყალს (10 ლიტრი წყალი, 200 გ საპონი) ასხამენ მახრების სახველელ ხვრელებში, ისე რომ ნიადაგი 8-10 სმ-ზე დასველდეს (ხარჯვის ნორმა 8ლ/მ²-ზე).

დნეპროპეტროვსკელი მ. შვეცოვი მახრებთან საბრძოლველად ურჩევს 50 გ საპნის გახსნას 10 ლიტრ წყალში მზის ამოსვლამდე ნიადაგზე მოსხურებას და ზედაპირზე ამოსულ მახრების განადგურებას.

ლუკოველი ა. ფედორენკო კენკროვანებში და ხეხილში ნაცრის წინააღმდეგ ურჩევს საპნის წყალხსნარის გამოყენებას (1 ლიტრ ხსნარს 1-1,5 გ კალიუმპერმანგანატი ემატება), სეზონზე 2-3 ჯერადი შესხურებით.

ლაგოდების რაიონის სოფელ შრომაში კარტოფილისა და ხახვის ნათესში მახრისა და სახვის ბუხის წინააღმდეგ რიგთშორისებში ნარეცხ საპნიან წყალს ასხურებენ (თ. ტაბატაძე).

ლ. კვინიხიძის მიერ მოპოვებული მახალეების მიხედვით ზესტაფონის რაიონში სხვადასხვა კულტურებზე ნაცრის წინააღმდეგ საპნიან წყალს იყენებენ, მას სხვადასხვა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ოთახის მცენარეებზეც სმარობენ.

საპონს შეუძლია გამოიწვიოს მცენარეების (ნაზი კულტურების) დაწვა (წყალში ჰიდროლიზის შედეგად თავისუფალი ტუტეებისა და სხვა მინარეების წარმოშობის გამო), განვითარების შეფერხება, შემწნეულია ყურპნის დამწიფების შესწერებაც. არის ცნობები იმის შესახებ, რომ ორანჟერეების მთელი რიგი მცენარეები ვერ უძლებენ საპნის შესხურებას.

საპნების ეფექტურობა დამკვიდრებულია მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე, დასველებისა და განმწვეთებლობის ინტენსივობაზე (კარგად უნდა სველდებოდეს მავნებლის საფარველი). საპონი ეფექტურია თბილ და ტენიან ამინდებში, ცხელ, მშრალ ამინდებში კი ეფექტურობა მცირდება (სწრაფად გაშრობის გამო).

საპნები მცენარეთა დაცვაში გამოყენებული უნდა იქნეს ზემოთ აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

3.2.15. ტორფი

ტორფი - საწვავი სასარგებლო წიაღისეულია. წარმოიქმნება ჭაობის მცენარეთა ნაშთების დაშლით ჭარბი დანესტიანებისა და თითქმის უსაქრობის პირობებში. აქვს რთული ქიმიური შედგენილობა, ერთგვაროვანი შრეებრივი სტრუქტურა. ტორფს გარდა საწვავისა იყენებენ, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოსაყვებად (ორგანული სახუქი). ტორფს ხმარობენ მცენარეთა დაცვაშიც, როგორც ლოკოისების გადაშობრავების დამბრკოლებელ საშუალებას; მშრალი ტორფი ტენიანი და ცივი ლაშქების პირობებშიც კი ლოკოისებისათვის ძნელად დასაძლევ დაბრკოლებას წარმოადგენს; გამოყენებისას ბოსტნეული მცენარეების ირგვლივ ქმნიან ტორფის მთლიან უწყვეტ ზოლს. (არ უნდა დარჩეს თავისუფალი ადგილები), რომელზედაც ლოკოისები გადაშობრავდებიან. ასეთ შემთხვევაში ისინი მცენარეებამდე კვლარ მიადწევენ და მცენარეებიც აღარ დასიანდება.



3.2.16. ტალკი

დაფქული ტალკი მიიღება მთის ტალკის დამუშავებით. იგი შექლის როგორც შექავსებული ინსექტიციდებსა და ფუნგიციდებში. ტალკის გამოყენებას ურჩევენ ბელლის მავნებლების წინააღმდეგ (ვარცის მსგავსად) სათესლე მარცვლისათვის ნორმით 4 კგ/ტ-ზე ზოშიერი ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში.



3.2.17. შარდი

შარდი თირკმელების მიერ გამოშუშავებულ (გამოყოფის პროდუქტია, გამჭვირვალე, ყვითელი, დამახასიათებელი სუნის მქონე სუსტი მუყე რეაქციის (4,8-8,0) სითხეა. შარდის შემადგენლობაში შედის წყალი, ორგანული (შარდოვანა, შარდმუკავა) და არაორგანული (მარილები) ნივთიერებები.

შარდს ძველთაგანვე (1755 წ) იყენებდნენ პურის სველი გუდაფუტას წინააღმდეგ. ა.ეპერგი მოცხრის დაავადების - სიქუჩქუჩისთან საბრძოლველად შარდის (0,5%) სამჯერად გამოყენებას ურჩევს.



3.2.18. ცხიმები, ეთერზეთები და ჟისები

ცხიმები წარმოადგენენ სამარაგო ნივთიერებებს, ისინი დიდი როლდენობით გროვდებიან მრავალი მცენარეების თესვლებში და ნაყოფებში. ცხიმების შემადგენლობაში გვხვდება ცხიმმუკავები: პალმიტინმუკავა, სტეარინმუკავა, ოლეინმუკავა, ლინოლმუკავა, ლინოლენმუკავა.

ცხიმების თვისებები განისაზღვრება ცხიმმუკავათა თვისობრივი შემდგენილობით, მათი როლდენობრივი შეფარდებით, თავისუფალ გლიცერინთან შეკავშირებულ ცხიმმუკავათა პროცენტული შემცველობით, სხვადასხვა გლიცერიდების შეფარდებით და ა.შ.

მცენარეული ცხიმები ან ხეთები მდიდარია უმძლარი ცხიმმუკავებით, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში ისინი თხევადებია ჩვეულებრივ ტემპერატურაზე. ასე მაგალითად, ხეთისხილის ხეთი წარმოადგენს ძირითადად ტრიოლექტს, ე.ი. მასში გლიცერინის სამივე პიდროქსილ ჯგუფი ოლეინმუკავას ნაშთებთანაა დაკავშირებული.

ცხოველური ცხიმები ჩვეულებრივ ტემპერატურაზე მყარია. ასე მაგალითად, საქონლის ქონი შედგება პალმიტინ და სტეარინ

მუავათა გლიცერიდებისაგან.

ცხიმოვან მცენარეულ ზეთებს (მზეუსმზირას, ბამბის, ზეთოუნის, არაქისის, სოის, სიმინდისა და სხვ.) იყენებენ კონსერვების, საკონდიტრო ნაწარმის, მარგარინის დასამზადებლად. ზეთისაგან ამზადებენ ლაქებს, იყენებენ მხატვრობაში, კოსმეტიკაში, მედიცინაში, მცენარეთა დაცვაში (რასედაც ქვემოთ გვექნება საუბარი) და სხვ.

ეთერზეთები და ფისები წარმოიქმნებიან და გამოიყოფიან მცენარეების განსაკუთრებულ ორგანოებში, კერძოდ: ეთერზეთები - ჯირკვლევან ბეწვებში, ქერცლში, ფისები კი - ფისის სადინარებში. ფისებში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ციკლოური მუავები, რომლებიც დიტერპენების წარმოებულეებია. ისინი შეადგენენ წიწვიან მცენარეთა ფისოვანი გამონაყოფის დაახლოებით ოთხ მეხუთედს. ფისების მიღების მიზნით ნაძვის ხელოვნურად დატრას გამოყენება ეწოდება.

ეთერზეთები და ფისები ხასიათდება განსაკუთრებული არომატით, რომლითაც განპირობებულია მრავალი მცენარის სუნი. ასეთი მცენარეების გამონაყოფი იწვევს მწერების მიზიდვას ან დაფრთხობას (გამოყენებული არიან როგორც მცენარეთა დაცვის საშუალებები). ზემოთ დასახელებულ საშუალებებს - ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს, როგორც მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს, ძველთაგანვე აქცივდნენ ყურადღებას, ამ მიზნით შესწავლილია ბამბის, სელის, აბუსალათინის, ქუნჯუტის, შალგისა და სხვა მცენარეების ზეთები.

მცენარეულ ზეთებს ჯერ კიდევ ჩვენ ვერამდე მეოთხე საუკუნეში იყენებდნენ. კერძოდ, თეოფრასტი მიუთითებდა ახალგაზრდა ხეების გასანადგურებლად ზეთუნის ზეთის გამოყენების შესაძლებლობაზე. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში კი პლინიუსი აღნიშნავდა სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ზეთუნის ზეთის, ფისის და ცხიმების გამოყენების შესახებ.

ძველად ზეთის ხილის გამონაწნეხის დანაღეკი გამოყენებული იყო მცენარეთა ავადმყოფობების (თესლის გაუღენთიო, როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება) და მავნებლების (ჭიანჭველები, ჩრხილები და სხვ.) წინააღმდეგ.


ჩვენს პირობებში ხეებს (ხეხილს) ასუფთავებენ მკვდარი ქერ-

ქისაგან, ასუფთავებენ ხეებზე არსებულ ფულუროებსაც და კარგად თითქმის გაუღწევად უსვამენ უმარილო ღორის ქონს და გარუდან სუფთა ჩვარს ასვევენ (მცენარეებს იცავენ ავადმყოფობების საწყისის შექრისაგან). ბურტყლა ბურგის წინააღმდეგ საჭმელი ზეთისა და ნავთის ნარევი (1:1) უსვამენ კარგად გასუფთავებულ ხის ტოტებსა და შტამბს.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე ბურტყლიანი ტილის-თეთრი ბუსუსის (ბურტყლა ბურგი) წინააღმდეგ ნავთითა და კირის ნათქვეფით წამლობის შემდეგ ურჩევს ტილიან ადგილებზე გამდნარი უმარილო ქონის წასმას (ქონს ტილი არ ეკარება).

ზამთარში კურდღლები სპირად აზიანებენ ხეებს, მათ საწინააღმდეგოდ იყენებენ ქონისა და ფისისაგან დაშხადებულ ნარევს, სამ ნაწილ ქონს, უმატებენ ერთ ნაწილ ფისს, აღნობენ ნელ ცეცხლზე და (თბილ მდგომარეობაში) უსვამენ ხეებს, შტამბზე სადამდეც კურდღელი შეიძლება შეწვდეს (ასეთ ხეებს კურდღელი აღარ აზიანებს).

ამგვარად ეს მწირი მონაცემებიც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, საჭიროების შემთხვევაში მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ცხიმებისა და ფისების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.



3.2.19. ცემენტი

სტავროპოლის მხარის „ბქმტაუს“ მიურნეობაში აღლებლის ხერხიას მაგლების (კვერცხიდან გამოსვლისას და ფოთლებზე დასახლებისას) წინააღმდეგ ცემენტის ფხვნილსაც იყენებდნენ (სამი წლის მანძილზე), ერთი დღის შემდეგ აღინიშნებოდა მავნებლების დაღუპვა. ცემენტის ფხვნილს სიმწიფის პერიოდშიც იყენებდნენ ნაყოფების წყლის მძლავრი ნაკადით კარგად გარეცხვის ფონზე.



3.2.20. ცხვრის ტყავი (მატყლით)

ბედლის მავნებლების წინააღმდეგ სშირად უბრალო ღონისძიების გამოყენებასაც მიმართავენ. აცივების შემდეგ ბელელში მარცვლეულის ხვაზე აყარებდნენ ცხვრის ტყავს (მატყლით ქვემოთ), პერიოდულად დილით აიღებდნენ, დაბერტყავდნენ და მავნებლებს ხოცავდნენ.



3.2.21. ცხელი წყალი

ხორბლეულის დაავადებების წინააღმდეგ ქერის ან შერის სათესლე მარცვალს 4 საათით ტომრებით ან კალათით ათავსებენ ხის ჩანებში, უმატებენ 20 გრადუს ტემპერატურის წყალს, შემდეგ გადააქვთ მეორე ჩანში, ემატება 48 გრადუსი ტემპერატურის მქონე წყალი. ხუთი წუთით დაყოვნების შემდეგ აშრობენ. ასეთი წესით დამუშავებულ თესლს თესავენ ან ინახავენ.

არის ცხელი წყლის გამოყენების სხვა ვარიანტიც:

უპირველესად მარცვალს რეცხავენ ხის როფში 25-28 გრადუსიანი ტემპერატურის წყლით, უხარისხო მარცვალი ამოტივტივდება, ასეთ მარცვალს აშორებენ, როფში დარჩენილ თესლს ტომრებით ან კალათებით 10 წუთით ათავსებენ 44-45 გრადუს ტემპერატურის, შემდეგ კი გადააქვთ 20 გრადუსიან წყალში, აშრობენ და დანიშნულებისამებრ იყენებენ.



3.2.22. ცარცი

ცარცი ზღვის წარმოშობის დანალექ ქანებს მიეკუთვნება. მცენარეთა დაცვაში გამოყენებულია როგორც დამატებითი ინგრედიენტი შემაჯსებელი, ხმარობენ ბელლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნითაც. მავნებლებზე ცარცის მოქმედება გამოიხატება მოძრაობის უნარის დაყარგვაში, ცარცს გამოშრობის თვისებაც აქვს. მას შეუძლია ერთის მხრივ დახოცოს ბელლის მავნებლები, მეორეს მხრივ შესაფერისი ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში მარცვალიც დაიცვას დასიანუბისაგან.

ტკიპებისა და ცხვირგრძელების (ბელლის) წინააღმდეგ გამოყენებისას დაცული უნდა იყოს მარცვლის ტემპერატურა (არანაკლებ 7 გრადუსისა) და ტენიანობა (14-15%). ხარჯვის ნორმაა 2-3 კგ/ტ მარცვალზე (მარცვლეული), ხახვისა და კომპოსტოს შემთხვევაში კი 10-20 კგ/ტ.



3.2.23. ძმარი

მაღალალკოლოლიანი ღვინისაგან მიიღება ძლიერ ცხარე გემოს ძმარი. 1,0178-1,-198 კუთრი წონის ძმარში შედის ექსტრაქტი 14,92-17,21 გ/ლ, შაქარი 6,07-7,74 გ/ლ, ღვინო მუჟავა 1,33-1,78 გ/ლ, ნაცარი - 2,56-3,36 გ/ლ, ძმარმუჟავა - 70,27-76,25 გ/ლ.

ძმარს კაცობრიობა როგორც კვების პროდუქტების საკვამს უხსოვარი დროიდან იცნობს; საღებურ მედიცინაში სამკურნალოდ, მცენარეთა დაცვაში კი მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ იყენებენ.

მცენარეთა დაცვაში ძმარის გამოყენების შესახებ ასეთ ინფორმაციას ვეაწვდის გაზეთი „ახალი სოფელი“ „ატამს, ქლიავს, ალუბალს ტანიდან ან გოტებიდან წმირად სდის წებო, რომელიც კარგად უნდა გაიწმინდოს (წებოსაგან), მოიბანოს ძმარით

და შეიხვეს ძმარშივე დასველებული ჩურით, სინესტის შესანარ-
ჩუნებლად ჩვარი ძმარში პერიოდულად უნდა დასველდეს“.

წებოს დენის წინააღმდეგ გ. ნახუცრიშვილი ძმრის გამოყენე-
ბის შესახებ აღნიშნავს „ხეები წვიმის შემდეგ კარგად უნდა
გასუფთავდეს წებოსაგან, როდესაც წებო დარბილდება ჯერ უნ-
და მოვაცილოთ წებო და შემდეგ ამ ადგილზე მაგარ ძმარში
დასველებული ჩოთქით უნდა წაუსვათ“.

ჩვენში ძმარს ამჟამადაც იყენებენ ვაზის მავნე ორგანიზმების
წინააღმდეგ მცენარეთა დაცვის სხვადასხვა საშუალებებთან ერ-
თად, როგორც ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს. კერძოდ 200
ლიტრ წყალს უმატებენ 10 კგ ლაფანის, 10 კგ კაკლის, 5 კგ
თამბაქოს ფოთლებს, 1 ლიტრ ძმარს, ასეთ ნარევეს აყოვნებენ
ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ გამოწურავენ, გაფილტრავენ
და ასხურებენ ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ (ინფორმა-
ცია მოგვაწოდა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოდან ნ. გი-
ორგაშვილმა).

დედოფლის წყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოდან მცე-
ნარეთა დაცვაში ძმრის გამოყენების შესახებ ინფორმაციას გვაწოდის
მ. მერაბიშვილი მარიამ ბუჩუკურის გადმოცემით 10 ლიტრ
წყალში აზავენ 10 ლიტრ ღვინის ძმარს და იყენებენ ნაცრის
წინააღმდეგ.



3.2.24. წყალნარევი ღვინო

გასეთ „ახალი სოფლის“ პუბლიკაციაში „ყურძნის ჭია“ მითი-
თებულია: „საუკეთესო საშუალებაა (ნაგულისხმევია ყურძნის
ჭიის მიმართ - კ.ბ.) ღვინო ნარევი წყალი. სულ უბრალო ღვინოს
ან თხლეს გაურევთ წყალში, სითხეს დაასხამთ ჯამებზე და აქა-იქ
ჩადგამთ ვენახში. პეპელას ძალიან უყვარს ღვინის სუნი, მიფრინ-
დება ჭურჭელთან, ეწაფება და იხრჩვება სითხეში“.



3.2.25. ხის ნახშირი

ხის ნახშირი მყარი, ფოროვანი მაღალნახშირბადოვანი პროდუქტია, რომელიც მიიღება მერქნის თერმული დაშლით, ხის ნახშირს იყენებენ გააქტიურებული ნახშირის წარმოებაში, საწვავად ყოფა-ცხოვრებაში; გამოყენებულია მცენარეთა დაცვაში აზინდას ნაქენის დასამზადებლად, როგორც დაშატებითი ნივთიერება, დაფქვილ ნახშირს იყენებენ 3-4 დღეში ერთხელ მცენარეებზე შესაფრქვევად, რაც ამცირებს კოლორადოს ხოჭოს კვერცხდებას.



3.2.26. ჭკარტლი

ჭკარტლი მცენარეული ან სხვა ნედლეულის დაწვის შედეგად გროვდება ღუმელისა და ბუხრის მიღებში, რომელსაც უძველესი რომის დროიდან იყენებდნენ მწერების, ჭიების, ლოკოინების წინააღმდეგ საბრძოლველად. ხავსების წინააღმდეგ ჭკარტლის გამოყენების შესახებ აღწერილი აქვს მოისუი კუკს 1676, ედვარდ ლაისელს კი 1757 წელს.

ა. ებერგის მონაცემებით, ლოკოინებისაგან ზოგიერთი ძვირფასი ყვავილოვანი მცენარეების დასაცავად, მცენარეების ირგვლივ (იზოლირებისათვის) ჭკარტლისა და კირის ორმაგ რგოლებს აყეთებდნენ. ასეთი წინააღმდეგობა-დაბრკოლების გადალახვა კი ლოკოინებს არ შეუძლიათ და მცენარეებიც აღარ ზიანდებიან.



თავი IV მცენარეთა გავრეკლავის წინააღმდეგ გავრეკლავ- ბული შელოცვები და ქართული ხალხური სამეურნეო წეს-ჩვეულებები

4.1. შელოცვები

ქართულ ხალხურ სიტყვიერებას შემონახული აქვს მონაცემები არა მარტო მცენარეთა მავნე ორგანიზმების შესახებ, არამედ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხალხურ საშუალებებზე შელოცვებისა და სხვათა სახით.

შელოცვა თავის მხრივ ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. ადამიანი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი უბედურებანი. ამისათვის კი სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შელოცვას მიიჩნევდა.

შელოცვების შესწავლასა და მის საფუძვლიან გაანალიზებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. მასში მოცემული საკითხები დღესაც არ კარგავს თავის ღირსებას. შელოცვები გამოყენების თვალსაზრისით ორი - სამკურნალო და სამეურნეო დანიშნულებისაა. ამის შესახებ პროფესორი მიხ. ჩიქოვანი წერს: „...შელოცვებს დანიშნულების მიხედვით ორ ნაწილად ვყოფთ: სამეურნეო და სამკურნალო ხასიათისა... შელოცვების მთელი რეპერტუარი მარტო ამ ორი ჯგუფით არ ამოიწურება. სისრელისათვის უნდა დავასახელოთ თემატყურად სხვადასხვანაირი შელოცვებიც: სატრფიალო, საოჯახო, სამოკზაურო და სხვა“. შელოცვებიდან თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალგვარობით გამოირჩევა სამკურნალო შელოცვები, რომელიც უფრო ღრმად შესწავლილი და გაანალიზებულია, ვიდრე სხვა - მაგალითად, სამეურნეო შელოცვები, რომელიც დარგის მახასიათებლის ნიშნის მიხედვით შეიძლება კიდევ დაიყოს ქვეჯგუფებად. რა თქმა უნდა, არავითარი პრეტენზია არა გვაქვს სამეურნეო და საერთოდ, შელოცვების კლასიფიკაციის შესახებ რაიმე ახალი ვთქვათ, მაგრამ გადავხედეთ რა ჩვენს მიერ მოძიებულ სამეურნეო დანიშნულების შელოცვებს, როგორც ამ საკითხით დაინტერესებულმა, მიზანშეწონილად ვცანი ყურადღება გამემახვილებინა და ცალკე განხილ-

ვის საგნად გამოიყენო შელოცვების ისეთი ჯგუფები, რომლებიც მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვას ანუ მცენარეთა „მკურნალობას“ ეხება.


შელოცვა ფოთლოვანი ხეებისა და მცენარეების განსხვავებით ყველაზე მეტ სიხსლოვანს პრაქტიკულ საქმიანობასთან და ყოფიერებასთან ამჟღავნებს. სამეურნეო შელოცვა თავის მხრივ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან, ჭირნახულის მოყვანასთან, მოსავლის მიღების სეზონის შემსუბუქებელ პირობებთან, წლის დროებთან, ამინდთან და სხვ.

სამეურნეო შელოცვებში მნიშვნელოვანი ადგილი შინაური ცხოველების დაავადებებისა და მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ არსებულ შელოცვებს ეკუთვნის. ჩვენ უპირატესობა მცენარეთა დასაცავად გამოყენებულ შელოცვებს მივაკუთვნებთ.



4.1.1. შელოცვა ბოსტნისა

უცხო პეპელი მოვიდა უცხო, უცხოთა ფერიო, მან მუხუნძკელი გვიშობა წაღმა-უკულმა მჭრელიო, არგანტებუცი წაგკარ გამრუდდა ვითა კერიო, მას მაცხოვარი შერისხნა, დაქარგა ვითა მტერიო. აზნაურო, მეცა მკითხე მეზონისა დიაცისა, ზურგსამცა ვინ დააკერა უკოდელისა მოზვრისა მისიძცა არის წამალი ზედა ნაცარი დაყრითა. მე ვილოცავ და ქრისტე კურნებს პატიოსანთა ჯვართა.



4.1.2. შელოცვა ჩიტისა

ჩიტები მოდიან ელვითა, ცეცხლი მოაქვთ პირითა, ღმერთო, ღმერთო ჩამოყარე ცხრა კლიტე კლიტოსანი, ჩიტებს შეუკარი პირი, ჩემს ყურძენს პირი არ ახლ ჩიტებმა, ჩემესხენი ჩემ ყურძენ გადადით ტყე-მინდორში, ჩემი ყურძენი დამრჩეს მშვიდობით.

კარტოფილი იხარშება ყურიან ქვაბითა, შიგ ჩაცვივდნენ მთელი ჩიტები დაიწვნი თავიანთი გვამითა. ცულსა თავის მოჭრილი ხე ტარათ გამოადგება, ჩემი ღოცვა ჩემ ყურძენ წამლათ გამოადგება. სახელო, სახელისაო, სახელით ღვთისა ჩემესხენი ჩიტები

ჩემს ვენახს, ჩემი ვენახი დარჩეს მშვიდობითა. ლოცვა ჩემი რგება, ღვთისა ღმერთისა. სამჯერ უნდა ახსენო ღმერთი (შელოცვა მოგვაწოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ბარბაქაძემ, რომელიც ჩაიწერა საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში მცხოვრები კატუშა როსტიაშვილისგან).



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში დაცული ლოცვების ტიპის ნიმუშები: „ჭია-ღუას ლოცვა“, „შავი ჭიის ლოცვა“, „პურის ჭიის ლოცვა“. „მატლის ლოცვა“ და სხვა ანალოგიური ლოცვები განსხვავებულია ზემოთ განხილული ლოცვებისაგან, უფრო ზუსტად შინაარსით, წყობით, შესრულების მანერით, შელოცვების მსგავსია. თუმცა ლიტერატურულ წყაროებში მითითებულია როგორც ლოცვები, მათი გამოყენებით პიროვნება ღმერთს შესთხოვს დახმარებას, შესთხოვს რათა მოგვემადლოს ის, რაც გვეჭირდება, ხშირად ევედრებიან თვით მაღალ ღმერთს, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, ხშირად ახსენებენ მათ და ამით ცდილობენ წარმოთქმული ლოცვები (შელოცვები) უფრო მეტად მტკიცე და სარწმუნო გახადონ; ჩვენს ინტერესს აძლიერებს ის, რომ ტექსტებში მოცემულია ხალხური საშუალებებით მცენარეთა „მეურნალობის“ რეცეპტები.


4.1.3. პურის ჭიის ლოცვა

სახელო, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩამოიარა ქრისტეს ნაწილმა უვილითა, ხივილითა, კივილითა. შემოუყარა ღვდა მარიამ - სად მიხვალ ქრისტეს ნაწილო, უვილითა, წივილითა, კივილითა? ერთმა შავმა ჭიამ, უწვერომ, უუღვამშომამ, პური შემეჭამა, ყმაწვილები მშიერი დამეხოცა. რა არის მისი წამალი? სამი გოჯი უზანი, სამი გოჯი ასკილი. შეკარ კბილი ჭიისანი, სამი კოფზი ძმარი, სამი კოფზი ნაცარი, დადე კენიტი მარილისა, შეკრას კბილიჭიისანი. სამ-სამი კოფზის პირი ძმარი, ნაცარი - ღვთისა მადლით არგებს. სამჯერ ძმრითა, ასკილითა, ნაცრითა, უზნითა და მარილის კენიტითა შეულოცე.



4.1.4. შახი ჭიის ლოცვა


სახელო, სახელითა ძისიას, მამისათა სულისათა წმიდისათა. პირშავმა შავმა ჭიამ დამიჭამა ხარით ნახნავი, კაცისა ნამუსუევა-რი. რა არის იმისი წამალი? შადექ ცივსა ქვაზედა, გადასძახე წმიდა ნინოსა, ის ვასწავლის იმის წამალსა. სამი გოჯი ნაცარი, სამი კბილი ნიორი, სამი კვინი მარილი, მერალა ბალახი, ნიგეზის ფოთოლი. შავტარა დანა პირბანა ხელითა, პირბანელა პირითა ეშველებს ხელთა. ღმერთო შენ დასწერე შენი პირჯვარი.



4.1.5. ჭია-ლუას ლოცვა

სახელო, სახელითა, მადლა შავდევ ციხესაო, გადავხედე ხმელეთსაო; კაცი მოდის, მოჭირის, მოჩივის, რა გაჭირებს, რა გაჩივლებსო? კაცის ნამუსუევარსა, ხართა ნახნავსა ჭია-ლუა მიჭამს. რა არის იმისი წამალი? ნიერის კბილი, მარილის კვინი, კაკლის ფოთოლი, მერალი ბალახი, ეს არის შენი წამალი.

მოსტრის კბილსა, ჩააწურებს თვალში. ეს არის მაგის წამალი.



4.1.6. პურის ტილის ლოცვა

სახელო, სახელითა ძითა, მამითა, სულითა წმიდითა, აველ, აველ კიბეზედა, აველ, აველ ციხეზედაო, გადავდექ, გადავძახე, სიკო ბიჭო ნინოსედა, მოვიდა ალური, დაგვიჭამა სეფის კვერი. რა არის მაგის წამალი? ნიგეზის ფოთლის კვინი და მას დააყრი მურსა და ის გააქრობს ტილსა. ღმერთო შენ არგე და შენ აწამლე და შენ მოჰკიდე ჩემი ლოცვა.



4.1.7. ჭიის ლოცვა

სახელო, სახელითა, ღვთითა მამითა სულისა წმიდისა, შავი-ლოცავ ჭიასა უსულოსა, უგულოსა, უთმოსა და უყუროსა. დავ-

ცემ ბარსა, მოგჭრი თავსა, მივცემ ზენარსა წავაღებინებ ქვენარსა. ღმერთო, არგე და აწამლე ღოცვა ჩემი ჭიასა.




4.1.8. მატლის ღოცვა

სახელ, სახელითა, მამითა, ძითა სულისა წმინდათა, ფოთოლი ჭინჭრის, ფოთოლი ნიორის, მარილი. შავტარა დანა. შავკარ პირსა მატლისასა, გასცვივდეს ქერის ქატოსავითა.



4.1.9. ჭიანჭველის ღოცვა

შავო მოდი, შავითა, შავითა და ბნელითა, შავოს პირი აუხვიე, შავი აბრეშუმის ძაფითა.



4.1.10. ჭიანჭველის ღოცვა

შავი შოვა შავითაო, შავი პიხუ პიხუთაო, შავსა პირი აუხვიე შავი აბრეშუმითაო, იარე მიარე, ჩემი, აბრეშუმო აღარ გამიზიარო, შენი გ'სა აქ არაა, კარში გადაიარე.



შელოცვები ყველაზე მეტად პრაქტიკულ საქმიანობასთან, ყოფიერებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ხშირად მკურნალობის რეცეპტი სხვა სახეს ღებულობს. მაგალითად, ვენახის შელოცვისას სვამენ კითხვას: „რა არის ამის წამალი? ცხრა ჭინჭრის ფოთოლი, ცხრა ატმის ფოთოლი, შავტარა დანა შაბიამანი“, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ფოლკლორში შელოცვის უცვლელი ტექსტი არ არსებობს, არამედ ის განიცდის ცვლილებას, განახლებას, შევსებას, მას ემატება ახალი პრაქტიკული საშუალებები. ამ შელოცვაში ძველ ხალხურ საშუალებებს დაემატა ახალი შაბიამანი, ეს კი მიუთითებს დროის შესაბამისად შელოცვების ცვალებადობაზე.



4.2. ძარბოული ხალხური სამეურნეო წეს-ჩვეულებები

ჩვენში ძველათაც და ამჟამადაც ადამიანი სხვადასხვა ღონისძიებას იყენებდა მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ, რომელიც სმირ შემთხვევაში ცნობილი იყო და ტარდებოდა ამა თუ იმ ხალხური სამეურნეო წეს-ჩვეულებების სახით. თუმცა, უშუალოდ მცენარეთა დაცვის ღონისძიებად არ იყო ცნობილი, მაგრამ თავისი შინაარსით ჩატარების ტრადიციით და ხასიათით როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება, მცენარეთა დაცვას ემსახურებოდა (ძველად ტერმინი „მცენარეთა დაცვა“ არ იყო ცნობილი და არ იხმარებოდა). ამ წეს-ჩვეულებების ჩატარებით ადაპირდნენ სწამდა, რომ ესა თუ ის მავნებელი ნათეს-ნარგაობას, ჭირნახულს (ღონისძიების ჩატარების შემდეგ) ზიანს არ მიაყენებდა, ან დაპურების შემდეგ შეამცირებდა მავნეობას (ჩიტები). მცენარეთა დაცვის მიზნით გამოიყენებული სამეურნეო წეს-ჩვეულებებიდან ცნობილია „გამოთავგობანა“, „ჩიტთა ფაფობა“, „ჭიაუყოლობა“ და სხვ.

4.2.1. გამოთავგობანა

„გამოთავგობანა“ ჩვენში ყარბოდ გავრცელებული წეს-ჩვეულებაა, რახელაც მიანიშნებს ის ფაქტი, რომ იგი სხვადასხვა „გამოთავგობანის“, „თავგობის“, „თავგობთავგობანას“, „თავგობთავგობის“ სახელებითაა ცნობილი (თუმც სახელწოდებაში არსებითი განსხვავება არ არის), ამასთან მისი ჩატარების ხასიათი, ვადები, ერთმანეთისაგან მცირედაა განსხვავებული, მაგრამ მისი ჩატარების მიზანი ყველგან ერთი და იგივეა - სახლიდან, ეზოვარემოდან თავგების განდევნა.

მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მცხოვრებმა მ. გიორგაშვილმა მოგვარწოდა მარიამ ბუჩუკურის ნაამბობი „გამოთავგობანას“ (ამჟამადაც ტარდება) შესახებ, რომელიც ბინიდან, სადგომებიდან, კარ-მიდამოდან თავგების განდევნას ითვალისწინებს: „ღონისძიება ყველიერის კვირას უკავშირდება; დიასახლისები აცხობენ ქალებს, ბავშვები ჭრიან ასკილის ეკლიან ტოტებს, მასზე წამოაცვამენ ქაღის ნაჭრებს, შებინდებისას უფროსები ღოცუ-

ლობენ, ღმერთს შესთხოვენ, რომ თავებმა ქადის ნაჭრები შეკა-
მონ და მოსაუვალს ზარალი არ მიაყენონ; სამჯერ იმეორებენ
სიტყვებს „გამო თავგო, გამო რწყილო, შინ შემოდი ანგელოზო“,
ბავშვები უივილ-ხივილით შედიან სახლის ყველა კუთხე-კუჩქულ-
ში, საღვამეში, კარ-მიდამოში და ასრულებენ თავების განდევ-
ნის რიტუალს, შემდეგ ქადიანი ჯოხები მიაქვთ შორს მინდორში
მიწაში ჩაარტობენ, მეორე დღეს დილით მიდიან ამოწმობენ, თუ
ჯოხებზე ქალები აღარ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ თავებმა
მათი ბინა, კარ-მიდამო დატოვეს. რიტუალის შემდეგ ოჯახის
უფროსები ანთებენ სანთლებს, ლოცულობენ და ოჯახის ყველა
წევრი ჭამს ქადას“.

გორის რაიონის სოფელ შინდისში ამ წეს-ჩვეულებას „თავო-
თავობას“ ეძახიან. აი, რას გვიამბობს მარინე საბანაძე: „თავო-
თავობა“ ხალხური დღესასწაულია. შიდა ქართლში იცის. მოძ-
რავია, აღდგომამდე 47 დღით ადრე ყველიერის ბოლოს არის, ამ
დღეს ცერემონიალი ასეთია: წინა დღით ან იმ დღით, როცა
თავოთავობა მოჭრიან ასკილს, დააცხობენ ლობიანებს ან გულის
ქალებს და ბავშვებს ყველას ოჯახში თავისას სათითაოდ დაური-
გებენ, რომ მოსალამოვდებო, ცოცხა მობინდებო იწყება თავების
გაღება ოჯახიდან. ბავშვი შემოიტანს სახლში ამ ასკილის ეკლიან
ჯოხს, აიღებს ხელში გაშლემცხვარ ქადას და გამორეკავენ სახლი-
დან თავებს ასეთი სიტყვებით: „თავო, თავო გამოდი, ანგელოზო
შემოდი“, იმეორებენ რამდენიმეჯერ, გარეკავენ თავებს საღმე
სოფლის გარეთ“.

„გამოთავობანას“ ჩატარების შესახებ ღუშეთის რაიონის სო-
ფელ მჭადიაჯერიდან ნინო ლაშაურის ჩანაწერს გვაწვდის გოგი
კენტილაძე: გამოაცხობდნენ ტკბილ გულიან ქადას. მისცემდნენ
ბავშვს ამ ქადას და ასკილის ტოტს. ეს ბავშვი შემოივლიდა
შენობის ყველა ოთახს და ამბობდა „თავგო, თავგო გამოდი
ანგელოზო მობრძანდი“ ასე მეორდებოდა რამდენიმეჯერ, შემ-
დეგ ამ თავებს მირეკავდა ისეთ ადგილას, საიდანაც უკან ვე-
ღარ დაბრუნდებოდნენ არტობდა იქვე ასკილის ტოტს ეკლებზე
უკეთებდნენ პატარ-პატარა ქადის ნაჭრებს, ქადის ნარჩენს იქვე
შეკამდნენ და ისე მოდიოდნენ სახლში. გარეკვის პროცესში იყ-
ვნენ მოსრდილები და ცდილობდნენ ბავშვი უკან მოეხდინებინათ,
მაგრამ მტკიცე ნებისყოფის ბავშვი არ მოიხედავდა და თუ მოი-

ხელავდა თაგვები გამოიქცეოდნენ უკან და ასე კრძელდებოდა, იცინოდნენ თუ რომელიმე ბავშვი მოიხელავდა, აღნიშნებდნენ და სპირ შემთხვევაში სუსტი ნებისყოფის ბავშვი ტიროდა კი-ღმც“.

დუშეთის რაიონის სოფელ არახვეთში „გამოთავობანას“ ჩატარების შესახებ გოგი ბურდული ეთერი ჯადმაიძის ნაამბობს გადმოგვცემს: „რიტუალი ტარდება ყველიერში ჩიტფაყობის შემდეგ კვირა დღეს. ბავშვები დაახვევენ ჯონხე ჩალას და შემოუვლიან მთელს სახლს, ყველა ოთახს, ყველა კუთხეს და იძახიან: „გამოთავო, გამო რწყილო, ანგელოზო შენ შემოიდი“. შემდეგ უკან მიუსხედავად (აუცილებლად) მიდიან და უკაცრიელ ადგილას გადაყრიან ამ ჯონხებს. შემდეგ ჰამენ სახლიდან გატანებულ ერბოიან პურს ან მოხარშულ კვერცხს და ბრუნდებიან სახლში. ამ დღეს არ შეიძლება არანაირი სათავსოს გაღება (სეივრი, შკაფი, ხორბლის ან ფქვილის შესანახი და ა.შ.)“.

ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონში „თავოთავობის“ ჩატარების შესახებ ასეთი ჩანაწერი ვააკეთა მიხეილ ფაჭიშვილმა, რომელიც მან ელენე ფაჭიშვილისაგან მოისმინა: „თავობანა ტარდება ჩიტთა ფაფობის დამეს. ბიჭი სახლის კედლებს შემოუვლის წვეპლით-ჯონხით, რომელსაც კედლებზე სცემს და თან ამბობს: „თავნო, თავნო გარეთა, ანგელოზო შინა“, ამბობს რამდენჯერმე „გაპყრის“ თავებს გარეთ კეტავს გატეხავს სამ ნაწილად და გადაუგდებს თავებს - „აჰა თავგო ჩემი წილი, შეგეყაროს ჩემი ჭირი“ - იმეორებს სამჯერ“.

აღნიშნული ღონისძიების შესახებ „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარში“ მითითებულია, რომ ყველიერის პარასკევი გუდამაყარში თავის უქმე დღე იყო. ჯონხს ჩალას გაუკეთებდნენ, თავის უღვაშების მსგავსად. სახლს წადმა ჩამოუვლიდნენ და ამბობდნენ „გამო, თავგო, გამო რწყილო, ანგელოზო შინ შემოიდი“. შემდეგ ამ ჯონხებს ბავშვები სოფლის განაპირა წაიღებდნენ და იქ დაყრიდნენ, თუ ვინმე დაუძახებდათ, უკან არ უნდა მიეხედნათ - თავგები უკან მოგვიბრუნდებიანო“.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული არის „თავობის“ ჩატარების ასეთი შინაარსის შემცველი ხელნაწერი: „დიღაადრიან მოჭრიან ბავშვები ასკილის ჯონხს. გამოვაცხობთ ქადას, ერთ ბიჭს

ასკილის ჯოხი უჭირავს, ქადიანი ბავშვი კი მისდევს და იძახის მიაუ, მიაუ, მითამ კატა არის რომელსაც ჯოხი უჭირავს ის ყვირის:

„თავო, თავო, გამოდი, ანგელოზო, შეპოდი გოგოებო, გარეთ გადით, ბიჭო, შეპოდი“.

და თან სახლის უკვლის შიგნიდან გარშემო და კედლებს უბრა-ხუნებს. კარებში რომ გამოვა, ფეხში მუუუზაღს ვესვრით. მერე იმ ჯოხს წაიღებენ მინდორში იმ ასკილის ჯოხს დაარტობენ ქადის პატარა ნატერს და მიწაში ჩაარტობენ, იმ ქადას კი იქვე შეჭამენ. იმ ჯოხს გაქყება თავვი“.

აი, კიდევ ერთი ჩანაწერი: „ეს რიტუალი ტარდება დიდი მარხვის წინა კვირაში. მას „თავო-თავობანას“ უწოდებენ. სა-ღამოს ამზადებენ ვანშამს და საგანგებოდ ამ რიტუალისათვის აცხობენ სამ კოკორს, მოკრიან სამ ასკილის ტოტს. გამოიტანენ პურმარილს გარეთ, რის შედეგადაც მარნებიდან და სარდაფი-დან მოყოლილებული სახლის ყველა კუთხე-კუნტულიდან ასკილის ტოტს ურტყამენ და ამბობენ: „თავო, თავო გამოდი, ანგელოზო შეპოდი“. მთივლიან მთელ სახლს ეხო-კარმიდამოს და დენიან თავყებს სახლიდან მოშორებით“.

მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში „გამოთავობანას“ ჩა-ტარების შესახებ რამაზ ქვათაძე ელენე დიღმელაშვილის ნამ-ბობს გადმოგვცემს: „ადღომის წინა დღეებში ამ დღეს ოჯახის დიასახლისი აცხობს ტკბილ ქაღებს, ბავშვებს კი გამზადებული აქვთ გრძელი ასკილის ტოტები, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის მოჭრეს, შემდეგ ამ ასკილს გრძელ ტოტებსე ბავშვები აგებენ ტკბილი ქადის ნატერს წვეროზე და ეკლებზე. ყოველივე ამის შემდეგ ბავშვები შედიან რიგრიგობით სახლის ყველა ოთა-ხეშში და ყველა ოთახის კუთხესთან მიაქვთ ასკილის ტოტის წვერი და იძახიან შემდეგ სიტყვებს:

„გამო თავო, გამო რწყილო,
ანგელოზო შინ შეპოდი“.

ამ სიტყვებს კი რამდენიმეჯერ იმეორებენ, აგრეთვე სახლის ბნელ კუთხეებშიც მიდიან და იმავე სიტყვებს ამბობენ. ყოველივე ამის დამთავრების შემდეგ ოჯახის დიასახლისი ბავშვებს კვლავ დაურიგებს ტკბილ ქაღებს, რომ ბავშვებმა შეჭამონ. მიდიან ოჯა-ხიდან მოშორებით და ასკილის ტოტებს გადაყრიან იმ ტკბილ

ქადებთან ერთად, რომლებიც ტოტემზე იყო ჩამოცმული, რომ შემდეგ ეს ტკბილი ქადის ნაჭრები ამ ოჯახიდან გამოსულმა თავებმა შექამონ. ყოველივე ეს გამოთავობანა კი შემდეგნაირად აიხსნება. როდესაც გასაყენული დადგება, სახლებში ჩაბუღებული ავი სულები უნდა გაპოაძევონ გარეთ. ეს ასრი გადატანლია იმ სიტყვებში, რომლებსაც ბავშვები იძახიან. თავგში და რწყილში გაიგივებულია ავი სულები“.

სხვათაშორის, ასკილის ეკლიანი ტოტემი სშირადაა მოხსენიებული ხალხურ საშუალებებში, როგორც ავი სულებისაგან, ეშმაკებისაგან, კუდიანებისა და მცენარეთა მავნებლებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალება, მაგალითად „ქართლში ძველად ბეღლის კარის თავზე აღდგომის დიდ სუთშაბათს ასკილის ეკლიან ჯოხს გადაუდებდნენ, რომ ბეღლს ავი ძალები ავი თვალი არ მიქარებოდა“ ან კიდევ გავიხსენოთ ნ. ლომოურის „ქაჯანაში“ დედისა და ქაჯანას დიალოგი: „დედა, აი, დაიძახა ქაჯანამ, - ე ერდოი-დამ რომ ჩამოვიდნენ?“

აგერა, შვილო, უპასუხა დედამ, აი, ჯვარედინად როა ერდოში გადებული-გამოდებული ეკლიანი ასკილები, იმიტომ გააკეთა წელან მამაშენმა, რომ ვეღარ ჩამოვიდნენ იქიდანა... ჯვრისა და ეკლისა ძლიერ ეშინიათ კუდიანებს“.

აქ მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ეს ჩვეულება „თავობა“, „გამოთავობანა“ დღემდეა შემორჩენილი და მცირედი განსხვავებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ამჟამადაც სრულდება, რაც შეეხება ასკილის განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ მივაქციეთ, რომ შემოთ აღნიშნულ ჩანაწერებში ამ მცენარის ტოტემი (ჯოხები) ფიგურირებს როგორც თავგების განდევნის ერთ-ერთი საშუალება.



4.2.2. ჩიტთა ფაფობა

ადამიანმა იცოდა რა გარეული და შინაური ფრინველების როლი მცენარეთა მავნებლების რიცხოვრივობის და მავნეობის შემცირების საქმეში უფროსილდებოდა კიდევ მათ. აი, რას წერს ამის თაობაზე გასეთი „ახალი სოფელი“ „გლენმა უნდა იცოდეს, რომ ჩიტი დიდ დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას:

თითქმის ყოველი ფრინველი მოსისხლე მტერია ყველა ჭია-ღუე-ბის და მატლების; იმ მატლების და პეპლების, რომლებიც აუარებელ ზარალს აყენებენ ჭირნახულ და მიწის სხვა მოსავალს, არიან ფრინველები, რომლებიც მხოლოდ ბუხებით, ჭიებით და პეპლებით იკვებებიან; ამით მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ გლეხებისათვის. მართალია, ზოგი ჩიტი ჭირნახულს ჰყენავს, მაგრამ ჩიტი კაცის ნაშრომს იმდენ ზარალს არ მოუტანს, რომ ათჯერ ასჯერ მეტი სარგებლობა არ მისცეს. ამისათვის ჩვენ არა თუ უნდა ვკლავდეთ ჩიტებს, არამედ ხელს უნდა ვუწყობდეთ მათ გამრავლებას“.

აღამიანი ძველთაგანვე აქცევდა ყურადღებას ფრინველებს (ჩიტებს), როგორც მავნებლებთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას, თუც არ იფიქვებდა მათ მავნებასაც. მაგალითად, ბელურა ზარალს აყენებს მარცვლეულ, ტექნიკურ და ბოსტნეულ კულტურებს, აზიანებს ბაღებს, სპობს აღუბაღს, ბაღს, ყურძენს, აფუჭებს სხვადასხვა ნაყოფებს, ანადგურებს ბედლებში მარცვალს, ავრცელებს ბელლის ტიპებს. გარდა ამისა, ავრცელებს შინაურ ფრინველთა დაავადებებს (ქათმის ხოლერას, ფრინველთა დიფტერიის და პარაზიტებს). ბუდობის პერიოდში ერთგვარი სარგებლობა მოაქვს სხვადასხვა მავნე მწერების მოსპობით.

ფრინველების მიერ მიყენებული ზარალის შემცირებისა და მათი გამრავლებისადმი ხელშეწყობის მიზნით აღამიანი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ჩვენში გავრცელებული ხალხური წეს-ჩვეულება „ჩიტთა ფაფობა“.

ქართლში აღნიშნული წეს-ჩვეულება „ჩიტთა ფაფობით“ იყო ცნობილი, რომელიც სრულდებოდა ყველიერის კვირას. მოხარშავდნენ ხორბლის ან სიმინდის ფაფას, ზოგს თვითონ ჭამდნენ, ზოგს კი ნაფოტსუ დადებდნენ და ღობეებზე შეშობდნენ თან ეტყოდნენ ჩიტებს: „ჩვენ ყანას ნუ შეჭამთ, ეს შეჭამეთ“ (ინფორმაცია მოგვაწოდა მ. ბერუაშვილმა).

პროფესორი ი. საათაშვილი იჯანებს ბავშვობის პერიოდში გორის რაიონის სოფელ სვენეთში გამართული წეს-ჩვეულების „ჩიტთა ფაფობის“ შესახებ. მისი გადმოცემით „ჩიტთა ფაფობა“ სვენეთში მარტის თვეში ტარდებოდა. ფაფის დასამზადებლად კარაქის გადადნობის შემდეგ დარჩენილ ნარჩენს უმატებდნენ პურის ფქვილს და ადუკებდნენ, შემდეგ კი გოგრის ქერქით,

ნაყოფიერ, კრამიტით თიფქმის ნატყენით ცხელ-ცხელ ფაფას ეწოში თონის თავსე, საფინხესე, საბძელზე ათავსებდნენ, რომლითაც ჩიტები იყვებებოდნენ“.

ყაზბუჯის რაიონის სოფელ სიონის მკვიდრის ელენე ფაჭიშვილის ნაამბობი: „ჩიტთა ფაფობის“ შესახებ მოგვაწოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა მისიელ ფაჭიშვილმა. აი, როგორ ტარდება ეს ღონისძიება სოფელ სიონში: „ჩითაფაფობის დღესასწაული აღდგომის დღესასწაულთან ერთად მოძრაობს. ეს ივანე ნათლისმცემლის დღესასწაულს, ბავშვების დღეს უკავშირდება და დღესასწაულს ბავშვები ზეიმობენ ძირითადად, საღამოს სახლის დიასახლისი ამზადებს სამ ცალ პატარა ხაჭაპურს, მერე ადუღებენ ქაშს (ფაფა), ერთ კოვს ქაშს კი გაიტანენ გარეთ, გაიტანენ ცოტაოდენ რძეს და დაუდგამენ ჩიტებს, რომ „კარგი მოსავალი მოვიდეს“. ხაჭაპურს დაჭრიან და ილოცებიან, სანთელს აანთებენ და კიდევ დაილოცებიან (ევედრებიან ივანე ნათლისმცემელს). ამის შემდეგ ბავშვებს გაიყვანენ გარეთ აივანზე ან ეწოში და ახხამენ სამ წვეთ რძეს მკლავზე. ეს ნიშნავს ივანე ნათლისმცემლის ბისანებას (წითელა, ქუჩთრუშა, ყვავილი) და საერთოდ, ივანე ნათლისმცემლის ავადმყოფობები რომელსაც ბავშვები მოინდიან სოლმე, გადაიტანენ იოლად, ადვილად. ამ დროს რძე აუღუღებელი უნდა იყოს.

ამ საღამოს ოჯახის ყველაზე პატარა ბავშვები გამოდიან გარეთ - აივანზე, შეკყურებენ ცას, რომელიც ამ დღესასწაულზე ხშირ შემთხვევაში მოყამება და ვარსკვლავებითაა მოჭედოლი და ყვირიან შემდეგ ფრასას: „ვარსკვლავ, ვარსკვლავ გამოდი დედა კუტაპს მიკეთებს“ და იმეორებს სამჯერ ან უფრო მეტჯერ. შემდეგ შემოდის სახლში და დედას ან ბებიას თუ ვინ ჰყავს სახლში დიასახლისი, ეკითხება შემდეგნაირად:

„დედავ, დედავ რას აკეთებ?

- ჩიტფაფასო,

ჩემი ჯამი სად არის?

ზეო თაროსაო“.

და მიუთითებს მისთვის განკუთვნილ ჯამზე.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ბურდულმა მოგვაწოდა ეთერ ჯაღ-

მაიძის ნააძბობი დუქეთის რაიონის სოფელ არახვეთში ჩიტფაფობის ჩატარების შესახებ: რიტუალი ტარდება ყველიერის დამდეგს, პირველსავე ორშაბათს. ოჯახის დიასახლისი აყუთებს სიძინდის ფაფას. ამ დროს ოჯახში პატარა გადის ოთახიდან, დგება ფანჯარასთან და დიასახლისსა და პატარას შორის იძარბება შემდეგი დიალოგი:

დედავ, დედავ რას აყუთებ?

ჩიტთა ფაფას გენაცვალე.

- მე კი არ მაჭმევ?
- გაჭმევ ცოტასა.
- რატომ ცოტასა?
- ბევრსა, ბევრსა ცის ოდენასა.
- ჩემი ჯამი სადა დგას?

‘ხემო კერასა

‘ხედ რა ახია?’

- ერბო მრავალი.
- ჩიტნი ვის ყანსა ჰკენენ?

კეკიანთასა.

დათენი ვის ყანსა რევენ?

დათვიანთასა.

თაგენი ვის გაიდრებს სტრიან?

კვირტარგანათსა”

‘შემდეგ დიასახლისი გაიტანს ფაფიან ჯამს იქ, საიდანაც ბავშვი იძახის, ბავშვი ჭამს ამ ფაფას, აანთებენ სანთელს და დალოცვენ ოჯახს.

ხალხური სამეურნეო წეს-ჩვეულებები შესაბამის ასახვას ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც კპოულობდა, კერძოდ, ვაჟაფშაველამ მას მიუძღვნა ლექსი „ჩიტთა ფაფობა“; ლექსში საინტერესოადაა ასახული ღონისძიების მიზანი: „ჩიტთა ფაფობის“ არსი თავისებურია ერთი მხრივ, იგი ემსახურება ჩიტების დაპურებას, რომ არ დაახიანონ მთელი წლის მანძილზე ადამიანის ნაშრომ-ნაამაგარი, მეორე მხრივ ადამიანმა იცის, რა მათი მნიშვნელობა მცენარეთა მაკენებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, იგი ცდილობს გაუფრთხილდეს და მათ შინაწოდოს დამატებითი საკვები.

ლექსი ‘შინაარსით იმდენად ახლოსაა ხალხური სიტყვიერების

ნიმუშებთან, ისეთი სისუსტით და მიმზიდველადაა აღწერილი ხალხური წეს-ჩვეულებების მომზადება-ჩატარება, მისი მნიშვნელობა, რომ საჭიროდ ვცანით ნაშრომში ზოგიერთი ეპიზოდის ჩართვა (თუშეცა ეს ლექსი მხატვრული ნაწარმოების შესანიშნავი ნიმუშია). ლექსში „ჩიტა ფაფობა“ ვაჟა-ფშაველა ერთმანეთთან ასაუბრებს ბელურებს, ამ საუბრიდან ჩანს იმ მნიშვნელობის შესახებ, რასაც ისინი ასრულებენ მავნე მწერების განადგურების საქმეში მოუსმინით მათ:

“არ ვიქნებოდით მთელანი,
რომ იგივე ადამიანი
არა მხედავდეს რგებასა
ჩვენგანა, შეუბრალეზლად
ის დაგვიწყებდა ულექსა.
მაგრამ მან იცის, რომ ჩვენა
მაენეს ვჭამთ ჭია-ლუასა.
ბოსტნეულსა და ყანასა
რანიც აცლიან ყუათსა.
კაცი ჩვენს გასაულეტადა
იმიტომ ამბობს უარსა“.

ადამიანი, გარდა ჩიტების მიერ მოტანილი სარგებლობისა, კარგად ხედავდა იმ მავნეობასაც, რასაც ისინი აყენებენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოსავალს მინღერისა თუ შესახვის პირობებში, ჩვენში დამკვიდრებული იყო (თუშეცა ამჟამადაც ატარებენ ამ ღონისძიებას) ჩიტთა ფაფობას ჩატარების პრაქტიკა; როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველა კარგად იცნობდა ჩიტთა ფაფობის ჩატარების წესებს, რაზეც ეს ლექსი მეტყველებს. ჩიტთა ფაფობის ჩასატარებლად ოჯახში წინასწარ ემზადებიან ოჯახის დიასახლისი კეკელა ცდილობს არ დაარღვიოს ტრადიციად ქცეული წესი, რათა მისი დარღვევა ღვთის რისხვად არ ექცეს:

„დღეს სულ სსვა მოვალეობა
კეკელას აწევს კისრადა.
ჩიტთა ფაფობა-დღე იყო,
იმიტომ არი ფხისლადა:
წესს არ უმტყუნოს და ღოცვა
ღვთისა არ ექცეს რისხვადა
ფაფა აღუღდა, რადგანაც

რჯულია მიმა-პაპური.
კიკელას თავის ოჯახზე
ფხისლად უჭირავს თვალ-ქერი,
ცდილობს, არ დაუწიანოს
ნიტებმა ფეტი და პური.
კიკელამ მიღუღებული ფაყით დაფარა:
ნაფოტი, სიპი, აგური,
ან კრამიტისა ნატეხი,
ყველა გაგლისა ფაფითა,
რაც დარჩა, ისიც პირდაპირ
კალოსე დადგა ტაფითა
ბანის პირები მოყირწყლა
ნიტთ სამასპინძლო ტაბლითა“.

რაწამს კიკელა მოშორდა ფაფიან ბანის პირებს, ჩიტებიც
სწრაფად შეესივნენ ფაფიან ადგილებს, მაგრამ მასთან არ უშ-
ვებდნენ ტყიდან მოყურენილ ფრინველებს, აცდებდნენ და ეუბნე-
ბოდნენ:

„სოფლად რა გინდათ,
წადით, ჩაპბარდით მინდვრებსა“.

დამშეული ჩიტები კარგად გამოძინენ, ნავარდობდნენ, ხა-
რობდნენ:

„ინავარდებდნენ გულებსა,
და მასპინძელი იმით, რომ
იმადლიერებს თულებსა:
ჩიტები არას ავნებენ
იმის ყანას და პურებსა“.

დაპურებულმა, კარგად გამოძინარმა, კმაყოფილმა ჩიტებმა
ერთი ხმით შემოსძახეს ქართლ-კახური, ხეური:

„ვინც ჩვენში ვინმე ცუდი თქვას,
კაცზე, ის იყოს წყეული,
ის იყოს საუკუნოდა
ჭივჭვებში გამორჩეული!“
ამას მღეროდა დიდის ხმით
მთელი ჭივჭვების კრებული.
ბევრს ამგვარს ამბავს ინახავს

ჩვენი ცხოვრების რვეული“.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, „ჩიტა ფაფობა“ საკმაოდ გავრცელებული წეს-ჩვეულებაა. მისი ჩაატარების პრაქტიკა ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებულია, მაგრამ მიზანი ყველგან ერთნაირია და ეს წეს-ჩვეულებაც მავნეობის მომტანი ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს.



4.2.3. „ჭიაკოონობა“ მცენარეთა ღაცვის პროფილაქტიკური ღონისძიება

კაცობრიობა დასაბამიდანვე სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს აყალიბებდა, რომელიც მისი არსით, დაკავშირებული იყო მის ყოფით პირობებთან და ყოველდღიურ საქმიანობასთან, ერთ-ერთი „ჭიაკოონა“. „ჭიაკოონა“, „წია-კოოლასგან“ მომდინარეობს. „წია-“ ცეცხლია იბერიულ-კავკასიურ ენათა მთის მონაცემებში. „კოოლა“ კოლ კოლა-საგან მომდინარეობს, კონუსისებურად ამაღლებულს, აუკოლავებულს ნიშნავს. დროთა განმავლობაში „წია-კოოლა“ „ჭიაკოონამ“ შეცვალა. ჭიაკოონობა ცეცხლით განწმენდის დღეობა, დამყარებულია უძველეს წარმოდგენაზე ცეცხლის, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო და ყოველგვარი უწმინდურისაგან გამწმენდი ძალზე. „ჭიაკოონობა“ სხვადასხვა ხალხში წელიწადის განსხვავებულ დღეს აღინიშნებოდა, საქართველოში დიდ ხუთშაბათს ან დიდი ხუთშაბათის წინა საღამოს იმართება. როგორც აღვნიშნეთ, ჭიაკოონობის არსი კუდიანების, მავნე სულების დაფრთხობა-განდევნაა, ამიტომ კოცონზე გადახტომისას ყვიროდნენ: „აღული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასა“.

კარგად მახსოვს, ამ დღისათვის დიდი ხნით ადრე როგორი ენთუზიამით ვემზადებოდით, ნაკვეთებში ვავროვებდით მოსავლის აღების შემდეგ და საქონლის კვების შედეგად დარჩენილ სიმინდის ღეროებს სხვა მცენარეების ნარჩენებს, სარეველა მცენარეებს, ანასხლავს, ჩამოცვენილ ფოთლებს, მუმიფიცირებულ ნაყოფებს, დასენიანებულ და დაზიანებულ ტოტებს, ერთი სიტყვით, ყველა იმ მცენარეულ ორგანოს, სადაც მავნებელი, დაავადებების მოზამთრე ფაზები ზამთარს ატარებენ. ჭიაკოონას და-

სანთებად სარეველა მცენარეების ნარჩენებსაც, ჩენჩოსაც წვავენ, მოვიგონოთ ნ. ლომოურის „ქაჯანაში“ მაშა-შვილის კოკლასა და ქაჯანას დიალოგი: - „ბიჭო ქაჯანა, ამაღამ სომ ჭიაკოკონობაა და შენ კი არა გაქ რა? როგორ არა მაქ, დაიძახა ქაჯანამ, - გუქინდელი დღე სულ კაჭიჭი ვაგროვე“.

ჭიაკოკონობა ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას ემთხვევა. ნაკვეთიც დასამუშავებლად მზადდება. ამ წეს-ჩვეულების შესრულებაში თითქმის ყველა დიდი და პატარა ღებულობდა მონაწილეობას, ყველა ოჯახი ანთებდა კოცონს. ეს საკადღებულოდ მიაჩნდათ. აი, რას პასუხობს ქაჯანას დედა 'შეკითხვაზე: „ჭიაკოკონას, რათ ვანთებთ ხოლმე, დედა?

ემლაძეს 'შვილო, უნდა უსათუოდ დაინთოს ჭიაკოკონა ყველა სახლის კარებზედა... ეს იმიტომ, რომა, ხო დაგინახავთ, აი ზემოდამ რო მაღალი მთა მოჩანს იაღბუსს რო ეძახიან, იქა 'შვილო ამაღამ ექმსაეები, ქაჯები, ჭინები შეგროვდებიან ერთად და ქორწილებს გამართავენ ხოლმე. იქიდან გახარებულები გამოყრინდებიან 'შვილო, დაერევიან სოფლებსა და თუ ცეცხლი არ დაინახეს ვისმეს სახლის კარებზედ (ცეცხლის ძლიერ ექმინათ იმათა), მაშინვე 'შეკლენ იმ სახლში, ან დაახრჩობენ ვისმე, ან გააგიჟებენ; ხანდახან მოიტაცებდნენ ხოლმე კიდევცა, მომეტებულად პატარა ბავშვებსა წაიყვანენ იმ იაღბუსედ, დაკლავენ და 'შეკაძენ...“

მახსენდება, რაოდენ მომხიბვლელი იყო ღამით ანთებული კოცონები, მხიარული ჟივილი!ხვილი, რომელიც თან სდევდა „ჭიაკოკონას“. მაშინ ბავშვობაში, სხვათაშორის, 'შემდგომშიც უკანასკნელ პერიოდამდე არც დაფიქრებულვარ „ჭიაკოკონობის“ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობაზე, ამჟამად როდესაც ანალიზს ვუკეთებ ამ წეს-ჩვეულების ჩატარების პრაქტიკას, ვრწმუნდები რაოდენ წინდასყდულები იყვნენ ჩვენი წინაპრები, როდესაც ამ ღონისძიებას გეგმავდნენ და მრავალმხრივ დატვირთვას აძლევდნენ მას: სდევნიდნენ ე.წ. კუდიანებს, მავნე სულებს, ანადგურებდნენ ზიანის მოტან მცენარეთა მავნებელ-ავადმყოფობებს, სარეველა მცენარეებს, მცენარეული ნარჩენებისაგან ათავისუფლებდნენ და დასამუშავებლად ამზადებდნენ ნაკვეთებს, ატარებდნენ ე.წ. პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

სავსებით მართალია მცენარეთა დაცვის გამოცდილი სპეცია-

ლისტი მერი მდივნიშვილი ხარაგაულის რაიონიდან, როდესაც გაზეთ „სხივში“ გამოქვეყნებულ მცირე მოცულობის, მაგრამ შინაარსიან წერილში „ჭიაკოყონა“ ანუ პროფილაქტიკა წერს, რომ „...ჩვენი ჩარევით სამთრის ამ მარაგის განადგურება ან მინიმუმამდე შემცირება-პროფილაქტიკა“ (სამთრის მარაგში იგულისხმება მავნე ორგანიზმების მარაგი კ.ბ.).

„ჭიაკოყონობის“ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობაზე მიუთითებს ჩვენს მიერ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში მოპოვებული ხელნაწერი (ფ.ა. 32591) „ჭიაკოყონობა“. „ჭიაკოყონა აღდგომის ოთხშაბათს უნდა. თავის კარზე მოიტანდა ყველა ჩალას და აბრიალებდნენ. ყველა გადახტებოდა ზედა და „აღუღია კუდიანებს“ დაიძახებდა. მეორე დღით უნძრახები უნდა ამდგარიყვნენ ქალები წყალზე წასულიყვნენ და თავი დაეხანათ იმ წყლით. ჭიაკოყონასაგან დარჩენილი ნაცარი კი ბაღებში უნდა მოებნიათ ჭია აღარ შეჭამსო (ნაცარი მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებაა - კ.ბ.).

ვფიქრობ, ამ წეს-ჩვეულების-დღეობის საფუძვლიანი და მიზნობრივი ჩატარება დღესაც აქტუალურია. მითუმეტეს დღეს, როდესაც აგრერიგად განვიცდით მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და ორგანიზებული მომსახურების დეფიციტს, ეს ღონისძიება ნაწილობრივ გამართლებული იქნება თუ მას სასოფლო-სამეურნეო დატვირთვას მიეცემთ და ჭიაკოყონობისათვის მცენარეულ ნარჩენებს გამოვიყენებთ და მოვალეობის მოხდის მიზნით კოცონზე ავტომანქანების საბურავებსა და სხვა ანალოგიურ მასალებს არ დაწვავთ (რაც არ ამართლებს თავის დანიშნულებას), რომელიც არა თუ ანადგურებს მავნებელ-ავადმყოფობებსა და სარეველებს, არამედ ხელს უწყობს გარემოს გაბინძურებას და ეკოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია.



თავი V. მცენარეთა გავრეორობანიზაფი, მცენარეთა
ღაცვის ხალხური საშუალებები, ქართულ ხალხურ სიტყ-
ვიერებაში და იკონოგრაფიაში

5.1. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში

5.1.1. ქართულ ხალხურ ლექსებაში

საქართველო დიდი წარსულის და მიწათმოქმედების უძველესი კულტურის ქვეყანაა. ცნობები ამის შესახებ დაცულია უცხოურ და ძველ ქართულ წყაროებში. მიწათმოქმედების ჩასახვასა და შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო ადგილობრივი საკვები მცენარეულობის სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ. ჩვენში აღმოჩენილი ნივთიერი ნაშთები მოწმობენ, რომ საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ათვისებული ჰქონდა მიწათმოქმედების საფუძვლები, რასაც ადასტურებს, როგორც არქეოლოგიური, ასევე ანტიკური ლიტერატურული წყაროებიც.

საქართველოში დაცული არის სხვადასხვა მცენარის ადგილობრივი კულტურული სახეობები. მათ მრავალფეროვნებას ხელს უწყობდა ველური ფლორის სიმდიდრე და მიწათმოქმედების კულტურის მაღალი დონე. ფლორის მრავალფეროვნება ხელს უწყობდა მცენარეთა მავნებელ ავადმყოფობების და სარეველა მცენარეების სიმრავლეს, ამიტომ მიწათმოქმედების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე მიწათმოქმედს მძიმე ტვირთად აწვა და დღესაც თან სდევს „სასარგებლო და მასახრდობელი მცენარეულობის... ძლიერი და საშიშ მტრებთან... დამნაგვრელებთან“ ბრძოლა.

მცენარეების ძლიერ და საშიშ მტრებში, დამნაგვრელებში იგულისხმება მავნებელ - ავადმყოფობები და სარეველა მცენარეულობა. მიწათმოქმედნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნე ორგანიზმებს, რომელთა მავნეობა, მიყენებული ზარალი და ბრძოლის ღონისძიებები შესაბამის ასახვას ხალხურ სიტყვიერებაშიც პოულობდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენთვის ცნობილი, ზოგიც კიდევ მოსაძიებელი და გასაანალიზებელია. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ იმ მწირ მონაცემებზე, რომელიც

მოვიპოვეთ ხელმისაწვდომ ლიტერატურასა და სხვა მასალებში.

კაცობრიობა ძველთაგანვე განსაკუთრებულ ყურადღებას ერთ-ერთ საშიშ მავნებელს კალიას აქცევდა, რომლის დამადასტურებლად გამოგვადგება ამ მავნებლისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსები. ქართული ხალხური საუნჯის პირველ ტომში გამოქვეყნებული ლექსი „კალია“ ყურადღებას პირველ რიგში იმით იქცევს, რომ მისმა ბრძენმა ავტორმა იცის, უბედურება, რომელიც თავს კვატყდება, ღმრთისაგან ჩვენს გამოსაფხიზლებლადაა დამკვებული, რათა ცოდვებში ჩაფლულვებმა გავისხენოთ, რომ ჩვენი უპირველესი მიზანი მარადიული სასუფეველის დამკვიდრება უნდა იყოს.

„დიდება და მადლი მისა
რო ბრძანება იქნა ღვთისა!
კალია რო გაგვიჩინა,
კბილი მისცა აღმასისა.
ყანები სულ შეგვიჭამა,
ერთი აღარ დარჩა ძირსა“.

ლექსში ყურადღება გამახვილებულია კალიას მავნეობაზე; საკვები მცენარეების განადგურების გამო საქონელი იძულებული ხდება საკვებად მცენარე ნარის ძირებიც კი გამოიყენოს:

„საქონელი სულ გაგვიწყდა,
ეჭიდება ნარის ძირსა,
მთას ნადირი აღარ დადგა,
ბარად ჩამოვიდა ძირსა“.

პეტრე უმიკაშვილის ხალხური სიტყვიერების პირველ ნაწილში შეტანილ ლექსში „კალია“ ვკითხულობთ:

„ჩემ საჩივარს რომ მოგიყვე, იტყვი: ვაი შენი ბრალია!
შვიდი დღის ფეტვები ვხანი, შიგ ამოვხოცე ხარია,
იმას ნამი არ ეღირსა, გვაღუვა დაადგა დარია.
წაველ და ტყეში გავთალე სამოცი ადლი ღარია,
ღუშეთის წყალი მიუგდე ეგებ შეყაროს განია.
სამყალათ რომ მოვეშხადე, შევაბი საბძელს კარია,
გავლესე ჩემი ნაშგალი, მაგრა დავაგე ტარია.
დედა ჩემი მეუბნება: „შვილო, იჩინე ძალია,
სადილად შეგაპატივებ, დავნიშნე სამი ვარია“.
მე მინამ იქ ჩავიდოდი, შემოსევოდა კალია.

ერთი დიდი სინი მქონდა, ხმა მქონდა როგორც ზარია,
გაველი და დავაწარუნე, ვეგების დაფრთხეს კალია.
მიტრიალდა-მოტრიალდა, როგორც ფარეხში ცხვარია,
ავდექი და დაუძახე, რაც ქვეყანაზე ქალია.
ქალებმა ვერა უყვეს რა, ქვრივებმა უყვეს ძალია.
ავდექ გადავბეტი ვენახში, მსოფლიოჯე დიდი სარია,
მივიქნიე, მოვიქნიე, - დაოსდა ერთი კალია,
მე იმას ზედ დავაჯექი, ქვაზედ უხალე თავია.
შვიდი ადლი კბილი მქონდა, რვა და ცხრა ადლი მხარია,
ვაიბე, რაზედ შემტამდა, ღმერთო შენ დამიფარია“.

კალიას და მის მავნეობას ეხება „ხალხურ სიტყვიერებაში“
გამოქვეყნებული თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილი
ლექსი „კალია“, რომლის ტექსტიც სხვა ლექსებისაგან მცირედ
განსხვავდება.

„ცხრა დღისა მოვხან ფეტვები,
გვალვა დაუდგა ცხარია,
სუყველა იქ შეუყარე,
ქართლის, არაგვის ქალია,
ძალებმა ვერა დააკლეს,
ქვრივებმა უყვეს ძალია.
წავედი მოსამკალადა,
შემოსწვევიო კალია.
დავაწარუნე ნამგალი,
ეგებ დავაფრთხო კალია,
მიდგა და მოდგა კალია,
როგორც ფარეხში ცხვარია,
ვენახში გადაიწია,
სახეში შავიშადლია,
გადავუფრინდი, დავაჯექი,
დავინარჩუნე კალია.
ათასი ედგა ფეხები,
ათიათასი მხარია!
ასეთი ედგა კბილები,
როგორც აღმასი ხმალაია.
მე რომ იმას შევექტამე,
ღმერთო რა დიდი ბრალაია“.

სამივე ლექსში ყურადღება გამახვილებულია კალიების მავნეობაზე, უპირატესად კი ბრძოლის თავისებურ ღონისძიებებზე „ხმაურით“ მავნებლების დაფრთხობასა და სხვა ადგილებში განდევნაზე. ხოლო, როდესაც ლაპარაკია ქალების-ქვრივებისაგან გაწეულ დახმარებაზე, ალბათ, აქ ნატულისხმევია კალიების შეგროვება და მათი განადგურება, ამ ღონისძიებებს დიდი ხნის ისტორია აქვს და დღესაც იყენებენ სხვადასხვა მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აჭარული ხალხური სიტყვიერება ყურადღების გარეშე არ სტოვებს კალიას:

„ერთი სევდა გადაშედვა,
როგორც ბოსრიყის კალია
მე რომ მინდა, ის თუ არ იქნა,
ღმერთო მალე მომკალია“.

ხალხურ პოეზიაში მცენარეთა სხვა მავნე ორგანიზმებთან ერთად თავგებიცაა მოხსენიებული:

„ორმოში პური ჩავყარე, -
ზედ დავაყარე ქერია,
ერთი თავგი შემეჩვია,
ამაღებინა ხელია
დავიჭირე ბეკრი ვცემე,
კუდზე მოვაბი წნელია“.

კარგადაა ჩართული თავგი ლექსში „მოდის, ვნახოთ ვენახი“:

„მიველ ვნახე მიწა, თავგმა ჭამა მიწა,
მოდის, ვნახო თავგი, რამ შეჭამა თავგი?
მიველ, ვნახე თავგი, კატამ ჭამა თავგი“.

ლექსში „თავგებისა და კატის ომი“ აღწერილია ბრძოლის ეპიზოდი, მწვავე ბრძოლის შემდეგ კატამ:

„თავგებს მაუკლა ხელმწიფე, გააგდებინა თავია!..“

თავგებმა თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს ისპანიდან უკვდავების წყლის მოტანა, დახმარებისათვის ლოფორჩქინას მიმართავენ:

„ისპანს გაგვიზავნია!
იქ უკვდავების წყაროა, ის წყალი მოგვეიტანია!“
„მე ისპანს, ვერ წავალ, სიცხეა ბობოქარია;

მაშინის წაგივიდოდით, რო იყოს ლოპო-წყალია“.

შავიდა ლაფორჩქინაი, თან შაიყოლა რქანია,
გამაგრდა თავის ციხეში, წელთით დაყუბა კარია.

„სახლხე არ შამამიცივიდეთ, არ დამიქციონ ბანია!“

შაცივიდნენ თავის შვილები, თავს დააქციეს ბანია.

შავიდნენ. გამოიტანეს ლაფორჩქინაი მკვდარია“.

ლექსი „ციცა და თავგი“ თავისა და ციცას (კატის) ბრძოლას უხედა.

„ციცა და თავგი“ შეიბნენ,

ჯერ დილა იყო ცისკრისა,

ომი ასტეხეს იგეთი, ბრიალა აღის ისრისა,

ერთი ბულა თავგი დასცეს, მწვადი ამოჭრის კისრისა“.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ხშირად იუმორისტული ხასიათის ლექსებიცაა, რომლებშიც ზოგჯერ მცენარეთა მავნებლებიც გვხვდება. აი, ამის ერთ-ერთი მაგალითი:

„წისქვილს საფქვავი წავიდე,

ავკვიდე სამსა კატასა,

წინ თავენი შემომეყარნენ,

ჩამოსხდნენ ალაგ-ალაგსა.

ერთსა ვკარ, ფეხი მოვტეხე,

მეორე ადგა ალასა,

მესამე მემუქრებოდა:

„კიდევ დაუსამ ყანასა,

ისე მოგიჭამთ ერთიან

ველს ვერ ავლებდე ჩაღასა“.

ხალხურ ლექსებში ხშირადაა ნახსენები ერთ-ერთი მავნებელი ჭიანჭველა და ყოველთვის გარყვეული მიზნით. ლექსში „რა ვუყოთ?“ გოგოს სურვილში გაურკვევლობის გამო აღელვებულნი ვაჟი ამბობს:

„ძირს დედამიწას დავემხო, ქვეშ ჭიანჭველას ხმა ვუყო,

სული გამჩენ ღმერთს შევწირო, ლეში ყვავ-ყორანს გავუყო, -

მაინც არ შეგებრალეხი, თავს უარესი სხვა ვუყო?“

ლექსში „ომი ჭინჭველასთან“ აღწერილია ბრძოლის ეპიზოდი:

„მე და ჭინჭველას მოგიხდა, ერთურთს ვავინეთ ცოლები,

ძირაით შამამეკანა, შამამაჭყირა თოლები.
მარტუამ ვერა უყავ-რა, შემემეშველნეს სწორები.
დავხოცეთ ჭიანჭველები, ავაგეთ ლემის გორები“.

ლექსში „ჭინჭველა დავიძმობილე“ აღწერილია კანტალაობის მიმართ დამოყიდებულება; ამ მავნე ჩვევას თვით დამძობილებულ ჭინჭველასაც არ პატიობს ლექსის ავტორი:

„ჭინჭველა დავიძმობილე, დავიწყეთ მასხარაობა,
არ მომეწონა ძმობილი, სცოდნიყო კანტალაობა,
ერთი წავარტყი კისერში, დაიწყო ბარგანაობა“.

ლექსი „სანთლის გუთანს ავაშენებ“ გადატანითი მნიშვნელობითაა დაწერილი, ყველაფერი ცხოველებზეა გათვლილი, თუ არა და რას უნდა მივაწეროთ „სანთლის გუთანი“, მასში შებმული თევზები, თავგებისაგან ქერის მომკა და სხვა:

„სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ თევზსა,
ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ, თავგებს ვამკევიანებ ქერსა,
ყირულზედ კალოს გავლეწამ, მორევშია ჩავყრი ბხესა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ, კამბეჩებს დაუყრის ბხესა“.

ლექსს „ნუ იამაყებ თუნდ იყო“, ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, კერძოდ, საინტერესო ფორმითაა გადმოცემული ამაყი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანების გაფრთხილების მცდელობა, რადგან ჭკვიან, უნარიან, მაგრამ ფიზიკურად სუსტ პიროვნებასაც შეუძლია ძლიერის დამარცხება. ამის საილუსტრაციოდ ლექსში ნახსენებია ჭიანჭველა:

„ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრათავი ბაყბაყდევია,
ნუ იტყვი: „ის რას დამაყლებს, მე ვარო მძლევა მძლევია!“
გახსოვდეს, კოვზსა პაწიას დიდი ზღვა დაუღევია,
აღვის ხე ცამდე ასული ჭინჭველას წაუქცევია“.

ავყია სიდედრის სახეა მოცემული ლექსში „ირინოლა“; სიდედრი ცდილობს დაარღვიოს ცოლ-ქმრის მშვიდი ცხოვრება, სიძეს ხან რას უწოდებს, ხან რას, ამ საუბრისას სიდედრი ერთერთ დამსუსხავ სარეველა მცენარე ჭინჭარს იყენებს და შვილს ეუბნება:

„ირინოლა, შვილო ჩემო, ჭინჭარია გული შენი,

სიძულვილით მოხარშული, სიძულვილით შენი ქმრისა“. ბოლოს დედის საუბრისაგან გაბეზრებული ირინოლა ეუბნება:

დამეხსენი, დედაჩემო, დამანებე ქმართან ყოფნა!“ ერთ-ერთ ლექსში სარეველა ძირმწარის თვისებაა გამოყენებული და მისი ავტორი ამბობს:

„წუთისოფელმა ჩემი დღე ძიმწარა დამალევინა,
მატირა ცხარის ცრემლითა, ზღვისთვისაც შამარევიანა,
არც მოძკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევინა“.
ლექსის ავტორმა იცის რა, რომ სარეველა მცენარე ნარი ჩიტისათვის თავშესაფრად არ გამოდგება, მიმართაუს:

„დაჯექი, ჩიტო ნიბლიავ, ნუ ეტანები ნარსაო
დაგეტარება მიმინო, ბუმბულს გაატანს ქარსაო“.
ნარის შესახებ სხვაგვარი ხალხური გამონათქვამიც არსებობს:

„ბალახ მოთიბე ნარიანო
თუ თივა გინდა ღალიანო“.

ხალხურ ლექსებში სხვა სარეველებთან ერთად ღინძილიცაა ნახსარი:

„ადე, აშავდი, ამირან, ცხენ დაუყარე ღანძილი,
ღიაცის დაწუნებულსა ტირილი გინდა, გან ძილი?!“
ერთ-ერთ სასიძლერო ლექსში („აღზევანს წავალ მარილზე“) მცენარეთა დაცვაში გამოყენებული ხალხური საშუალება მარილია ნახსარი:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხევეი,
მემრე შვილსა და ცოლსაო“.

არსებობს ამ ლექსის განსხვავებული ვარიანტიც როგორც შინაარსობრივად ასევე მოცულობითაც:

„აღზევანს წვეელი მარილისთვინა
მარილს მოვიტან და ჩემი ცხვრისთვინა,
ჩემი ცხვრისთვინა და თავშავისთვინა“.

სშირად ხალხური პოეზიის ნიმუშები საშუალებას გვაძლევს წარმოადგენა ვიქონიოთ არა მარტო მავნე ორგანიზმებზე, არამედ მათი წარმოშობის ხელშემწყობ ფაქტორებზე და იმ პირობებზე.

რომლებიც ხელს უწყობენ მათ განვითარებას, აი, ერთ-ერთი ნიშნუც:

„შემოჩვეულა ელია, ის ეშმაკი და გველია,
დაგვისეტყვა ვენახები, ყურძნებსაც მიპყო ხელია,
ყურძენს ნაცარი შაჰყარა, გამოულივა ფერია“.

ჩვენში ძველად „სასარგებლო და მასაზრდოებელი მცენარეულობის... ძლიერ საშიში მტრების“ - მცენარეების გამოსახატავად არ ჰქონიათ სპეციალური ტერმინი შემოღებული, მათ აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი იყო გამოყენებული (არა სპეციალური), კერძოდ „ეკალი“, „ღუარძლი“, „უვარგისი ბალახი“, „მავნე უსარგებლო“, „ბალახ-ბულახი“, „შამბა ბალახი“, „სამარგელი“ (ეს უკანასკნელი ს.მენტეშაშვილის „ქიზიყურ“ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც - ნათესში შერეული ბალახეული, რომელიც უნდა გაიმარგლოს) და სხვ. „სამარგელი“ რომ ხალხურია მტკიცდება იმით; რომ „ქართულ ხალხურ საუნჯეში“ ასეთი ლექსია შეტანილი:

„კაი ყანა მოუყვანე!
გვერდის ძირო ჩალიანო,
სამარგლავი არ მორიო
შენტვის არა მცალიანო“.

ბუნებრივია სამარგლავში მავნე (სარვეელა) მცენარეულობა იგულისხმება. სარვეელა მცენარის შესატყვის ტერმინს (სამარგლავი) სხვა ხალხურ სასიმღერო ლექსებშიც ვხვდებით. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ცნობილი სიმღერა:

„ნეტავი გოგოვ მე და შენ
ყანები მოგვცა ზიარი
შიგ სამარგლავი მორია
ნაპირი მისცა ტყიანი“.

ან კიდევ იგივე ლექსი მცირედი ცვლილებით:


„ნეტავი ქალო, მე და შენ ყანები მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგელი მოპრია, ნაპირი მისცა ტყიანი
მე და შენ ტყეში შევიდეთ, ნაპირი დარჩეს ტიალი.“

ლექსში „ზიარი ყანა“ სარვეელების შესატყვის ტერმინად „სამარგლი“ არის ნახმარი, ამავე ლექსში სარვეელა მცენარეფათალა თავისი დამახასიათებელი თვისებითაა (მხვიარა) გამოყენებული:


„ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანა რამ მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგალიმც გაპრია ფათალა - მხვევრიანი.
გვაგლივნა სამარგლაფადა, ნაპირი მისცა ტყიანი“.

ხშირად ხალხურ „თოხსურ“ ლექსებში ნახმარია ტერმინი „სათოხარი“, „ვთხონოთ“, „გთოხნი“. აი მაგალითად:


„დაყოვნება არ გვარგია,
სულ გაეთოხნოთ სათოხარი“.



„ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მაღე ყანის მკაც მოვაო“.



„დამწკრივებულან ქალები
სიმინდის სათოხნელადა,
ლოყები დასწითლებიათ
ბიჭების საკოცნელადა“.



„გომბიოები მოყრილიბვნენ
ყანიების სათოხნელათა
ლოყები დუუსუქებიან,
ბიჭების საკოცნელადა“.



„ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი, ბიჭებო სუ ხართ უტულოთ,
პერი, ბიჭო, გენაცვაღე, თოხსური დავაგუჯუნოთ“.

ჩვენი აზრით, ამ ხალხურ „თოხსურ“ ლექსებში ტერმინი „სათოხარი“, „სათოხნული“, „სამარგელიც“ ერთი და იგივე მიზნით უნდა იყოს ნახმარი (ყანა), რომელსაც სარეველები უნდა მოვაშოროთ, ხოლო „ვთოხნოთ“, „ვთოხნი“ კი იმ პროცესის ამსახველია, რომელიც ემსახურება ნათესიდან არასასურველი მცენარეების მოშორებას.

„ქართულ ხალხურ საუნჯეში“ გამოჩვენებული ერთ-ერთ ლექსში ხაუბარია მოქალი უხანდარელის დაღუპვის შესახებ, მოქალის დაღუპვის მიზეზად სარეველებსაც ასახელებენ:

„მოქალი უხანდარელი
შენ მოქალა, უთანელაო!
- არცა. შენ მოქალა, არცა მე,

მაშუღმა მოცლა, - ვეღმაო.
მინდორში, მინდვრის ნიაღმა,
მზეკაბანთ ქანებაშაო.
არ ვიც, რამ მოცლა მოქალი,
ნარმა თუ გვირილაშაო?
სათითე ნარზე ეკიდნენ
ნამგალი გვირილასაო“.

ლექსის შინაარსიდან ჩანს, რომ სიკვდილის შემდეგ უსანდარელის სამუშაო იარაღები სათითო და ნამგალი სარეველა მცენარეებზე აღმოჩნდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მოქალის დაღუპვის მიზეზთა შორის სარეველა მცენარეებს ნარსა და გვირილასაც სთვლიან, რადგან ნათესში მათი არსებობა ართულებს მოსავლის აღებას და გარევეულ წინააღმდეგობებს ქმნის მუშაობის პროცესში. ამ მოსაზრებას ადასტურებს პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ გამოქვეყნებული სასიმღერო ლექსი“:

„მოქალი რასა მოეკლა? ნარსა და გვირილასაო
სათითე ნარსა ეკიდა, სამკლავი გვირილასაო“.

ხშირად ადამიანები ხალხურ ლექსებში თავიანთი მდგომარეობის შესახებ თვითონვე ხუმრობენ და სარეველა მცენარეებსაც იშველიებენ. აი, როგორი იუმორით აღწერს სიბერეს მისით გულგატეხილი კაცი და მას ჭინჭრით დასუსტვას ადარებს:

„შემომეჩვია სიბერე,
მომხარა კირკალივითა
ცალ თოლში ეშმაკი მამსვდა
დამშუშხა ჭინჭარივითა“.


სხვადასხვა მცენარეებს ვხვდებით მწვემსურ სასიმღერო ლექსებში. ამ შემთხვევაში ეს ბალახები ცხვარ-თოხლის საკვებადაა დასახელებული; ლექსში „მწვემისის სიმღერა“ მწვემისი შესახებ:

„აყვავდი, ყველა ბალახო,
სამყურა, წიწკა, კვლიანო
შენ გამისუქე ცხვარ-თოხლი
მე წელგაშლილმა ვიარო“.

ხალხურ პოეზიაში ყურადღებას იქცევს ისეთი შრომითი „გუთნური“ ლექსები, რომლებშიც ხშირად სარეველა მცენარეებს ვხვდებით; სარეველა მცენარეულობა შრომით სასიმღერო ლექსებშიც არის მოხსენიებული, საკმარისია გავისხენოთ ქართული ხალხური

სიმღერა „ოროველა“:


„გაბდი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო,
სახნის-საკუეთო გუესვი,
რომ კაჭაჭს ძირი უთხარო“.



„გუთანო, უფლის ნაკურთხო,
გადააშვე ყამირი,
აღიარ აივსოს თივითა“.

შრომითი ლექსებიდან, რომლებშიც სარეველა მცენარეებია ნახსენები სიმრავლით მკისადმი მიძღვნილი ლექსები გამოირჩევა: მკა-მკათათუქში (ივლისი) იმართება და მომწიფებული პურეული მცენარეების აღებისადმი მიძღვნილი. ამ ლექსებში ხშირად პურეულის დამასარეველინებელ მცენარეებსეა ლაპარაკი, ეს კი წარმოადგენს გვაძღვეს ნათესების დამასარეველიანებელ მცენარეებსე და დასარეველიანების ხასიათზე:


„ყანაო ფათალიანო,
ბიჭებიც აქ არიანო,
სიმღერა დაეგუგუნოთ,
ნამეტლები ავაკლრიდლოთ“...



„ყანასა ფათალოანსა,
არ უნდა დახედულობა,
თავში დაკრული ნამგალი
ბოლოში გახედულობა“.




„ყანაო, ფათალიანო,
მომეტლები სად არიანო?
ზოგები გრილში წვანან
ზოგები აქ არიანო“.



„ყანაო ბადალიანო
ბიჭები სად არიანო,
აგერ მოდიან ბიჭები,
მოდიან მომღერინო“.



„ბიჭები მკიან ყანასა,
ნარიანსა და ჩაღასა,
სიცხეს შეუწუხებია
ველარ ატანენ ძაღასა
მალი-მალ შეაგინებენ
მარიამსა და ნანასა“.



ან კიდევ:

„ბიჭები მკიან ყანასა, ნარიანსა და ჩაღასა,
უყურე ობლის ყანასა, ქოზი და ქოხი უქნია,
ფათალო გადახვევია, თავთავი ველარ უქნია“.

ამ ლექსში გარდა სარეველების ჩამონათვალისა, მითითებულ-
ლია ერთ-ერთი სარეველა მცენარის (ფათალო) შავნე მოქმედე-
ბაზეც, რომელიც ობლის ყანაში ხორბლის დარდიღვისა და
ნათესის ჩაწოლის გამო თავთავს არ აძლევს განვითარების სა-
შუალებას მოსამკელად ჩაღაა დარჩენილი, რომელიც ქოხის და-
სახურად (ქოხის მოსაწყობად) შეიძლება იქნეს გამოყენებული
აღბათ ამიტომაა ლექსში ნათქვამი „... ქოხი უქნია“.

ზოგიერთი სამკალი ლექსი სახუმარო ხასიათს ატარებს:

„საბრალო დედაბრისასა
თავნი ყანასა მკიანო,
სხედან და შემოსძახიან,
„ბებერო, პური გეშინანო“.

შრომით-თიბვის პროცესისადმი მიძღვნილ ლექსებშიც სარე-
ველა მცენარეების გამოყენებას სხვადასხვა მიზანი აქვს. კერ-
ძოდ, ერთ-ერთ ლექსში, რომელიც ზარმაცი კაცისადმი მიძღვ-
ნილი, ლექსის ავტორი მას მიმართავს:

„შენს ბექში მაინც გამოდი,
ცულს ნუ შეაჭმევ წიდასა,
ჭინჭარს არ დაეღუღვინო,
ფენთ ჩაიცომდე წინდასა“.


ზოგიერთ ლექსში კი სარეველა მცენარეების გამოყენება თიბვის
პროცესის დაწყებაზე მიუთითებს:

„გამოკა, გამოიტანე
ნიშა, ნიკორას წილია,
იონჯა, ურო, სამყურა

სათიბად გადახრილია“.

სილამაზით გამოორჩეული სარეველა მცენარეები ბავშვები-სათვის განუყოფნილი ხალხური სიტყვიერების სასიმღერო და სწავლით ლექსებშიცაა ნახმარი:

„სილამაზით ყაყაჩო სჯობს, იავნანანინაო,
ყანა დაუმშვენებია, იავნანინაო“.



„ყაყაჩოსა სიწითლითა,
ყანა დაუმშვენებია.
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია“.

ერთ-ერთ ცნობილ ხალხურ სასიმღერო ლექსში „გაფრინდი მავო მერცხალო“ მცენარეთა დაცვაში გამოყენებული მცენარე-ცაა ნახმარი:

„აღაზნის პირას მოსულა
წითელი სატაცურიო,
მიველ და კრეფა დავუწყე
მეგონა უკაცურიო“.

ზოგიერთ ხალხურ ლექსში სარეველა მცენარის გამოყენები-თი თვისებებიცაა მოცემული. ამის ერთ-ერთი ნიმუშად გამოვ-ვადგება ჭინჭრის, სატაცურისა და სვინტრის მიმართ გამონათქ-ვამი:

„ჭინჭარი ჭირის ჭირია,
სატაცური ბაღამია,
სვინტრი მოდის, მოიძახის
მე ვარ ყველას წამალა“.

ჭინჭარი თავისი თვისებების მიხედვით ფრინველებისათვის კარგი საკვები მცენარეა. ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდას, მოხარშუ-ლი ჭინჭრით კვებავენ იხვისა და ინდაურის ჭუკებს (სახელწოდე-ბა ჭინჭარი „ჭირის ჭირისაგანაა“ წარმოშობილი). ამასთან ჭინჭა-რი უხსოვარი დროიდან გამოიყენება ადამიანის საკვებად (მისგან მრავალნაირი კერძი მზადდება), აგრეთვე სამკურნალოდ ხალ-ხურ მედიცინასა და მავნებლების წინააღმდეგ მცენარეთა დაც-ვაში.

ზოგიერთი ხალხური მთქმელი სარეველა მცენარეებს იშვე-ლიებს ამა თუ იმ პიროვნების შრომითი საქმიანობის შესაფასებ-

ლადა, კერძოდ, ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალის მკვიდრი, აწ' განსვენებული ერძასიოზ ბუაჩიძე ერთ-ერთ ლექსს ასე ამთავრებს:

„**ქუნქურუკო** ააყვავილა,
თოხი არა აქვს დაკრული“.

ამ გამონათქვამით იგი ახასიათებს ზარმაც პიროვნებას, რომელმაც დროულად არ დაამუქმავა საყარმიდამო ნაყვეთი და სარეველა მცენარეებს მიეცა მასობრივი გამრავლების საშუალება.

ამგვარად, ხალხური პოეზიის ნიმუშებში ხშირად იხსენიება მცენარეთა მავნე ორგანიზმები, საყურადღებო მასალებია მოცემული მათ მავნეობაზე, თვისებებსა და ბრძოლის ხალხურ საშუალებებზე, რომლებსაც იყენებდნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.



5.1.2. ქართულ ხალხურ ანდაზებში


ანდაზა ხალხიდან მოდის, მისი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგადაა შექმნილი. სხარტი გამონათქვამია, რომელშიც ბრძნული აზრია ჩაქსოვილი, მოსაუბრე ანდაზის გამოყენებისას ყველაზე დიდ ავტორიტეტს ხალხს იძველიებს.

ანდაზა ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უანრია, იგი თავის მხრივ დამრიგებლობითი და აღმზრდელობითი ხასიათისაა, ამიტომ ანდაზა ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს ეხება, მსატვრული და სხარტული გამოთქმებით საუბარი საინტერესო და მიმზიდველი ხდება, ამიტომ ვცდილობთ, საუბრისას ხშირად მივმართოთ ანდაზების გამოყენებას, მასში დავინახავთ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას, ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ პიროვნების შეფასებას, ხასიათსაც კი, რა თქმა უნდა, პრეტენზია არ გვაქვს ღრმად გავაანალიზოთ ანდაზის არსი, მისი მნიშვნელობა. ჩვენ მხოლოდ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ანდაზებზე, რომლებიც ჩვენს პროფესიონალურ დაინტერესებას იწვევენ და რომლებშიც ამა თუ იმ მოვლენის შესაფასებლად სარეველა მცენარეები, მავნებლები და მცენარეთა დაცვის საშუალებებია გამოყენებული (თუმცა სარეველა მცენარეები მცენარეთა დაცვა-


შიცაა გამოყენებული). ზოგჯერ ანდაზებში თვით მავნე ორგანიზმების თვისებები და მნიშვნელობაცაა გადმოცემული, რიგ შემთხვევაში კი რითმს ალამაზებენ.

5.1.2.1. სარეპელა მცენარეები

ანწლი არ მოგვეცემს ყურძენსო.




ანწლი არ მოგვეცემს ღვინოსა.




გიჟი გვიმრაზედაც ფეხს მოიტეხსო.




ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.




ეწერმა თქვა: მე რომ ეწერს არ მეძახოდნენ, ოცდახუთნაირი ჭირის წამალი ვარო.



ვაიმე დედაე, გული მტკივა, სად ხარ ჩემო ვარდკაჭაჭა.




რაც თხამ უყო თრიმლის ხესა, ის თრიმლის ხემ თხის ტყავსაო.




რაც თხამ უყო თრიმლსა, ის თრიმლმა თხის ტყავსაო.



რაც თხამ თრიმლს უყო, უფრო უარესი თრიმლმა თხის ტყავსაო.



რაც თხამ თრიმლს უყო, ორი იმოდენა თრიმლმა თხის ტყავს უყოო.




თხამ თრიმლი ჭამა, თრიმლმა თხაო.




თხამ ჭამა იელი - შინ მოვიდა მშიერი.



ზღვაში ლელი გახმა, რაყი ცის სამი არ მოხვდაო.



ლენცოფას ჯერ ვარდი არ დაუსხიაო.




ნაძვისაგან ნაძვი ამოვა, ლენცოფასაგან - ლენცოფაო.




ვირმა ნარი მოიტანა, თვითონვე დაკვრიხაო.



ვირმა ნარი მოიტანა, დაჯდა - თვითონვე დახვრიმაო.




ვირმა ნარი დათხარნაო, იქავ თავად დაჭამნაო.




ნარზედ ნარი ამოდისო.




ნარსა ჰკითხა: შენი ბინა სად არისო და - ზენა ქარსა ჰკითხეო.




სხვისი ხელით ნარი გლიჯეო, შენი ხელით ვარდი წყვიტეო.



სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილია.



ჩიტი ნარზე იჯდა, აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდაო.




ჩიტს ნარი ურჩევნია ოქროს გალიასაო.




ჩიტი ნარს შეეხიზნა, წვიმა მომაფარეო.



სვინტრი მოდის მოიძახის: მე ვარ მაგის წამალიო.




ვერიდებოდი ღოღოსაო, დამხვდა სოფლის ბოლოსაო.




ღოღოს, რაც უნდა საწებელი უყო, ისევ ღოღოაო.




ღოღოს შეჭამანდს მეხი დაეცეს, ისიც უმარილოსაო.




ღვარძლისა მთესველი ხორბალს ვერ მოიძეისო.




ღვარძლის მთესველი იფუკლს ვერ მოიძეისო.




ბიროტს შხამა 'შეხვედება და ზუდ გაივლისო.



ვახის მრგველთან ის არ აქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი
ღარგო.




სსვისი ხელით ჭინჭარი ადვილი მოსათხრელიაო.




ჭინჭრის ძირზე ჭინჭარი აპოვაო.



ჭინჭარი ჭირის ჭირია.



ღამჭენარი ვარდი ჭინჭარს მაინც სჯობიაო.



ვინცა ჭამა მჭადი, ჭანგიანში წადი.



5.1.2.2. მცენარეთა გავნებლები


ერთმა ბილწმა თავმა ასუციანი ქვევრი წაბილწო.




თავი ბელელში შიმშილით არ მოყვდება.




თავი არ იყო, ხვედას ებრძოდა.



ერთმა წუწკმა თავის კუდმა ასიანი წაბილწა.




თავებმა თქვეს: „კატას ეუენი შევაბათ, რომ ველარ მოგვე-
პაროსო“. არჩიეს, მაგრამ შემბელი ვერ გამოარჩიეს.




თავისათვის კატა ლომია.




თავეს უთქვია: ყანას ისე ვერ მოძვით, ჩემი სამყოფი არ დაგრჩეთო.




თავეი ბუჯაერში შიმშილით არ მოკვდება.




თავემა თხარა, თხარა, კატა გამოთხარა.




თავეს ბუმბულში აწვენდნენ და სოროში მიძვრებოდაო.




თავეი სოროში ჩაძვრა, კუდზე გოგრას იბამდაო.



ერთმა თავემა ცხრა ქვეერი წაბილწაო.




თავეი ხვრელში თვითონ ვერ ეტეოდა და გოგრას ჩატანა მოინდომაო.



თავეი სულ წისქვილშია, მაგრამ ქვის მოკოდვა არ იცისო.




თავეი ქვეერში ჩავარდა და კაცის ბრძოლაში გამოწვევა სცადაო.




თავეის სოროში ღომს ქორწილად ეპატიუებოდნენო.



თავეის შეილი ტომრის მჭრელი გამოვაო.




თავემა თქვა: კატაზე ძლიერი ნადირი არ მოიპოვებაო.




თავემა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.




თავემა სასუსნის ძებნაში კატის ბრჭყალები იპოვაო.




თავეო, კატისა გემინია და სოროდან კი ძვრებიო.




თავეს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და სოროში მიძვრებოდაო.




ღათვი ძილს იყო მიცემული და თავგები სამარეს უთხრიდნენ.




ვინც კატას არ გაიჩენს, ის თავგებს გაიჩენსო.




კატისთვის თამაშობა - თავვისათვის სულთაბრძოლა.




ნაქებმა კატამ თავვი ვერ დაიჭირაო.




ჩხავანა კატა თავეს ვერ დაიჭერსო.




ჩხავანა კატა მახეში გაბმულ თავგზე გაიმარჯვებსო.




კატის თამაშობა თავვისათვის სიკვდილიაო.




ღათვს ეძინა, თავგები სამარეს უთხრიდნენ.



კატა თავეს რომ კუღზე გაებას თავიც იმისიაო.




კატა თავგებში მამაციაო.




ხუმრობაში კატას თავვი გასქცევიაო.




თუ კატა მკვირცხლია, არც თავგია დონდლო.




თუმცა კატა მარდია, თავვიც დამბლა როდია.




სახიარო ყანა თავგმა შეკამაო.




ზვინში თავვი არ დაიხრჩობაო.




ქვეყნიერების დანგრევის მოლოდინში თხუნელამ თვალელები დაითხარა სულ ერთია აღარ გათენდებო.




ვაი კუტი კალიის ბრალი, თვარემ ფრთიანი გაფრინდებო.




ლოკოკინას თავისი ხოცერა ემძიმებოდა, ისიც თავზე დაამტკ-
რიესო.




გული როსტომისა და ბარგი ლოკოკინასიო.



ლოკოკინას თავის სახლი თან დააქესო.



თუ დამაცდი, მახრე ვარო, თუ არადა მახრუჭაო.




ჭიანჭველა პატარაა, მაგრამ მთებს ანგრევს.



ჭიანჭველას ღმერთი მაშინ გაუწყრება, როცა მხრები გამოე-
მება.




ჭიანჭველას სისხლი ისე უყარე (ისე გამოუშვი), საითაც ეყ-
რება.




ცხენმა ცხენსა ჰკითხა: მინდორში როგორი ბალახიაო? ჭიანჭ-
ველას მაღავესო მაშ გემო წასვლიაო.




კამეჩმა თქვა: რაკი ბალახში ჭიანჭველა დაიმაღლება, გემოც
წაუვაო.




ჭიანჭველას ექვსი დღის სიცოცხლე ჰქონდა და ექვსი თვის
სარჩოს მიათრევდაო.




ჭიანჭველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთიც მაშინ გაუწყრე-
ბა.




ჭიანჭველას რომ ფრთები გამოუვა, აფრინდება და კალია
შეჭამსო.




ჭიანჭველას ღმერთი გაუწყრება, ფრთები მხრებში ამოუვა,
ზეცას ასვლა მოუნდება, სული გზაში ამოუვა.




ჭიანჭველას თვალები არ აქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა წამწამები გამომასხიო.




ჭიანჭველა (ღორის ტილი) ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებო.




ჭიანჭველა თვითონ რა არის იმის თირკმელი რა იქნებაო.



ჭიანჭველას (ჭინჭრაქას) ახედ-დახედე და ბარკალი ისე აართვიო.



ჭიას უთქვამს: ისე პურს ვერ მომიყო, ჩემი სამყოფი რომ არ დარჩესო (ხორბლის მავნებლებია ნაგულისხმევი კ.ბ.).



აქ წარმოდგენილი ანდაზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორად მათში მავნე ორგანიზმების თვისებები, პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობაა მოცემული; ზოგიერთი ანდაზა მიგვანიშნებს სარეველა მცენარის სამკურნალო თვისებებზე, მაგალითად: „ვაიმე დედავ, გული მტკივა, სად არის ჩემი ვარდუაჭაჭა“, „სვინტრი მოლის, მოიმღერის, მე ვარ მაგის წამალიო“, „ჭინჭარი, ჭირის ჭირია“, „ეწერმა თქვა: მე რომ ეწერს არ მეძახოდნენ, ოცდახუთნაირი ჭირის წამალი ვარო“ და სხვ. ზოგჯერ ანდაზა და მასში შემავალი მავნე ორგანიზმები საშუალებას გვაძლევენ საუბრისას შევაფასოთ პიროვნება და ამ ანდაზით მისი წინაპარიც კი დავახასიათოთ: „ნარზედ ნარი ამოდისო“, „ჭინჭრის ძირზე ჭინჭარი ამოვა“, ან კიდევ ანდაზაში ისეთი პიროვნებაა ნაგულისხმევი, რომელიც სხვისი საშუალებით აპირებს საქმის გაკეთებას, ან კიდევ სხვას ავალებს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებას: „სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილია“, „სხვისი ხელით ჭინჭარი ადვილი მოსათხრელიაო“. არიან ადამიანები, რომლებსაც კარგს შესთავაზებ, მაგრამ ჯიუტად მაინც არ სჯერათ და რჩევას არ ასრულებენ. ასეთ პიროვნებაზე ხმარობენ ანდაზას „თავეს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და სოროში მიძვრებოდაო“. ზოგიერთს თავს რომ გაუყადრებ, ეთიყის ნორმებს გადავა და ისეთს გაყადრებს, რაც არ შეეფერება. ამ შემთხვევაში ხმარობენ ანდაზას „ჭიანჭველა ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებო“.

ბაო“, ცუდის გაქვეითებული ადამიანის მიმართ ამბობენ: „ღვარძლისა მოესვენელი ხორბაღს ვერ მოიძიოს“.

ამგვარად, ანდასას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს, ხშირად მასში ადამიანს შეუძლია საკუთარი თვისებებიც ამოიცნოს, ამაში გვეხმარება ანდასებში გამოყენებული მცენარეთა მავნე ორგანიზმები.



5.1.3. გამოცანებში

გამოცანა ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი უხარია. გამოცანას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. იგი ასრულებს გართობის, მახვილგონიერების, ადამიანის სიბრძნის შემოწმების ფუნქციას. გამოცანებში სხვადასხვა მცენარეული თუ ცხოველური სამყაროს წარმომადგენლების დამახასიათებელი თვისებებია ჩართული, რომლის ცოდნისა და სწორად შეფასების საფუძველზე ადამიანმა უნდა ამოიცნოს, თუ რას ნიშნავს, ვის და არს მიეკუთვნება ესა თუ ის გამონათქვამი. ჩვენ ყურადღება გავამხვილეთ იმ გამოცანებზე, რომლებიც ეხება მცენარეთა მავნე ორგანიზმებს: სარეველებს (ბუჩქნარები, ბალახები), მავნებლებს (ცხოველები, ფრინველები, მწერები) და მცენარეთა დაცვის ხალხურ საშუალებებს.

5.1.3.1. სარევეებს მცენარეები


ხეა, ხეა, ხეა მბალი ზედ აბია კახა მბალი
არ იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება.
(ანწლი)



წითელი ქვევრი, შავი სარქველი,
შივ რაღაც ყრია ხასარ-ხუზარი.
(ასკილი)



წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგ ხომორ-ხომორი.
(ასკილი)



წითელი მუცელი, შავი პირსაკრავი.
(ასკილი)




სივარჯი (კით მობუნძლული, სიბერეში გამართული.
„ეწერი“ (გვიმრა)




ახალგაზრდა მოყვანილი,
დაბერდა - გამართული.
(გვიმრა)




ყვავილი ვარ ყვითელგულა, სხვა ყვავილებს არ ვყიდრები,
რა ვუყოთ რომ სუნსი არ მაქვს, წამლად მაინც გამოვდგები.
(გვირილა)




რომელი ბალახია, რომ ბრმაც კი გამოიცნობს?
(ეკალი)




თავი საბანში ფეხები ჭინჭარში, ყვავილებს ვკრეფდი, არა
მაქვს ხელში.
(სიხმარი)




ასია ნურის ქალი ვარ, ასი კაბა მაცვია,
ქარი რო შემოუბერავს, ერთიც აღარ მაცვია.
(ყაყაჩო)




ასლანიანთ ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა,
ქარმა რომ შემოუბერა, კალთა შემეიკცა.
(ყაყაჩო)




აბა, რა მქვიან სახელად, მეც ყვავილი ვარ ველისა,
მიყვარს წითელი სამოსი, კოხტად დაჭერა ყელისა.
(ყაყაჩო)




კავკავ ღობეს ხელი შევეყავ, კაპასმა ძაღლმა მიკბინა.
(ჭინჭარი)



ღობეს, ღობეს უპ, უპ!
(ჭინჭარი)



'შემოვუარე კერიას ხელი მოგკიდე ღრენიას.
(ჭინჭარი)



ღობეში ხელი შევეყავი, ბომბორა ძაღლმა მიკბინა.
(ჭინჭარი)



უსულოსა, უგულოსა, ზურგზე მოსვლია ბაღანი.
(ხეზე ხავსი)




5.1.3.2. მამნებლები


თავი მირბის შარა-შარა
კუდი მოაქვს ჩქარა-ჩქარა
(ნემსი და ძაფი)




თავი გარბის ფიცარ-ფიცარ, კუდი მიაქვს სათარ-სათარ.
(ნემსი და ძაფი)




ის რომელი ცხოველია, ჩუმად რომ დაიარება,
კატის კნავილს თუ გაიგებს, იმ წამსვე დაიმალება.
(თავი)




საბძელს უკან ტახია, დედამიწა გახია.
(თხუნელა)




დავალ ანუ დაუფრინავ,
ფეხით ანუ რაშითა,
მაგრამ ხშირად მიჭერენ პაწაწინა მარცვლითა.
(ბელურა)



შავი არის შამშივითა, თეთრი არის თოვლივითა,
მრგვალი არის კვერცხივითა, გრძელი არის ბუზივითა.
(კაჭკაჭი)



ერთი რამე სულიერი, კუდიანი და ჭრელია,
ქათმის პატარა შვილთათვის სინსილის გამწყვეტელია.
(კაჭკაჭი)



ზაქარია კორკოტაო სახლიანად მორბოდაო.
(ლოკოკინა)



ერთსა რამეს სულიერსა ჯიხური ზურგით დააქვსო,
თავისსა წილადობაზე ყველაზე დიდი რქა აქვსო.
(ლოკოკინა)




ხარი არ არის - რქები აქვს, ვირი არ არის - კურტანი.
(ლოკოკინა)




დასწერს, დაწერილ არ გავს, რქები აქ - ხარი არ არი,
ონაგირი აქ - ცხენი არ არი,
სართული აქ ხოჯა არ არი.
(ლოკოკინა, ლიქორიეი)



ა, იქითა ველაშია, კუპრი ამოდენაშია.
(ჭიანჭველა)




უფხო, უძვლო, ველის ნადირი.
(ჭიანჭველა)



მივა, მოვა ქარაუანი, არ უცვდება ქალამანი.
(ჭიანჭველა)




შავი არის შამშივითა, მაგრამ შამში არ არის,
გაფრინდება ჩიტივითა, მაგრამ ჩიტი არ არის.
ულელს გაწევს ხარივითა, მაგრამ ხარი არ არის.
(ხარაბუზა)



5.1.3.3. მცენარეთა ღაცვის ხალხური საშუალებები

ითესება, იპარგლება, იწევა და არ იჭმევა.
(თამბაქო)



რა არის: თესვენ, მარგვლიან და მერე განამტკიცებენ,
სმენ და არ სჭამენ, ფიცს სდებენ, პატარა ჭურჭლით ხმარო-
ბენ,

ვინც ითხოვს, ყველას მისცემენ.
(თუთუნი)



უკურტუმო ქათამი ღობეს უკან ჩავუფალი.
(ქართოფილი)



ბნელ ოთახში ერთად ვსხეღვართ
ამოდენა ხალხის გრივა.
(ქარტოფილი)




მიწაში დავიბადე, ცეცხლში მოვინათლე,
წყალში ჩავუვარდი - მთლად დავიკარგე.
(მარილი)



არც უჩემოდ შესტამს ვინმე, არ თუ მარტო მე მტამს ვინმე.
(მარილი)



წყალში იბადება და წყლისა კი ეშინია.
(მარილი)




წყალში ჩავაგდე - წულად გადაიქცა,
ცეცხლში ჩავაგდე ხმად გადაიქცა.
(მარილი)




დიდი ღოღი ვარ, გუღჩვილი, ყველასთან სანატრელია,
უჩემოდ სადილს ვერა ტამს ვერც ერი, ვერცა ღვდილია.
(მარილის ქვა)




სუფთა სუნელი, თესლათ ურგები.
(მარილი)




ჩემი თეთრი - ქათამი, ღობის უკან ჩაუვალლი.
(ნიორი)



თეთრი ქუჩა-ქუჩუბელა გარეთ ბუდეს იბუდებდა.
(ნიორი)




ერთი თეთრი ქათამი მყავდა სულ მიწა-მიწა ძვრებოდა.
(ნიორი)



ერთი ქოჩორა მამალი მიწაში თავ უყრელად ვერ ცხოვრობს.
(ნიორი)




მთას იქით კაცი მარხია, მთას აქეთ სუნი გადმოდის.
(ნიორი)



გინდ შესწვი და გინდ მოხარშე, გინდ კერიდგან დასძარიო,
გინდ გასცერი, გინდ გამტკიცე, ის დარჩება, რაც არიო.
(ნაცარი)




ერთი რამე მანანაი
ბუხრის თავზე თამაშობს.
(ფუტი კვამლი, ბოლი)



ერთი კაცი ცხვარსა ჰკლავს, ცხვარი არ ტირის, კაცი კი
ტირის.
(ხახვი)



პაწამ ტანსე გადაიკვა,
დაგლეჯილი ფარჩის კაბა,
ვინც მას გახთის, აატირებს,
გამოიციანთ ახლა აბა.
(ხახვი)



სულიანი უსულოს დაუდებს.
უსულო სულიანს დეიკავებს,
პატრონი ორსავეს წეიყვანს.
(ხუნდი, ხაფანგი)

აქ წარმოდგენილი გამოცანების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მცენარეთა მავნე ორგანიზმები, დაცვის ხალხური საშუალებები ორიგინალურად არის გამოყენებული ქართულ გამოცანებში, რომელიც მკითხველისაგან მოითხოვს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ცოდნა, ჩაუდრმავდეს მის შინაარსს, გაანალიზოს იგი. სწორად ამოიცნოს სპეციფიკურ გამოცანებში მოცემული მცენარეთა მავნე ორგანიზმები და დაცვის საშუალებები.



5.1.4. სამკურნალო შელოცვაეზი


ქართული შელოცვების შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას სამკურნალო შელოცვებზე, რომლებიც სხვა შელოცვებთან შედარებით მრავლადაა წარმოდგენილი, უფრო საფუძვლიანადაა შესწავლილი და უძველეს შელოცვებს მიეკუთვნება. ამის შესახებ მიუთითებს ზ. ჭიჭინაძე: „ჩვენში შელოცვები და წამლობა ისეა ერთმანეთთან გადაბმული, რომ კაცი ერთიმეორისაგან ვერ განაცალკევებს, ვერ დაანაწილებს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოს ერში ჯერ შელოცვები ყოფილა გავრცელებული, როცა ერს მკურნალობა არ სცოდნია, მაშინ მას სცოდნია შელოცვები და ამ შელოცვებით ავადმყოფის მორჩენა, დაიმედება, სრულად განკურნაც“. ამ შელოცვებში ბევრი ისეთი მცენარე (სარეველა) და საშუალებაა ნახსენები, რომლებიც ასევე გვხვდება მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის შელოცვებში და პრაქტიკულ გამოყენებაში. საჭიროდ ვცანით ზოგიერთ ამ ტიპის შელოცვებზე გაგვემახვილებინა ყურადღება. წინამდებარე შელოცვებში ლაპარაკია მკურნალობის საშუალებებზე. ამ მიზნით კი მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებები - მარილი, კირი, ბაღბა, ღოღო, ღოღომშმაგა, კორკოტინა, გვიშირტი და სხვებია დასახელებული, რომლებიც მცენარეთა დაცვაშიცაა გამოყენებული; შემლოცველი სვამს კითხვას და თვითონვე სცემს პასუხს:

„- რა არის მისი წამალი?

მარილის კენიტი,

ატმის ფოთოლი,

კირიო, ბაღბაო.”




„ღოღო, ღოღომშმაგა

მოთხარეთ ბართა, -

შეულოცე ჩხირითა

ის არის ჩემი წამალი.




„- რა არის შენი წამალიო?


შავი დედლის შვილიო,

აყირო, გოგრა, ქადა-შაქარიო.

სამღებროს ლილა, ბალაბა,
ეს არის ჩემი წამალი.”



რა არის მისი წამალი?
სამი შუკა ქერი,
გვიმრიჭი, თოფის წამალი.”




ზოგიერთ შელოცვაში მითითებული არის მცენარეების მოპო-
ვების ადგილი, უფრო სწორედ, სად უნდა შეგროვდეს მცენარე-
ბი:

„- გადახტი ჩემსა ბოსტანში,
მოგლიჯე სამყურა ბალახი
სამჯერ შეულოცე,
შვიდი პურის მარცკლითა,


ის არის ამის წამალი...”




„- გადადი მარმარილოს ბოსტანში,
მოგლიჯე სამ-სამი ძირი სამყური,
სამი ძირი მრავალძარღვა
შუბს იცხე, შუბს ივარ,
ის არის შენი წამალი.”



რა არის მჭვალის წამალი?
გადახტი... ბაღშია
მოწყვიტე კანაფი,
აუკარი მხარი,
ის არის ამის წამალი.”



მხართ ადგია ჭვალთა, რა არის მისი წამალი?! გადახტი
ლობესა ვენახისასა, მოგლიჯე სამი კანაფი, წითელი ძაფი, დედამ
შეკრას, შადვლანჯოს, შვილმა გახსნას, გაიხსნება ჭვალი.




ამ შელოცვებში სამკურნალო მცენარის მოპოვების ადგილად
ბოსტანი, მარმარილოს ბოსტანი, ბაღი და ვენახია დასახელებუ-

ლი.


ხშირად შელოცვებში არა მარტო სამკურნალო საშუალებებზე, არამედ მათი გამოყენების პირობებზე და ავადმყოფობებზეცაა ლაპარაკი.

მითხარი, რაა შენი წამალი?!
რა არის და ღორის ქონი,
ძეწნისა ცილი,
ქვაბის ჯანგარა,
ნიგოზი, პრასა.
კვერცხისა ცილი
ფსელისა ნახეკი.
ვაი, რა მოვიგონე,
ჩემი თავისა ტირი.”



„... ლოცვა ესე, წამალი ღვთისა
მოხარშული სალდა,
ნიგეზის ფოთოლი,
ცხელ-ცხელი დაიდუ,
წვენით დაბანე და

- რა არის მაგის წამალი?!
ცივი წყალი, ცივი რყინა,
ღვთით ამოსული კანაფი.
გადაამცვენ მხარსა,
ის გააქრობს ჭვალსა.”




„შეგილოცამ ჭვალისასა. რა არი შენი წამალი?!
წითელი ბაწარი და კანაფი, გადუხსვი მახათი, ეშველება
მჭვალსა. არ გამოხვალ ნებითა გამოგიყვან ძალითა..., მიგცემ
მდინარე წყალსა.”



„ჰკითხა, რას ზიხარ, ... რას სტირი?! მას ვსტირი მუნი
მასხია, ქეცი მჭამს, რა არის იმის წამალი?! ღოღო, ღოღონცო-
ფას ძირი მოთხარე ჩხირითა, შეულოცე რყინითა, შაბათის კარა-
ქითა, გოგირდითა; იცხე, ისახუნე, გახმება, ქერის ქატოსავითა.

ჩამოცვივა ცხენის ჩონჩხივითა.”



არის ისეთი "შელოცვებიც, რომლებშიც 'შელოცვის ჩატარების ვადებიცაა დასახელებული:

..- 'შეგილოცამ შაბით. უმზეური წყლით, მარილითა და ძმრით ოთხშაფათ-პარასკეობით.”



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კიკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერებში ჩვენს მიერ მატლის 'შელოცვის რამდენიმე ვარიანტი იქნა მოპოვებული. ამ 'შელოცვებიდან ორი თ. 'რაზიკაშვილის მიერ ქართლსა და ფშავშია ჩაწერილი (1890-92წწ.), რომლებშიც მცენარეთა დაცვაში გამოყენებული საშუალებები მარილი და ჭინჭარია ნახსენები.

„აგხადე ცასა,
დავხედე სღვასა.

სწველიდა ვეშაპსა
იქმიდა ყველსა.

რას შერები...

ვწველამ ვეშაპსა
ვინა ქნა? ვინ გაიგონა
და მისგან ყველი გაკეთებული?
ის ვილამ სთქვა და ვინ გაიგონა?
